

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

თინათინ ყაუხჩიშვილი

ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

II

(არისტოტელე, ნიკოლოზ დამასკელი,
კლავდიუს ელიანუსი)



1969

ნაშრომში განხილულია სამი ბერძენი მწერლის (არისტოტელეს, ნიკოლოზ დამასკელისა და კლავდიუს ელიანუსის) ცნობები საქართველოს შესახებ.

ამ ავტორთა ნაშრომებში არის საინტერესო მასალა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის, კერძოდ მათ თხზულებებში დაცულია უძველესი ცნობები ბათუმის შესახებ, არის მასალა ქართველ ტომთა წეს-ჩვეულებებზე და დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვაგვარი საბუნებისმეტყველო ხასიათის ცნობები.

ნაშრომი „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, II, ნაგარაუდევია როგორც წყარო საქართველოს ძველი ისტორიის შემსწავლელთათვის.

წინასიტყვაობა

კრებულში „ბერძენი მწერლების კნობები საქართველოს შესახებ, II“ წარმოდგენილია სამი მწერალი: არისტოტელე (ძვ. წ. ა. IV ს.), ნიკოლოზ დამასკელი (ძვ. წ. ა. I ს., ახ. წ. I ს.) და კლავდიუს ელიანუსი (II—III ს.). ეს სამი ავტორი, ესოდენ განსხვავებული ერთმანეთისაგან და ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებული, გაერთიანებულია იმ ნიშნით, რომ ძველ ბერძენ მწერალთა შორის სხვებზე მეტად ამათ თხზულებებში მოიპოვება ეთნოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ხასიათის მასალა, რასაც უთუოდ მნიშვნელობა აქვს საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის.

უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული ავტორები, როგორც წყარო საქართველოს ძველი ისტორიისათვის, დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ და ამ კრებულში წარმოდგენილი არცერთი ავტორი აქამდე ჩვენში ამ თვალსაზრისით შესწავლილი არ ყოფილა. ძველი ისტორიით დაინტერესებული პირები საკիրობის შემთხვევაში სათანადო მასალას ჰკრეფდნენ ვ. ლატიშევის *Scythica et Caucasica*-დან, სადაც მასალა ასეთი სისრულით არ არის წარმოდგენილი.

ნაშრომის ცალკეული ნაწილები შესრულებულია სხვადასხვა წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გეგმის მიხედვით.

არისტოტელე

არისტოტელე იმდენად მრავალმხრივი მოღვაწეა, მის პიროვნებას იმდენი თხზულება მიეწერება და უკავშირდება, რომ მის შესახებ სრული, თუნდაც მხოლოდ მიმოხილვითი ნაშრომის დაწერადიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული.

წარმოდგენილი ნაშრომი ერთ პატარა საკითხს ეხება და თუ სათაურის უფრო მეტ დაზუსტებას მოვინდომებთ, მაშინ მას უნდა ვუწოდოთ: „მასალა საქართველოს ისტორიისათვის არისტოტელეს სახელით ცნობილ ნაწარმოებებში“, რადგან მრავალი ის თხზულება, რომელსაც ჩვეულებრივ არისტოტელესად მიიჩნევენ და რომელშიც საქართველოს შესახებ რაიმე ცნობა მოიპოვება, ავტორიტეტულ მკვლევართა მიერ მეტწილად ან არისტოტელეს მოწაფეებისად არის აღიარებული ან არა და შემდეგში, მისი მიმდევრების მიერ დაწერილად. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ, ცალკეულ ნაშრომთან დაკავშირებით გვექნება ლაპარაკი; ჯერჯერობით კი პირობითად ამ ცნობებს ზოგადად არისტოტელესად მივიჩნევთ.

არისტოტელე ცხოვრობდა 384—322 წწ-ში, დაიბადა ქ. სტაგიროში (ქალკიდიკეში, ათონის მახლობლად). მისი მამა, ნიკომაქოსი, მაკედონიის მეფის ამინტას II-ის კარის ექიმი იყო, დედას კი ფაქსტიასი ერქვა. არისტოტელე 17 წლამდე შინ სწავლობდა, 17 წლისა კი წავიდა ათენში და მიებარა პლატონის აკადემიაში. აქ მან 20 წელი გაატარა (367—347 წწ.), ჯერ თვითონ სწავლობდა, მერე ასწავლიდა, წერდა და მასალებს აგროვებდა.

343—340 (თუ 338) წლებში ფილიპე მაკედონელის მიწვევით არისტოტელე მაკედონიის მეფის სამსახურში იყო—მეფეს ემსახურებოდა კალმით და უფლისწულს, ალექსანდრეს ელინურად ზრდიდა. მასწავლებელი და მოწაფე ძალიან განსხვავებული ბუნებისა იყვნენ, ამიტომ მათი დაახლოება არ მომხდარა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის ასეთი გადმოცემა, რომ მას შემდეგ, რაც 335 წ. არისტოტელემ ათენში საკუთარი სასწავლებელი ლიკეაონი დააარსა, ალექ-

სანდრემ გაუგზავნა მას 800 ტალანტი სკოლის კეთილმოსაწყობად და პირადი მეცნიერული მუშაობისათვის. 323 წ., ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, ათენში პროცესი მოეწყო მაკედონური ორიენტაციის მოქალაქეთა, უფრო სწორად—მეტეკთა წინააღმდეგ, რის შედეგადაც არისტოტელე იძულებული გახდა გაქცეულიყო ეგებაზე, სადაც გარდაიცვალა 322 წ. არისტოტელეს ჰყავდა ორი ცოლი—პირველი იყო პითია (მიზიის ასოსის ტირანის ჰერმიასის ნაშვილები ძმისშვილი), რომელიც ადრე გარდაიცვალა და მას დაუტოვა თავისი მოსახელე ასული. მეორე ცოლი—ჰერპილისი სტაგიროდან იყო, მისგან ჰყავდა ვაჟი, ნიკომაქოსი, რომელიც 322 წ. ჯერ ყრმა იყო (παῖς οὖν); მამის მემკვიდრეობის მიპართ ის გულგრილი არ ყოფილა (მან გამოსცა „ეთიკა“), მაგრამ ბევრის გაკეთება ამ მიმართულებით არ დასცალდა, რადგან ჰაბუჟი გარდაიცვალა (დაახ. 310—300 წწ.).

იმდენი რამის გაკეთება იკისრა და მოასწრო არისტოტელემ თავის ცხოვრებაში, რომ ერთი კაცი ამას ვერ აუვიდოდა, რა მონაცემები, ენერგია და სურვილებიც არ უნდა ჰქონოდა. მან აქდენის გაკეთება იმით შეიძლო, რომ გარს უამრავი მოწაფე და თანამშრომელი ეხვია, რომლებიც მისთვის მასალას აგროვებდნენ, ამ მასალას ამუშავებდნენ და ა. შ. ასეთები იყვნენ: თეოფრასტე, ევდემოსი, სტრატონი, მემნონი, არისტოქსენოსი, დიკაჰარქოსი და სხვები.

საფიქრებელია, რომ ჩვენამდე მოღწეული არისტოტელეს სახელით ცნობილი ნაწარმოებების ბირთვის შეადგენენ თვით არისტოტელეს შენიშვნები და კონსპექტები, რომელთაც ის წერდა სალექციოდ. მათ შორის იყო ისეთებიც, რომლებიც თვით ავტორის მიერ საბოლოოდ იყო დამუშავებული და გამოსაცემად გამზადებული, ხოლო არის ისეთებიც, რომლებიც მისი მსმენელების ჩანაწერი უნდა იყოს.

არისტოტელეს ბიოგრაფი, დიოგენე ლაერტი მას 400-მდე წიგნს მიაწერს, ხოლო I თუ II სს. პერიპატეტიკოსი პტოლემეაფოსი კი ამბობდა, რომ მას 1000 წიგნი ჰქონდა დაწერილი.

არისტოტელემ (და მისმა სკოლამ) წვლილი შეიტანა მეცნიერების თიანჭის ყველა დარგის განვითარებაში. ეს დარგებია: ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ისტორიოგრაფია, სამართლის მეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა. არისტოტელე ითვლება დიალექტიკის სისტემატიზატორად, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ფუძემდებლად, ეთიკისა და სოციოლოგიის უდიდეს წარმომადგენლად.

არისტოტელე არის ლოგიკის მამამთავარი და აღწერითი ბიოლოგიის საფუძვლის ჩამყრელი¹.

არისტოტელე უპირველეს ყოვლისა ფილოსოფოსია; საყოველთაოდაა ცნობილი მისი ნაშრომები: „ორგანონი“, „ფიზიკა“, „მეტაფიზიკა“, „სულისათვის“, „ეთიკა“ და სხვ. მაგრამ ასევე დიდი მნიშვნელობისაა სხვა თხზულებებიც, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა დარგს განეკუთვნებიან.

არ ჩამოვთვლი ყველა ნაშრომს, რომელიც არისტოტელეს სახელითაა ცნობილი (მოღწეულია 47 მეტნაკლებად მთლიანი ნაწარმოები და კიდევ ასეული ფრაგმენტი), მოვიხსენიებ მხოლოდ მათ, სადაც საქართველოს შესახები ცნობები მოიპოვება; გეოგრაფიული ხასიათის ცნობებია შემდეგ ნაწარმოებებში: „მეტეოროლოგია“, „ქარების შესახებ“, „სამყაროს შესახებ“, „ცის შესახებ“ (სქოლიოებში), „პრობლემები“ და „გამოუცემელი პრობლემები“. ცნობები არის ზოოლოგიურ ნაშრომებში: „ცხოველთა ისტორია“, „ცხოველთა დაბადების შესახებ“, „ცხოველთა ნაწილები“. ცნობები გვაქვს სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ტრაქტატებში: „პოლიტიკა“, „პოლიტიები“, „ეკონომიკა“. ასევე კომპილაციურ ნაშრომში, სადაც შერწყმულია ბუნებისმეტყველებისა და ისტორიის საკითხები — „საოცარ ამბავთა შესახებ“. ცნობები მოიპოვება ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრობლემათიკის მქონე თხზულებებშიც: „მჭერმეტყველება“, „ნიკომაქოსის ეთიკა“, „პოეტური ხელოვნება“, „მეორე ანალიტიკა“ (სქოლიოებში), „ძილის დროს მისნობა“. ცნობები არის ფრაგმენტებშიც, რომლებიც სულ სხვადასხვა რიგის ნაწარმოებების ნაწყვეტებს წარმოადგენენ. ცნობილია, რომ არისტოტელეს ჰქონდა ნაშრომი „Νόμοιαι βερεβερε“ („არაბერძენთა წეს-ჩვეულებები“), სადაც განხილული იყო სხვა ხალხებთან ერთად კავკასიის ტომთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებიც.

სამწუხაროდ „Νόμοιαι βερεβερε“, რომელიც მკვლევართა მიერ ერთხმად არისტოტელესეულად არის აღიარებული, ჩვენამდე არაა მოღწეული, მაგრამ სხვა ნაწარმოებებში არა სპეციალურად, არამედ

¹ RE, II, 1896, გვ. 1012—1054; სტატია Aristoteles, ავტორია Gercke ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 1949, გვ. 19—25; И. М. Тронский, История античной литературы, 1957, стр. 186—192; История греческой литературы, т. II, Москва, 1955, стр. 199—218; W. Christ, Geschichte der griechischen Litteratur, I Teil, München, 1912, S. 718—771.

სხვათაშორის შესულია მრავალი ცნობა კავკასიის, კერძოდ საქართველოს შესახებ, რაც საფიქრებელია არ განსხვავდება იმისაგან, რაც „Νόμους βαρβαρίων“-ში იყო.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებები შეიცავენ სხვადასხვაგვარ ცნობებს, რომელთაც ძირითადად რამდენიმე ჯგუფის სახით წარმოვიდგენთ. ეს ჯგუფებია:

1. წმინდა გეოგრაფიული ხასიათის ცნობების შემცველი.

2. ზოოლოგიური მასალით წარმოდგენილი.

3. ტომთა მომხსენიებელი და მათი დახასიათების შემცველი ცნობები, რომლებიც აგვიწერენ ტომთა წეს-ჩვეულებას, მათ საქმიანობას და ა. შ.

4. ძველი თქმულებების, არგონავტებისა და პრომეთესის მითის მომხსენიებელი (ძირითადად ლიტერატურული ქანრის ანალიზის ასპექტში).

აქ ვერ შევჩერდები ყველა ცნობის განხილვაზე, რაც კი შესწავლილი მაქვს, გამოვყოფ მხოლოდ მათ, რომლებმაც მიიპყრეს საგანგებო ყურადღება.

საინტერესო გეოგრაფიული ხასიათის ცნობები არის ნაწარმოებში „მეტეოროლოგია“², რომელიც არისტოტელეს უტყუარ ნაშრომთა რიცხვშია³. მომყავს სამი სხვადასხვა ციტატა:

350⁰, „ხოლო კავკასიონიდან ბევრი სხვადასხვა მდინარე მრედიდება, გამორჩეული წყლის სიმრავლითა და სიდიდით და მათ შორის—ფასისი. კავკასიონი უდიდესი მთაა, როგორც სიფართოვით, ასევე სიმაღლით და მიმართულია ზაფხულის აღმოსავლეთისაკენ (ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ—თ. ყ.). საბუთი მისი სიმაღლისა ისაა, რომ ის კარგად ჩანს ეგრეთწოდებული სიღრმეებიდანაც (ἀπὸ τῶν ἀβύσσων καὶ κρημάτων)⁴ და მათთვისაც, ვინც ტბაში შეტურდება. მისი მწვერვალები მზითაა განათებული... მისი სიფართოვის [ნიშანია ის], რომ მასში ბევრი ადგილსამყოფელია⁵, სადაც ბევრი

² ვსარგებლობდი გამოცემით Aristotle Meteorologica with an english translation by H. D. P. Lee, 1952 (ლობე-ის სერია. ნაშრომი ამ სერიაში პირველად 1952 წელს გამოქვეყნდა).

³ W. Christ..., გვ. 734. RE... გვ. 1045—46.

⁴ ინგლისურ თარგმანში გვაქვს: it is visible... from the so-called Deeps... რუსულ თარგმანში გვაქვს: „он виден с так называемых пучин“.

⁵ ἔθρα—ნიშნავს: седалище (стул, скамья, трон и т. п.); местопребывание; основание; сидение, медление, бездействие. რუსულ თარგმანში არის долина(?)

ტომები (ჭმუი) ცხოვრობენ და სადაც, ამბობენ, ბევრი ტბე-
ბიაო“.

351* „კავკასიონის ქვემოთ არის ტბა, რომელსაც ადგილობრივი
მცხოვრებლები ზღვას უწოდებენ. რადგან ამ ტბას მრავალი და
დიდი მდინარე ერთვის და ცხადი გამოსავალი კი არა აქვს, იგი
მიწის ქვეშ მიედინება კორაქსებისკენ და გამოდის პონტოს ეგრეთ-
წოდებულ სიღრმეებთან (περι τῆς καλιόμειναι βυθῆς τῆς Πόντου)⁶.
ეს არის ზღვის რაღაცა ნაწილი, რომელსაც განუსაზღვრელი სიღრმე
აქვს. ჯერ არასოდეს არავის შესძლებია იქ ჩასვლა და ფსკერის
აღმოჩენა. აქვე, ნაპირიდან დაახლოებით 300 სტადიონის დაშორე-
ბით ამოდის სასმელი წყალი დიდ ფართობზე, მაგრამ მთლიანად
კი არა, არამედ სამ ადგილას“.

354* „არის ბევრი ზღვა, რომლებიც ერთმანეთს არ უერთდე-
ბიან არცერთ ადგილას, მაგ., მეწამული ზღვა ოკეანეს უკავშირ-
დება ჰერაკლეს სტელეებს გარეთ, როგორც ჩანს, სულ ვიწრო [ნაწი-
ლით]; ხოლო ჰირკანიისა და კასპიის [ზღვები] გამოყოფილი არიან
[ოკეანისგან] და ირგვლივ სულ დასახლებული არიან, ისე რომ არ
დაიმალებოდა [მათი] წყაროები, თუ კი რომელიმე ადგილას ასეთი
რამ იქნებოდა“.

ამ ცნობათა შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

1. ფასის იცნობს არისტოტელე, როგორც კავკასიონიდან მომ-
დინარე, წყალმრავალ, დიდ მდინარეს.

ფასისი ბერძნულ მწერლობაში მანამდეც იყო ცნობილი (ჰესიო-
დე, ჰეროდოტე, ჰიპოკრატე, სოფოკლე, ევრიპიდე...), მაგრამ ასე
დაწვრილებით და ზუსტად სხვაგან მის შესახებ არ გვხვდება (ჰესიოდე,
ჰეროდოტე, ჰიპოკრატე ახსენებენ მის შესართავს და დინების ქვემო
ნაწილს), ეს არის თანამედროვე რიონი.

2. კავკასიონის ქედი (რომლის ხსენება და აღწერილობა გვხვდება
მანამდე ჰეროდოტესა და ესქილესთან) არისტოტელესთან სწორად
არის დახასიათებული. ის იმ ცნობასაც კი იძლევა, რომ ამ მთებში,
უფრო ზუსტად იმ ხეობებში, რომლებიც სერავენ მათ, ბევრი ტომი
[ჭმუი] ცხოვრობს (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით აქვს შემდეგ
სტრაბონს „გეოგრაფიაში“⁷).

⁶ ინგლისურ თარგმანში არის: the so-called Deepes of Pontus, რუსულ
თარგმანში არის: „около так называемых пучин Понта“.

⁷ შტრ. „სტრაბონის გეოგრაფია“, 1957, გვ. 120, 122—123, 126, 128; განსა-
კუთრებით გვ. 140—141.

3. კორაქსებს, როგორც კოლხურ ტომს, იცნობენ ჰეკატაეოსი (ფრგ. 185), ფსევდო სკილაქსი (77), ახსენებს მათ არისტოტელეც, მაგრამ არ საზღვრავს არც მათ საცხოვრისს, არც მათ ეთნიკურობას. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ მის დროს მის მკითხველ თუ მსმენელ საზოგადოებას ამისი საგანგებო ახსნა არ სჭირდებოდა.

კასპიის ზღვა, რომელსაც ბევრი მდინარე ერთვის, თვითონ კი არ უკავშირდება არცერთ ზღვას თუ ოკეანეს, ირგვლივ სულ დასახლებულია, დასანახავად მისგან არაფერი გამოდის, წყალს კი გამოსავალი სჭირდება. ასეთი რამ მიწის ქვეშ ხდება, წყალი მიედინება კორაქსებისკენ და გამოდის პონტოსთან—ე. ი. კორაქსებიც ამ მიმართულებით არიან საძებნელი. პონტო და კორაქსები ერთ კონტექსტში იხსენიებიან. ВДИ არისტოტელეს ამ ტექსტთან აკეთებს ასეთ შენიშვნას (გვ. 323): „Земля Кораксов — в данном случае кавказское побережье в центральной его части“; ВДИ (XIX, გვ. 300) ჰეკატაეოსის კორაქსებთან დაკავშირებით აკეთებს შენიშვნას: „Кораксы горное племя на западно-кавказском побережье, в районе милетской колонии Диоскуриады,... В более позднее время были подчинены колхам“.

ფსევდო-სკილაქსი კორაქსებს ახსენებს ჰენიოხებზე სამხრეთით და კოლებზე ჩრდილოეთით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამათზე კიდევ უფრო სამხრეთით არის ტომი კოლხებისა და მის ტერიტორიაზეა დიოსკურისი. ისე რომ, ამ ავტორის თანახმად კორაქსების ტომი თანამედროვე სოხუმზე უფრო ჩრდილოეთით არის ნავარაუდები. არისტოტელე სხვაგან არსად ახსენებს კორაქსებს, ისე რომ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, მას უფრო ზუსტად სად ესახება მათი ადგილსამყოფელი, მაგრამ მისი კორაქსები და ე. წ. სიღრმეები დიდად დაშორებულნი არ უნდა იყვნენ ერთმანეთს.

4. ზემოთ მოყვანილ ციტატებში საგანგებოდ მინდა შეეჩერდე ერთ გამოთქმაზე, რომელიც ორჯერ გვხვდება: ა. ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ კავკასიონის ქედი მაღალია, არის შემდეგი: ის კარგად ჩანს ე. წ. სიღრმეებიდანაც (ἀπὸ τῶν ἰακισμῶν καὶ βῆσων) და მათთვისაც, ვინც ტბაში შეტურდება *; ბ. კასპიის ზღვას ბევრი მდინარე

* ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს ტბა რაა, მეოტისი (როგორც ესპით რუს და ინგლისელ მთარგმნელებს), თუ კასპიისა—შესაძლოა კასპიის ზღვაც იყოს. არისტოტელე ხომ აქვე, ამავე შრომაში წერს, რომ კავკასიონის ქვემოთ არის ტბა (λίμνη), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ზღვას უწოდებენო.

ერთვის და ცხადი გამოსავალი კი არა აქვს, ის მიწის ქვეშ მიედინება კორაქსებისკენ და გამოდის პონტოს ეგრეთწოდებულ სიღრმეებთან (περὶ τῆς ἀχλὺς μύνης βύθου τῶν Πόντου). ეს არის ზღვის ერთი რაღაცა ნაწილი, რომელსაც განუსაზღვრელი სიღრმე აქვს. ჯერ ვერავინ შეიძლო იქ ჩასვლა და ფსკერის აღმოჩენა.

Ἐν τῆς ἀχλὺς μύνης, რაც რუსულად თარგმნილია როგორც *пучина* და ინგლისურად *Deep*, უექველად ყურადღებადამისაქცევია. არისტოტელე ამ სიტყვით აღნიშნავს რაღაც გეოგრაფიულ პუნქტს. უექველია—ეს პონტოს ზღვასთან რაღაცა ადგილია. თუ დაუშვებდით პირველი მაგალითის მიხედვით იმას, რომ არისტოტელე ამბობს—კავკასიონი ისე მაღალია, რომ ის შუა ზღვიდანაც კარგად მოჩანს და ტბაში შესვლისასაცო, მაშინ გაუგებარია, ჯერ იქვე, „ეგრეთწოდებული“ (რაც ჩვეულებრივ საკუთარ სახელებთან არის სოლმე) რა საჭიროა და შემდეგ, მეორე მაგალითში ხომ დაზუსტებულია, რა არის ეს „ეგრეთწოდებული სიღრმეები“—*τῆς δὲ ἐστὶν ἄπειρον τῆς τῆς μύνης τῆς βύθου* „ეს არის ზღვის რაღაცა ნაწილი, რომელსაც განუსაზღვრელი სიღრმე აქვს“, თანაც ეს ადგილი სანაპიროსთან ახლოსაა—ამის შემდეგ თხრობაა იმისა, რომ „აქვე, დაახლოებით 300 სტადიონის დაშორებით ამოდის სასმელი წყალი“.

ჩემის აზრით, ორგზის მოხსენიებული *τῆς ἀχλὺς μύνης βύθου* არის ზღვისპირა გეოგრაფიული პუნქტი, საიდანაც მოჩანს კავკასიონის სიმაღლეც და სადაც ზღვას განუსაზღვრელი სიღრმე (βύθος) აქვს. შავი ზღვა რომ საერთოდ ღრმა ზღვაა, ამის შესახებ დავა არ არსებობს, მაგრამ არისტოტელესთან მისი სიღრმის ამჯერად ერთი ადგილის მიპართ საგანგებოდ მოხსენიება, ვფიქრობ, უკავშირდება იმას, რომ პუნქტს ჰქვია *τῆς βύθου* და აეტორს ამისი ახსნა უნდა. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ პლინიუს უფროსის (I ს.) ერთი ცნობა, რომელიც, როგორც ჩანს, მომდინარეობს არისტოტელესაგან (*Naturalis Historia*, II, 224): *Altissimum mare XV stadiorum Fabianus tradit, alii in Ponto ex adversa Coraxorum gentis (vocant βύθου Ponti) trecentis fere a continenti stadiis immensam altitudinem maris tradunt, vadis numquam repertis.*

„ფაბიანუსი გადმოგვცემს, რომ ყველაზე მეტი სიღრმე ზღვისა არის 15 სტადიონი. სხვები კი ამბობენ, რომ კორაქსების მოდგმის (საცხოვრისის) პირდაპირ ((ამ ადგილს) პონტოს βύθოს-ს უწოდებენ), თითქმის 300 სტადიონის მანძილზე ხმელეთიდან ზღვას აქვს განუზომელი სიღრმე და ფსკერი, რომელიც არასოდეს ყოფილა

ნახული“ (აქ პატარა განსხვავებაა, მაგრამ ძირითადად იგივეა, რაც აქვს არისტოტელეს II ცნობაში).

ე. ი. პლინიუსის აზრითაც პონტოს „ბათეასთან“, ხმელეთიდან 300 სტადიონზე ზღვა ძალიან ღრმაა. ე. ი. აქაც იხსენიება ადგილი „ბათეა“, პირდაპირაა ნათქვამი, რომ მას პონტოს ბათეას უწოდებენ (ეს იმიტომ, რომ არის სხვა ბათეაც—მემფისის, ლუზიტანიის, ტარენტის). ამ ცნობებისათვის აქამდე ყურადღება არავის მიუქცევია, არსებობს მხოლოდ ტომაშეკის პატარა საენციკლოპედიო სტატია (RE, III, 1899, გვ. 123), სადაც Βεθήεα τῆς Πόντου ცალკე პუნქტად არის აღიარებული (თუმცა მის ბათომთან გაიგივებაზე არაფერია ნათქვამი) და აღნიშნულია, რომ ის კორაქსების სანაპიროს 360 სტადიონით არის დაშორებული, არის დიოსკურიაზე სამხრეთით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე (და სწორადაა მიჩნეული მეზღვაურთა დაკვირვება—რომ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსკენ წყალი უფრო თხელია, ხოლო სამხეთ-აღმოსავლეთით—უფრო ღრმა).

ამრიგად, პონტოს სამხრეთ-აღმ. სანაპიროზე აღნიშვნა პუნქტისა, რომლის სახელსაც „ბათ“ ძირი ჰქონდა (და ეს „ბათ“ ბერძნულ ჰაზმ⁶-ად არის გაგებული, მოცემულია მისი ბერძნული ეტიმოლოგია) არის ჯერ კიდევ არისტოტელესთან და შემდეგ მას იმეორებს პლინიუსი.

მდ. ბათუს ახსენებენ იგივე პლინიუსი იმავე ნაშრომის სხვა ადგილს (NH VI, 12), არიანე (II ს.) PPE—§ 7 და ანონიმი (V ს.) § 2. პლინიუსი წერს: „140.000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდ. აბსაროსია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა იბერიია, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები. მდინარეებია: აკამფსისი, ისისი, მოგროსი, ბათისი, კოლხთა ტომებია აქ. ქალაქი მათიუმი⁶. მდინარე ჰერაკლეუმი, იმავე სახელწოდების კონცხითურთ

⁶ კოლხიდის ტერიტორიაზე არსებული ქალაქი „მატიუმის“ ლოკალიზაცია ჯერ არავის მოუხდენია. საგულისხმოა, რომ ამ სახელწოდების რამდენიმე გეოგრაფიულ პუნქტს ბერძენ-რომაელ ავტორთა შორის მხოლოდ პლინიუსთან ვხვდებით. მისი „მატიუმი“ არის: 1. კრეტის ჩრდილო სანაპიროზე (IV, 12, 20), 2. იონიაში (V, 29, 31), 3. კოლხიდაში (VI, 4, 4) და 4. ესაა გვიანდელი სახელი კომანასი (VI, 3, 4).

სხვა ავტორები Matium, Μάτιον-ს არ იცნობენ. არის ცდა მისი გაიგივებისა პტოლემეოსის „მადიასთან“.

და უსახელოვანესი პონტოს მდინარეთაგან—ფაზისი“ (საინტერესოა, რომ ამ „ბათუსს“—ლათინური თარგმნის *река Глубокая*).

არიანე წერს: „აკამფსისიდან მდინარე ბათისამდე სამოცდათხუთმეტი სტადიონია. მდ. აკინასე ბათისიდან ოთხმოცდაათი სტადიონითაა დაშორებული“.

ანონიმს კი აქვს: „მდ. აკამფსისიდან მდ. ბათისამდე სამოცდათხუთმეტი სტადიონია, ათი მილიონი, მდ. ბათისიდან მდ. კინასამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილიონი“.

ამ ავტორებთან ხსენებული მდინარეები ცნობილია, თუ რომელი რას ნიშნავს დღევანდელ პირობებში. აკამფსისი ჰორონის ერთი ტოტია (აფსაროსი—II), აკინასე და კინასი—მდ. კინტრიშია. მოგროსი სუფსაა, ისისი—ნატანები. ერთი სიტყვით, მდ. ბათუსი გამოდის ჰორონსა და კინტრიშს შორის, 12—13 კმ-ით ჰორონის ჩრდილოეთით, ე. ი. იქ, სადაც არის ყოროლის წყალი. აღსანიშნავია, რომ ფსევდო-სკილაქსს (ძვ. წ. IV ს.) ისისა (=ნატანებს) და აფსაროსს (=ჰორონს) შორის აქვს ერთი მდინარე, *Ἀγροῦ ποταμῶς*, რაც ნიშნავს „ყაჩაღთა წყალს“, თუ ქართულად ვთარგმნით. რომელი მდინარე იგულისხმება ამ სახელით, დაბეჯითებით თქმა ჰერს, შეიძლება ეს იყოს კინტრიშიც და ყოროლის წყალიც.

მდ. Bathys-თან დაკავშირებით ტომაშევი საენციკლოპედიო სტატიაში წერს (RE, III, 1899, გვ. 139): „An seiner Mündung lag ein Hafen gleichen Namens“—ე. ი. მდინარეა ბათუსი და მის შესართავთან არის ნავსადგური ბათუსი. ტომაშევი თუმცა არ აზუსტებს, ბათოს უნდა ვარაუდობდეს.

პაპეს საკუთარ სახელთა ლექსიკონში ვკითხულობთ: *Bzჭზ, ბ... Küstenfluss im Pontus Cappadocicus, j. Tzulschuda—Su, Arr., Plin...*

პლინიუსისა და არიანეს ცნობას მდ. ბათუსის შესახებ ყურადღება მიაქცია თ. უსპენსკიმ, რომელსაც თავის ერთ სტატიაში ასეთი ადგილი მოეპოვება: „Что касается реки Вафия у Плиния и Арпана, то нам бы представлялось справедливым видеть здесь долину Bzჭზ, т. е. местность и название нынешнего Батума“ (ИАН, 1917, № 2).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ანტიკური წყაროები ბათომის ისტორიისათვის ს. ყაუხჩიშვილის შემოტანილია. მას პლინიუსის, არიანეს, *Tabula Peutingeriana*-სა (II ს-ის ძეგლი, გადაკეთებული IV—VI სს-ში) და „პასქალური ქრონიკის“ (VII ს.) მონა-

ცემების საფუძველზე ასეთი დასკვნები აქვს გაკეთებული: „ბათუს-ო იყო ქალაქის სახელიც, და მდინარის სახელიც (ისევე, როგორც მაგ. ფასისი), ბერძენმა ეს ადგილობრივი სახელი გაიაზრა, როგორც ბერძნული სიტყვა (ჰამპჯ—ლრმა), ამიტომ არის Tab. Peut.-ზე Portus altus (altus არის თარგმანი ჰამპჯ-ის) ე. ი. ლრმა ნავსადგური (ნავსადგური ბათუსი). რომ ეს დასახლებული პუნქტი მნიშვნელოვანი ნავსადგური არ ყოფილიყო, ის ვერ მოხვდებოდა რუკაზე, და არც „პასქალური ქრონიკა“ უწოდებდა მას $\mu\epsilon\gamma\acute{\alpha}\lambda\eta \pi\acute{\alpha}\lambda\iota\varsigma$ -ს“.

ეს დაკვირვება დამაჯერებელი ჩანს და ამას უნდა დავეუმატოთ ის, რომ არა მხოლოდ პლინიუსისა და არიანეს დროიდან გვაქვს ცნობა „ბათომის“ შესახებ, არამედ უფრო ადრე, არისტოტელეს დროიდან. ის, რაც შემდგომ საუკუნეებში დიდ ქალაქად და მნიშვნელოვან ნავსადგურად იხსენიება, რამდენიმე საუკუნის წინ ისეთი პუნქტი ყოფილა, რომელზე მითითებითაც არისტოტელეს აზრით აიხსნებოდა ისეთი რამ, რასაც მის დროს განმარტება სჭირდებოდა (კასპიის ზღვის საკითხს).

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე დღესდღეობით ასეთი დასკვნაა გამოტანილი, რომ ბათუმის გორაზე (მდ. ყოროლის წყლის შესართავის მარცხენა ნაპირზე) ინტენსიური ცხოვრება იწყება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან მაინც, უკვე ძვ. წ. VII ს-დან ბათუმს ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური კავშირი იქვს ბერძნულ სამყაროსთან, რაც დასტურდება განათხარი იმპორტული კერამიკით¹⁰.

5. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევჩერდეთ კასპიის ზღვის საკითხზე, რომელიც არისტოტელემდე ბერძნულ საგეოგრაფიო მწერლობაში სხვაგვარად იდგა. მანამდე იყო აზრი, რომ კასპიის ზღვა უერთდებოდა ოკეანეს და ეს შეერთება, წყლის სადინარი ყელი, მას ჩრდილოეთ ნაწილში ჰქონდა. არისტოტელე კი მართებულად წერს, რომ არსებითად ეს არის ტბა, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლები მას ზღვას უწოდებენ (351^ა). მეორეგან ამავე ტბას (sea ზღვას) იგი ორი სახელით იხსენიებს: ჰირკანიისა და კასპიის ზღვები, (რომლებიც ასევე არ არიან ოკეა-

¹⁰ ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951 წწ., გვ. 17—23.

¹⁰ ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ბათუმის უძველესი ისტორიისათვის: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 69—75; ა. კ ა ხ ი ძ ე, მასალები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის: მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, 1965, გვ. 68—94.

ნესთან დაკავშირებული) და იმეორებს იმას, რაც ზემოთაც თქვა, რომ ამ ზღვას თვალსაჩინო საღინარი არ აქვს, ე. ი. მისგან არაფერი გამოდის, ის სხვა ზღვებთან არ არის დაკავშირებული (354^a). ВДИ-ს შენიშვნის მიხედვით (გვ. 324) „Повидимому здесь Аристотель называет Гирканским южную часть Каспийского моря, Каспийским же—северную часть того же моря“¹¹.

რა წყარო აქვს არისტოტელეს იმისათვის, რომ კასპიის ზღვის მიწისქვეშა დინებაზე ილაპარაკოს, არ ვიცი.

ზოოლოგიური ხასიათის ცნობებიდან, რომლებიც დიდი რაოდენობითაა მოცემული არისტოტელეს თხზულებებში, მინდა შეეჩერდე შემდეგზე: „ცხოველთა ისტორიაში“¹² (რომელიც ძირითადად თვითონ არისტოტელეს მიერ დაწერილად არის აღიარებული, მხოლოდ მისი VII და X წიგნები ითვლება სხვა წარმოშობისად¹³) არის ერთი ასეთი ცნობა (III, 2): „მეწველი საქონელი მეტ რძეს მოაწველის, თუ ნაკლებს, ეს დამოკიდებულია მათი სხეულის სიდიდეზედაც და საკვების ნაირსახეობაზედაც. მაგ., ფასისთან არიან პატარა ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იწველის, ხოლო ეპირის დიდი ძროხებიდან თითოეული იწველის ერთ ამფორა რძეს და შესაძლოა სულაც ნახევარს, ორივე ძუძუდან. ხოლო ის, ვინც სწველის, გამართული დგას, ოდნავ წახრილი, რადგან არ შეუძლია მისწვდეს მის ჯიქანს“.

ე. ი. ფასისის ძროხები პატარები არიან და ბევრს იწველიან (ეს დამოკიდებულია, ჩანს, საკვების ნაირსახეობაზე), ხოლო ეპირისა—დიდები არიან და ცოტას იწველიან, თანაც ეს ცოტა არის 1 ამფორა. ერთი ამფორა შეიცავს დაახლ. 15—20 ლიტრს; თანამედროვე ქართული ჯიშის ძროხების შესახებ ის აზრი არსებობს, რომ ისინი იმდენად ბევრს არ იწველიან, რამდენადაც მალალხარისხოვან, ცხიმიან რძეს იძლევიან. კოლხური ჯიშის ძროხას ზოოლოგებს გარდა ყურადღება მიაქცია გ. ჩიტაიამ, რომელიც წერს: „ხეცსურებსა და ქართველების სხვა ტომებს საუკუნეთა მანძილზე დიდად უმრომიათ ამ ჯიშის (იგულისხმება ხეცსურული ძროხა — თ. ყ.)“

¹¹ პირკანიისა და კასპიის ზღვებს ასახელებს ნაწარმოებიც *Περὶ χόσμου* („სამყაროს შესახებ“), რომელიც მიეწერება არისტოტელეს, მაგრამ სინამდვილეში მისი არ არის. აქ ეს ზღვები ოკეანესთან არიან დაკავშირებული.

¹² ესარგებლობდი შემდეგი გამოცემებით: *Aristotelis, De animalibus historia, textum recognovit Leonadrus Dittmeyer, Lipsiae, 1907.*

¹³ RE. გვ. 1047; Christ, ..., გვ. 734.

გაუმჯობესებაზე. თავისი ჩამომავლობით ეს ძროხა ძველი კოლხური ძროხის ჯიშისა უნდა იყოს, რომელსაც, პატარა ტანის მიუხედავად, დიდი წველადობა ახასიათებდა. ხევესურულ ძროხას დღეს ახასიათებს მაღალი წველადობა, ხოლო მის რძეს—დიდი ცხიმოიანობა. ხევესურულ ძროხას ეს თვისებები შექმნილი აქვს ადამიანის კულტურული ზეგავლენის შედეგად, კერძოდ, საკვების შერჩევა-გაუმჯობესების გზითაც. საძოვარ-საბალახოს შერჩევას ხევესურეთში დიდი ყურადღება ექცევა¹⁴.

პონტოს თავლის შესახებ არაერთ ბერძენ მწერალს აღუნიშნავს: ქსენოფონტი, სტრაბონი, კლავდიუს ელიანუსი. არისტოტელე „ცხოველთა ისტორიაში“ შემდეგს წერს ამ საკითხზე: V, 22. „პონტოში არიან ერთგვარი ფუტკრები, მეტისმეტად თეთრები, რომლებიც თავლს თვეში ორჯერ აკეთებენ. ხოლო თემისკირაში, რომელიც მდინარე თერმოდონტთანაა, ფუტკრები მიწაშიაც და სკებშიც ისეთ ფიჭას აკეთებენ, რომელშიც ცვილი ბევრი კი არ არის, არამედ ძალიან ცოტა, ხოლო თავლი კი სქელი. ფიჭა გლუვი და თანაბარია. ფუტკრები მუდამ არ აკეთებენ ამას, არამედ მხოლოდ ზამთრობით: რადგან პონტოში ბევრია სურო, რომელიც სწორედ ამ დროს ყვავის და მისგან იღებენ თავლს ფუტკრები. ამისოშიც ჩამოაქვთ ზემოდან¹⁵ თეთრი და ძალიან სქელი თავლი, რასაც აკეთებენ ფუტკრები უფიჭოდ ხეებზე. ამგვარი თავლი პონტოში სხვაგანაც გვხვდება“.

ამრიგად, არისტოტელეს უტყუარ ნაწარმოებში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი პონტოს ფუტკარი და თავლი.

„საოცარ ამბავთა შესახებ“ ტრადიციულად არისტოტელეს სახელს უკავშირდება, მაგრამ თანამედროვე სპეციალისტები სრულიად უარყოფენ ამის შესაძლებლობას. იგი მიჩნეულია კომპილაციურ ნაშრომად, რომელიც 3 სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება და აშკარად არისტოტელეს შემდეგ არის შექმნილი (მოთხრობილია ისეთი ამბები, რაც არისტოტელეს მერე მოხდა¹⁶). მაგრამ საბუნებისმეტყველო მასალა ასე თუ ისე თეოფრასტეს სახელს უკავშირდება;

¹⁴ ხევესურული სახლის „სენე“: ანალები, I, 1947, გვ. 153.

¹⁵ Ζωομαθαι—რუსულ თარგმანში არის „животных материка“, გერმანულ თარგმანში—aus den höheren Gegenden“.

¹⁶ ВДИ, стр. 327. Christ... გვ. 745, უფრო დაწვრილებით არის ვე-ის სტატიაში, სადაც მისი სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვაგვარად არის დათარიღებული, ხოლო ყველაზე გვიანდელი ახ. წ. VI ს-ით, გვ. 1046.

ის უნდა ყოფილიყო წყარო მისი ნაშრომის ამ ნაწილის ავტორისათვის. მაშინ, როდესაც ისტორიული ექსცერპტები ეყრდნობიან ტიმაფოსს, რომელიც პოსეიდონიოსის მეშვეობით არის ცნობილი მათი ავტორისათვის და მთლიანად კი მთელი ეს ნაწილი ადრიაწეს დროს განეკუთვნება.

ნაწარმოებში „საოცარ ამბავთა შესახებ“ არის ცნობები პონტოს თავლის შესახებ: სახელდობრ: 831^b. 17. „ამბობენ, რომ კაპადოკიის ზოგიერთ ადგილებში თავლი ფიქის გარეშე კეთდება, ხოლო სისქით ის ზეთის მსგავსია.

18. ტრაპეზუნტში, რომელიც პონტოშია, წიფელის თავლი მძიმე, სუნიანია; ამბობენ, რომ ჯანმრთელებს ის აგიჟებს. ხოლო ბნედიანებს საბოლოოდ სპობს¹⁷.

ამ ნაწყვეტის § 17 ახლოსა არისტოტელეს ქეშმარიტ ცნობებთან, ხოლო რაც შეეხება მეორეს (§ 18), იგი გვაგონებს ქსენოფონტისა (Anab. IV, 8, 20) და კლავდიუს ელიანუსის (ცხ. ისტ. V, 42) მონათხრობს.

ქსენოფონტი წერს: „ტრაპეზუნტის მიდამოში რომ მოვიდნენ ელინები, ბევრი სკა დახვდათ. ჯარისკაცებმა თავლი რომ შეჭამეს, გონება დაჰკარგეს. მათ გული ერეოდათ, კუჭი აეშალათ, ფეხზე დგომა არავის შეეძლო. ვინც ცოტა შეჭამა, ისინი მთვრალეებს ჰგვანდნენ, ხოლო ვინც ბევრი—გიჟებს, ანდა მომაკვდავებს. მაგრამ არავინ მომკვდარა. მეორე დღეს ისინი გონს მოვიდნენ, ხოლო მესამე და მეოთხე დღეს ადგნენ და ისე გრძობდნენ თავს, თითქოს მოწამვლის მერე რჩებიანო“ (ანაბ. IV, 8, 20).

კლავდიუს ელიანუსის ცნობა არისტოტელეს ცნობაზე არის დამყარებული და იქ ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ კაპადოკიელთა ქვეყანაში ფუტკრები თავლს უფიქოდ აკეთებენ და ეს თავლი ზეთსავით სქელია. მე ვიცი, რომ პონტოს ტრაპეზუნტში თავლს იღებენ წიფლისაგან. ამ თავლს მეტად მძიმე სუნი აქვს. ჯანმრთელ ადამიანებს ის აგიჟებს, ხოლო ბნედიანებს კვლავ ჯანმრთელობას უბრუნებს“ (V, 42). ის განსხვავება, რაც არისტოტელეს და კლავდიუს ელიანუსის ტექსტებს შორის არის, მომდინარეობს თვითონ არისტოტელეს ციტატის გაგებისაგან¹⁷. მსგავსი, მაგრამ უფრო ლაკონიური ხასიათის ცნობები აქვთ სტრაბონსა და პლინიუსს.

¹⁷ რუსულ თარგმანშია: „совсем вылечит“, ინგლისურ თარგმანშია: epileptics are cured by it immediately—ბერძნული ზმნა ἀπαλλάσσει—ამ ორივე შესაძლებლობას იძლევა.

სტრაბონი კოლხიდის აღწერისას გადმოგვცემს: „ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის, გარდა თაფლისა, ეს მეტწილად მწარეა“ (გეოგრაფია, XI, 2, 17). ხოლო პლინიუსი ამბობს: „საუკეთესო ცვილი არის პუნიკური. ხოლო ყველაზე უფრო ჰგავს მას პონტოს ქვეყნებისა—ის ყვითელი ფერისაა, თაფლის სუნიანი და სუფთა. ეს მე ძალიან მაკვირვებს, რადგან აქაური თაფლი შხამიანია“ (NH, XXI, 83).

ცნობა ამგვარი თაფლის შესახებ რომ სინამდვილეს შეესაბამება, ამას ადასტურებს მ. მაქსიმოვას შენიშვნაც¹⁸: „По рассказам современных путешественников, подобный мед и в настоящее время можно встретить в приморских городах этой области (ე. ი. შავი ზღვის სამხრეთ-აღმ. სანაპიროზე)... По-турецки он называется... „одуряющий мед“.

არისტოტელეს ცნობათა ერთი რიგი იძლევა ქართველ ტომთა დახასიათებას.

„პოლიტიკასა“ და „ნიკომაქოსის ეთიკაში“, რომლებიც არისტოტელეს შეიძლება დაუმთავრებელ, მაგრამ უტყუარ ნაწარმოებებად ითვლებიან, ლაპარაკია პონტოს ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის შესახებ. სახელდობრ: ნიკომაქოსის ეთიკა, 1148^b 22 „ცხოველურ [ჩვევებს] ვუწოდებ ისეთებს... როდესაც ამბობენ, რომ ზოგიერთები პონტოს ირგვლივ მცხოვრებ ველურ ტომთაგან სიამოვნებას განიცდიან ერთნი იმისაგან, რომ უმ ხორცს სჭამენ, მეორენი—ადამიანის ხორცს, მესამენი იმისგან, რომ ერთმანეთს ბავშვებს ასესხებენ ხოლმე წვეულებისათვის“. უფრო დაზუსტებულია ეს ცნობა „პოლიტიკაში“, 1338^b: „ტომთა შორის ბევრია ისეთი, რომელთაც მიდრეკილება აქვთ მკვლევლობისა და კაცობრიობის მიმართ, როგორც მაგ., პონტოსთან მცხოვრებთ შორის აქეებსა და ჰენიონებს და ხმელეთზე მოსახლე ტომთა შორის სხვებს, ზოგს ამათ მსგავსად და ზოგს კიდევ მეტად; [ეს ტომები] მეკობრეები არიან, მაგრამ ვაჟაკობას ვერ დაიკვებებენ“.

აქვეა მოსატანი ცნობა „პოლიტიკებიდან“, რომელიც თუ პირადად არისტოტელესი არა, მისი სკოლიდან მაინც არის გამოსული და „ფასისელთა სახელმწიფო წყობილების“ პატარა ფრაგმენტს წარმოადგენს¹⁹.

¹⁸ К с е н о ф о н т, Анабасис, М.-Л., стр. 275.

¹⁹ უფრო დაწვრილებით იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰერაკლიდე და მისი ცნობა საქართველოს შესახებ. არისტოტელეს ფრაგმენტების დამუშავებისას ესარგებლობდო გამოცემით: Aristotelis Fragmenta, edidit V. Rose, Lipsiae, 1896.

46. „ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაცი-
ჭამია და ადამიანთა ტყავის გამხდელი ტომი, შემდეგ კი მილეტე-
ლები, ხოლო ესენი სტუმართმოყვარენი არიან, ისე რომ ამარაგე-
ბენ მათ, ვისაც გემები ელუბებათ, 3 მნას აძლევენ [მილეტელებს
ესენი] და ზღვითვე მიემგზავრებიან“. ამრიგად, ამ ცნობებში არა-
ერთგზის არის აღნიშნული პონტოსპირეთის ტომების (ჰენიოხებისა
და აქეების) ცხოველური ჩვევები და ველური მიდრეკილებები—
კაციჭამიობა, მკვლელობა, ადამიანის ტყავის გახდა, მეკობრეობა.

„ეთიკაცა“ და „პოლიტიკაც“ განმაზოგადებელი ნაშრომებია, იქ
კატეგორიებზე არის ლაპარაკი და არა ცალკეულ ფაქტებზე, ამდენ-
ნად დებულებები კაციჭამია ტომების შესახებ ზოგადია, დაუთარი-
ლებელია. თარიღდება ის „პოლიტიების“ ფრაგმენტის მიხედვით.
ყოველივე ეს ხდებოდა, ჩანს, ე. წ. მილეტელთა კოლონიზაციამდე.
მაგრამ ჩვენ მაინც გვიჭირს, მიუხედავად არისტოტელეს დიდი
ავტორიტეტისა, იმის დაშვება, რომ ფასისში (და მის მიდამოებში)
მილეტელთა კოლონიზაციამდე ასეთი დაბალი კულტურული დონე
ყოფილიყო. არქეოლოგიური მასალა, მოპოვებული ამ ტერიტო-
რიაზე, ამის საშუალებას არ იძლევა²⁰.

ბერძნულ მწერლობაში ცნობა ჰენიოხებისა და აქეების ველუ-
რობის შესახებ ამის შემდეგ არა ერთხელ გვხვდება. ჰენიოხთა
ტომის დახასიათებისას ძველი ავტორები ერთსულოვნებას იჩენენ:
ისინი მეკობრეობითა და მომთაბარეობით ცხოვრობენ (დიოდორე,
ბიბლიოთეკა, 20, 25; სტრაბონი, XI, 2, 12); ისინი ველურები არიან
და ზიანს აყენებენ მეზღვაურებს (ე. ი. მეკობრეობას ეწვევიან—ოვი-
დიუსი, Ep. ex Ponto IV, 10). ისინი ველური, ულმობელი ზნისა
არიან (truces), რაც მედეას დროს გამოიჩინეს (ვალერიუს ფლა-

²⁰ ფასისის მოსახლეობის (არისტოტელეს ცნობის თანახმად ჰენიოხთა) განვითარების დონის შესახებ მსჯელობა შეიძლება იმ მასალის მიხედვით, რაც ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოაპოვა. არაფერს ვაპობ იმპორტულ კერამიკაზე, რომელიც ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება. ქველ ფასისთან დაკავშირებულ ნაშთსახლარზე, სოფ. ქვემო ქალაღიდის მიდამოში აღმოჩენილია თიხის პერპელი, კოლხეთისათვის ტიპური და დამახასიათებელი ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ფენებისათვის: თ. შიქელაძე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1962 წლის მუშაობის შედეგები: სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბილისი, 1963, გვ. 47—52; შიქელაძე, ფოთის არქ. ექსპედიციის მიერ 1963 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები: XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქ. კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1964, გვ. 22—26.

კუსი, VI, 41). ჰენიოხების მეკობრული ცხოვრება უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი სტრაბონს (გეოგრაფია, XI, 2, 12), მაგრამ სხვაგან არსად არ არის ლაპარაკი მათ კაციჰამიობაზე. სტრაბონი ჰენიოხების შესახებ იმასაც სწერს, რომ „ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ, როდესაც მითრიდატე ევპატორმა... ამათ ქვეყანაზე გადაიარა“ (XI, 2, 13). ჰენიოხების „ბასილევსები“, იმის საფუძველზე, რაც ამავე ავტორს ამ ტომის შესახებ უწერია, მესმის როგორც გვარის უფროსები, ე. ი. ძვ. წ. I ს-სათვის ჰენიოხებს გვაროვნული საზოგადოება აქვთ და მათი ბასილევსი გვარის უფროსია. აპიანე ჰენიოხებს მითრიდატეს მოკავშირებად აღცხადებს, მაგრამ ასეთივე მოკავშირეები არიან არანაკლებ ველური აქაჯები, სკვითები, ხალიბები (მითრიდატეს ომების ისტორია, გვ. 144, 196, 223—224). ერთი სიტყვით, არისტოტელეს ცნობის თანადროული სხვა ცნობები არ გვაქვს, მაგრამ ერთი დაშვება შეიძლება: არისტოტელე კაციჰამია და კაციისკლის მოყვარულ ტომთა შორის, მართალია, ასახელებს ჰენიოხებსა და აქეებს, მაგრამ იქვე ამბობს, რომ სხვები, რომლებიც უფრო დაწვრილებით ცხოვრობენ ზღვისგან ზოგი ამათსავით ველურია და ზოგი კიდევ უფრო მეტადო.

რადგან ეს ცნობა დათარიღებული არ არის (და მეორე ცნობის მიხედვით კი ყოველივე ეს უფრო ადრე ხდებოდა, ვიდრე მილეტელები ფასისში მოვიდოდნენ), ამიტომ სავარაუდებელია, რომ ეს ეხება დაახლ. ჰომეროსის დროს, როდესაც სტრაბონის ცნობით „არ შეიძლებოდა ამ ზღვაზე (ე. ი. შავ ზღვაზე) ცურვა და იწოდებოდა არასტუმართმოყვარედ (ἄξεως) მისი მღელვარებისა და ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის გამო. ეს ეხება განსაკუთრებით სკვითურ ტომებს, რომლებიც უცხოელებს სწირავენ მსხვერპლად, ჰამენ მათ ხორცს და თავის ქალებს სასმისებად იყენებენ. ხოლო შემდეგში მას სტუმართმოყვარე (εὔξεως) ეწოდა, მას შემდეგ, რაც იონიელებმა სანაპიროზე ქალაქები ააგეს (VII, 3,6)“.

მთელი ეს მასალა მოტანილია იმის ასახსნელად, თუ საიდან მოდის ის გადაჭარბება, რაც არისტოტელეს აქვს ამ ორი ტომის მიმართ. ბერძნულ მწერლობაში მრავალი საუკუნის მანძილზე ისინი დაბალი განვითარების ტომებად არიან მიჩნეული, ხოლო რაც შეეხება მათ კაციჰამიობას, ის უნდა მომდინარეობდეს სკვითების (ეს ფართო ცნება ბევრ ტომს აერთიანებდა, რომელთაც განვითარების თანაბარი დონე არ ჰქონიათ) იმ რეპუტაციიდან, რაც მათ ბერძნებში ჰქონდათ. შესაძლოა ცნობა სკვითების კაციჰამიობის შესახებ

ავტორმა განავრცო აქეებსა და ჰენიოხებზედაც, რომლებიც აგრეთვე სკეიჯურ ტომად მიიჩნია.

თუ ერთ ფრაგმენტში ფასისის მცხოვრებლები ველური კაციჰამიები არიან, მეორე ფრაგმენტში (83) ფასისიდან მოსული ხალხი ათენშია და მათ საზოგადოებაში ატარებს დროს ათენელი სახალხო ორატორი.

83. „სხვები ამბობენ ფილოქსენოსზე²¹, რომ ის თევზის მოყვარულია, ხოლო არისტოტელე ამბობს, რომ ის უბრალოდ წვეულების მოყვარული იყო. ის სადღაც წერს კიდევაც შემდეგს: სახალხო ორატორები მთელ დღეს ხალხში ატარებენ, სასწაულმოქმედთა სანახაობებზე და ფასისიდან ან ბორისთენედან ზღვით მოსულებთან, მათ არაფერი აინტერესებთ საერთოდ, გარდა ფილოქსენოსის წვეულებისა²².

ჩვენ იმას ვერ ვიტყვი, რომ სახალხო ორატორების საქმიანობა, დიდად იყოს მოწონებული, მაგრამ ერთია კია, რომ ამ ცნობის მიხედვით ათენში ამ დროისათვის ფასისიდან მოსული ხალხი იშვიათობა არ ყოფილა და მათთან დროს ტარებას სახალხო ორატორები არ გაუბობდნენ. ამ ჩამოსულთა მიზნებზე არაა ლაპარაკი ამ ფრაგმენტში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი, ზღვით მოსულნი ამოდენა მანძილზე ტყუილად არ იქნებოდნენ წამოსულნი, უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, უთუოდ სავაჭრო საქმიანობა და ურთიერთობა ექნებოდათ ათენელებთან; იმ მოედანზე, სადაც სასწაულმოქმედთა სანახაობები იმართებოდა, ესენიც ტრიალებდნენ და თავის საქმეს აკეთებდნენ²³.

ზემონსენებულ ნაწარმოებში „საოცარ ამბავთა შესახებ“ კარგად დიდი ნაწყვეტებია ბევრ სხვა ბერძენ მწერალთან ხსენებული ხალიბური რკინისა და მოსინიკური სპილენძის თვისებებისა, ღირსებისა და დამუშავების წესების შესახებ. ჩემგან ავ რიგის ცნობებს დიდი

²¹ ფილოქსენოსი იყო ათენელი ფილოსოფოსი: ანაქაგორას მოწაფე, წერს მის შესახებ В.И. პლატონი იხსენიებს მას როგორც ავტორს ნაწ-ისა *τραγευσία* (კომეროსზე იყო პაროდია.—თუმა საქმელ-სასმელ) Christ, I⁶... გვ. 415—416.

²² ეს ფრაგმენტი რუსულად არის თარგმნილი. თარგმანი შეიტაცეს უზუსტობებს და ბოლო საერთოდ გაუგებარია: „...он где то пишет так: „народные ораторы проводят целый день на представлениях фокусников и в болтовне с приезжающими из Фасида или Борисфена, не чигая ничего (?) кроме обеда Филоксена, да и то не целого (?)“.

²³ დ. ჯანელიძის აზრით, ფასისიდან ათენში მოქალაქენი არა მხოლოდ სავაჭრო მიზნებით მოდიოდნენ. „შესაძლოა ფასიანელები ელინურ დღეობაზე ყოფილიყვნენ ჩამოსულნი და მათ სანახაობრავ შეჯიბრებებშიაც მიეღოთ მონაწილეობა, რაკი ისინი ხალხში ტრიალებდნენ იქ, სადაც სასწაულმოქმედთა სანახაობები იყო გამართული და რაკი ფასიანელთა საზოგადოებაში დროს ატარებდა ათენელი სახალხო ორატორი“: „ლიტერატურული საქართველო“, № 2 (1664). 4. VII.1969.

კომენტარები არ სკირდება, ერთს კი აღვნიშნავ, რომ ასე კარგად ჩამოყალიბებული ეს ცნობები სხვა ავტორებთან არ არის.

833^ბ. „ამბობენ, რომ განსაკუთრებულია ხალიბური და ამისური რკინის წარმოშობა. რადგან, როგორც ამბობენ, ის დაკავშირებულია იმ ქვიშასთან, რომელიც მდინარეებს ჩამოაქვს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ [ქვიშას], უბრალოდ გარეცხილს ახურებენ, ხოლო სხვების აზრით ის, რაც რჩება გარეცხვისა და გახურების შემდეგ, კიდევ მრავალგზის ირეცხება, ხოლო შემდეგ მასში სდებენ ეგრეთ-წოდებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც ამ ქვეყანაში ბევრია.

ეს რკინა ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე. მაგრამ იგი ერთ ლუმელში რომ არ დნებოდეს, როგორც ჩანს, არაფრით განსხვავდებოდა ვერცხლისაგან. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს [რკინაა], რომ არ იუანგება, მაგრამ ის ბლომად არ მოიპოვება“.

835^ა. „ამბობენ, რომ მოსინიკური სპილენძი ყველაზე მეტად მბრწყინავი და თეთრია, იმიტომ კი არაა, რომ თუთია ურევია, არამედ იმიტომ, რომ მიწის რალაცა ნაწილი არის მასში შერეული და გახსნილი. ამბობენ, რომ მან, ვინც აღმოაჩინა ეს ნარევი, [სხვას] არავის ასწავლა, ამიტომ, რომ ამ ადგილებში უწინ გაკეთებული სპილენძის ქურჭელი [თავისი ღირსებებით] გამორჩეულია, ხოლო ახალი გაკეთებული აღარ [გამოირჩევა]“.

ძველ ბერძნულ მწერლობაში გაცილებით უფრო ადრე ჩნდება ცნობები კოლხების, ვიდრე იბერების შესახებ. ამისი მიზეზი უთუოდ ისაა, რომ ბერძნებმა უფრო ადრე გაიცნეს შავი ზღვის პირას მოსახლე კოლხები, ვიდრე ქვეყნის შიგნით მცხოვრები იბერები. ამდენად, იბერების ხსენებას არისტოტელესთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც უძველეს ცნობას, რაც კი მოიპოვება ბერძნულ მწერლობაში იბერების შესახებ. არისტოტელე „იბერებს“ ჩვეულებრივ უწოდებს ესპანეთის მკვიდრთ და მათ საკმაოდ ხშირად იმოწმებს. მაგრამ „პოლიტიკაში“ ერთგან გვაქვს ისეთი მოხსენება „იბერებისა“, რომ სრულიად შესაძლებელია ეს ცნობა საქართველოს იბერებს ეხებოდეს. Pape თავის ლექსიკონში არისტოტელეს მიერ ამჯერად ხსენებულ იბერებსაც ესპანეთის იბერებად მიიჩნევს.

1324^ბ. „ზოგიერთ ტომებში კანონები კიდევაც აქეზებენ [ხალხს] ამ სიქველის (იგულისხმება ვაჟკაცობა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლა—თ. ყ.) მიმართ, როგორც მაგ., კარქედონში, სადაც ამბობენ, რომ კაცი იმდენი რგოლისაგან შემდგარ სამკაულს იღებს, რამდენ

ლაშქრობაშიც მიუღია მონაწილეობა. ოდესღაც მაკედონიაში იყო კანონი, რომ კაცს, თუ მას არასოდეს მოეკლა მტერი, ცხენის აღვირი უნდა შემოერთებოდა წელზე [ქამრის ნაცვლად]. სკვითებში ნება არ იყო რომელიმეცა დღესასწაულის დროს ჩამოტარებული სასმისის დაღვევისა იმის მიერ, ვისაც არცერთი მტერი არ ჰყავდა მოკლული. ხოლო იბერთა შორის, რომელიც მეომარი ტომია, [წესია], იმდენი ობელისკი²⁴ უნდა დაირჭოს [კაცის] საფლავის ირგვლივ, რამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული. ამრიგად, ამისთანა მრავალი რამ არის სხვადასხვა ტომთა შორის, ზოგი კანონის მიერ დაწესებული და ზოგი კიდევ ჩვეულებათა [საფუძველზე განმტკიცებული]“.

ამ ნაწყვეტის მიხედვით არ ჩანს, რომელ იბერებზეა ლაპარაკი. აქ სხვადასხვა ხალხია ჩამოთვლილი — კართაგენელები, მაკედონელები, სკვითები, იბერები. სკვითების მერე იბერების მოხსენიება არ ნიშნავს მაინცადამაინც იმას, რომ მეზობლობის პრინციპია დაცული, რადგან მანამდე მაკედონელები იყვნენ და იქამდე კიდევ კართაგენელები. თუმცა ესპანეთის იბერების მოხსენიება უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ კონტექსტში სულ თავში, რადგან ასეთი ჩამოთვლების შემთხვევაში არისტოტელეს საერთოდ ერთგვარი გეოგრაფიული თანმიმდევრულობა ახასიათებს. მაგ., აქვე, ცოტა ზემოთ სწერია ასეთი რამ: „იმ ტომებში, რომლებიც საკმაოდ ძლიერნი და ხარბნი არიან, ამგვარი [სამხედრო] ძლიერება დიდ პატივშია. [ეს ტომები არიან] სკვითები, სპარსელები, თრაკიელები და კელტები“ (ხომ არ არის გვერდიგვერდ — „სკვითები და კელტები“?). მართალია, საქართველოს იბერები აქ მოხსენიებულნი არიან როგორც მეომარი ტომი (რაც მერეც ხდება ხოლმე), მაგრამ არც ესპანეთის იბერებზე წერია არსად, რომ ისინი მეომრები არ არიან.

ამ ცნობასთან დაკავშირებით არ შეიძლება, რომ არ გავვახსენდეს პლატონის „კანონებიდან“ ერთი ადგილი, სადაც ასევე „მეომარ იბერებზეა“ ლაპარაკი (და ეს „იბერები“ ყოველთვის ესპანელებად მიაჩნიათ ხოლმე). ...ἀσπερ Σχίσματα χρῶνται καὶ Πέρσαι χρηστέον, καὶ ἔτι Καρχηδόνιοι καὶ Κελτοὶ καὶ Ἰβήρες καὶ Θράκες, πολε-

²⁴ *ὀβελίσκος* — небольшой вертел или рожен; обелиск, мелкая монета (обелиск — четырехугольная колонна, суживающаяся кверху и оканчивающаяся пирамидальным острием“. რუსულ თარგმანშია „столько колышков“. ინგლისურ თარგმანშია; „small spits“ და შენიშვნაშია: „or perhaps «pointed stones»“.

μὰδ ξῆμαχουα δντα τανουα γένη, ἢ ααμᾶπερ ἔμαζε (Nóμοι, I, 9, p. 637 D). „ისე უნდა სმა, როგორც სვამენ სკვითები და სპარსელები, ან კიდევ კართავენელები, კელტები, იბერები და თრაკიელები. ყველა ეს ტომი ხომ მეომარია, თუ ისე, როგორც თქვენ [სვამთ]?“

აქაც „იბერთა“ მიმართ იგივე ეპითეტია ნახმარი, რაც არისტოტელესთან, ტომთა სიაც დაახლოებით ისეთივეა, მხოლოდ განსხვავებით არისტოტელესგან ტომთა თანამიმდევრობაა სხვა—პლატონის „იბერები“ კელტებსა და თრაკიელებს შორის იხსენიებიან; თუ კი ყოველივე ამას ასეთ გადამწყვეტ მნიშვნელობას მივანიჭებთ.

ერთადერთი, რაც საშუალებას გვაძლევს არისტოტელეს ეს ცნობა ქართველებს განვუკუთვნოთ, არის ის ქართული ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც მას უჭერენ მხარს.

კავკასიის მთიელების შესახებ ერთი ასეთი ცნობა არსებობს: „თურმე მათ [ქისტებს—თ. ყ.] წესად ჰქონდათ, რამდენსაც ვინ მაგანძურს მოკლავდა, იმდენ წითელ ჯელისაჯოცს ამოიტანებდა ქამარში, წელში... ქორწილში ჰისტებმა თურმე ფერჯისა დაახეს და ერთ ქისტს თორმეტი ჯელისაჯოცი ეტანა წელში, თორმეტი მეგანძური მოეკლაო“²⁵, ე. ი. რამდენ მტერსაც მოკლავდა ქისტი, იმდენი წითელი ხელსახოცი უნდა გაეკეთებინა ქამარში. არსებობს ასეთი ცნობაც: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ მთიულეთში არის ასეთი ჩვეულება: მოკლულის დამარხვისას მისი მახლობლები მის საფლავთან ფიცს სდებენ, რომ მას ისისხლებენ. ხოლო ფიცის დადება გულისხმობს ჭდეების დადებას კვერთხზე— ე. ი. იმდენი ჭდე იქნება კვერთხზე, რამდენმა კაცმაც დასდო ფიცი, რომ მოკლულს ისისხლებდა²⁶.

არცერთ ამ ცნობაში არ არის განმეორებული ის, რასაც არისტოტელე წერს, მაგრამ მტრის მოკვლა რომ კავკასიონის აღმოსავლეთ მთიანეთში რაღაცა ერთეულებით აღინიშნებოდა (ერთ შემთხვევაში წითელი ხელსახოცებით, რომელიც მკვლელს უნდა ეტარებინა და მეორე შემთხვევაში ჭდეებით, რომელსაც მოკლულის მახლობლები აკეთებდნენ), ეს ცხადია.

²⁵ ა. ლ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურების ჯვრებთან დაკავშირებული ამბები, რვ. I. 1949, გვ. 1 (მასალები დატულია საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მასალა მომარწოდა თ. ოჩიაურმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ).

²⁶ ეს ცნობა მომარწოდა პროფ. გ. ჩიტაიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

ყოველივე ამის მიუხედავად, არისტოტელეს მიერ მოხსენიებულ იბერებს მხოლოდ პირობით შევიტან ჩვენს მასალაში, რადგან, სამწუხაროდ, არ ვიცნობ ეთნოგრაფიულ მასალას ესპანეთის იბერების შესახებ, რაც საშუალებას მომცემდა გარკვევით მეთქვა, რომ მათ შორის არ არსებობს ამის მსგავსი წეს-ჩვეულება მტრის მოკვლასთან დაკავშირებით.

ამ რიგის წერილობითი ცნობები სხვაც მოგვეპოვება (მაგრამ, სამწუხაროდ, საკუთრივ იბერების შესახებ არა).

ძვ. წ. I ს-ის ავტორი, ნიკოლოზ დამასკელი წერს: „სინდები საფლავზე იმდენ თევზს აგდებენ, რამდენი მტერიც ჰყავს მოკლული გარდაცვალებულს“ (უცნაურ ჩვეულებათა კრებული, § 120)..

სინდები სკვითური მოდგმის ტომია, უფრო ზუსტად—მეოტი ტომია, ისინი ცხოვრობდნენ დღევანდელი ანაპის მიდამოში, ე. ი. საქართველოს იბერებთან უფრო ახლოს, ვიდრე ესპანეთის იბერებთან. ეესტათის კომენტარის მიხედვით სინდები იგივე Ζιζυοί (ჯიჯები) არიან.

ცხადია არისტოტელეს ცნობა იბერთა შესახებ იგივე არ არის, მაგრამ მოტივები უეჭველად საერთოა. თანაც ნიკოლოზ დამასკელის ერთ-ერთ წყაროდ არისტოტელეა მიჩნეული.

„პეპლოსი“ არ ეკუთვნოდა არისტოტელეს და ისე მიეწერა მის სახელს. ჯერ კიდევ იოანე ცეცე იყო ამ აზრისა. ეს ეპიგრამები, რომლებიც ამ მითოლოგიური ხასიათის ნაწარმოებში იყო ჩართული ზოგი სპეციალისტის აზრით დაახლ. 250—150 წწ. უნდა იყოს შეთხზული²⁷.

მიუხედავად ამისა, არისტოტელეს ფრაგმენტებში ყოველთვის არის ხოლმე შეტანილი ამ „პეპლოსიდან“ მოღწეული ნაწყვეტები²⁸, მე მინდა მათგან შევჩერდე ერთ ეპიტაფიაზე:

43. „აძეტეს მიმართ, რომელიც განისვენებს კოლხიდაში.

აძეტე, ოქრომრავალი კოლხების მეუღლე

აქ გააპათიოსნა ღმერთების ყველაფრის დამთრგუნველმა ბედისწერამ“.

პირველ რიგში ერთი ენობრივი ხასიათის შენიშვნა მინდა გავაკეთო ამ ნაწყვეტის მიმართ—ბერძნული $\pi\alpha\upsilon\mu\alpha\mu\acute{\alpha}\tau\alpha\rho\ \mu\iota\sigma\iota\beta\alpha$ (ყველა-

²⁷ RE, 33. 1054.

²⁸ ესარგებლობდი გამოცემით: Aristotelis Fragmenta, edidit V. Rose, Lipsiae, 1836. Anthologia lyrica, edidit E. Diehl, VI... Lipsiae, 1924.

ფრის დამთრგუნველი ბედისწერა) მთლად გამართული გამოთქმა არ არის, უთუოდ ის ლექსის გამოა დაშვებული. ჯერ ერთი, $\pi\alpha\upsilon\delta\alpha\mu\acute{\alpha}\tau\alpha\rho$ არის მამობრივი სქესის ფორმა (იმავე მნიშვნელობისაა დედრ. სქესისათვის $\pi\alpha\upsilon\delta\alpha\mu\acute{\alpha}\tau\epsilon\iota\rho\alpha$) და შემდეგ—ეს არის არსებითი სახელი, რაც გამოყენებულია $\mu\omicron\iota\dot{\iota}\rho\alpha$ -სთან (დედრობითი სქესის სუბსტანტივთან) მსაზღვრელად ისე, როგორც გამოიყენებდნენ ზედსართავს. როგორც ჩანს ასეთი გადახვევა გამოიწვია ლექსის (დაქტილური პენტამეტრის) საკიროებამ არაპირველხარისხოვან პოეტთან. მთავარი, რის გამოც მივაქციე ამ ფრაგმენტს ყურადღება ისაა, რომ მისი ავტორისათვის კოლხები ოქრომრავალი, ოქროთი მდიდარი ტომია და რომ ეს ეპითეტი ($\pi\omicron\lambda\lambda\chi\rho\sigma\theta\epsilon\varsigma$) ბერძნულ მწერლობაში განეკუთვნებოდა ხოლმე მიკენს (სოფოკლე, ელექტრა, 9), სარდეს (ესქილე, სპარს., 45), ბაბილონს (იქვე, 53); პირთაგან—გიგესს (არქილოქე, 2), პრიამეს (კოლუთუს, 283).

მართალია, ეს მასალა უფრო გვიანდელია, ვიდრე არისტოტელეა, შესაძლოა მისი ავტორი კარგად იცნობდა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“, და ცნობა იქიდან ჰქონდა აღებული, მაგრამ ის, რომ მან სწორედ ისე მოიხსენია კოლხები, როგორც იმდროინდელ მსოფლიოში სიმდიდრით განთქმული ქალაქები (მიკენი, სარდე, ბაბილონი) და პირები (გიგესი, პრიამე), იმის მაუწყებელია, რომ მის წარმოდგენაში კოლხები მდიდარი (და ძლიერი) ხალხი ყოფილა ადრევე დროს.

„პელოსის“ ნაწყვეტების გადაკითხვისას ადვილად შეიმჩნევა, რომ მასში ეპიტაფიების 2 ჯგუფია: ერთი ჯგუფი არის აქაველთა ბანაკის გმირების შესახები ეპიტაფიები და მეორე—ტროელი გმირებისა (ბოლოში არის რამდენიმე ეპიტაფია და აქ ერთად არიან ოადიპოსი, აქილეუსი, პატროკლე. როგორც ჩანს ეს ერთგვარად შემდგომი დამატებაა კიდევ). თუ ეს გამომცემლებისა და რედაქტორის ნაღვაწი არ არის და ხელნაწერს, დედანს ძირითადად ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც ის გამოცემულია, მაშინ უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოება: ადრევე, ისევე როგორც აქილეუსი, აქაველთა ჯგუფშია.

მე არ ვლაპარაკობ იმ ვითარებაზე, რომელიც ჰომეროსის „ილიადასა“ და საკუთრივ მის „ხომალდთა კატალოგში“ არის. შემდეგ ხანებშიც, თუნდაც მაგ., ჰეროდოტესთან ისეთი ცნობებია, რომ უდავოა, ერთმანეთს უპირისპირდებიან ელინები (seu აქაველები)

და ტროელები, და კოლხები ამ სიტუაციაში ტროელების მოკავშირეები არიან²⁹.

როგორც ჩანს, „პელოსის“ შემდგენელი ასეთ საკითხებში არ იყო ჯეროვნად გარკვეული.

მე მინდა შევჩერდე კიდევ ერთ ცნობაზე, რომელიც არის არისტოტელეს ერთ-ერთი ნამდვილი თხზულების³⁰, *Περὶ ἰσπαρχῶν* (ცის შესახებ) სქოლიოებში. მართალია, არც სქოლიოები ეკუთვნის არისტოტელეს³¹ და არც ცნობა ეხება საკუთრივ საქართველოს, მაგრამ ჩვეულებრივ სქოლიოები მასთან ერთად განიხილება, რასაც ისინი განმარტავენ, ხოლო ცნობა საკმაოდ საინტერესოა.

სქოლიო განეკუთვნება აღნიშნული ნაშრომის II წიგნს. იქ წერია: „ამბობენ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არქტიკული რკალისა, რომელიც ჩრდილოეთ პოლუსის მახლობლადაა და ზაფხულის ტროპიკული [რკალის] შუაში; სკვითები—რუსები (*ῥῶς μὲν Ἰσπαρχῶς τῆς Ῥώης*) და სხვა ჰიპერბორეელი ტომები [ცხოვრობენ] ჩრდილოეთის რკალის მახლობლად, ხოლო ეთიოპები, არაბები და სხვები—ზაფხულის ტროპიკული [რკალის] მახლობლად... ელინები კი ცხოვრობენ ჰიპერბორეელი ტომებისა და აღმოსავლეთის მახლობელი [ტომების] შორის, ამიტომაა, რომ ისინი სხვებზე უფრო გონივრები არიან, და ბრძოლებში [სხვებზე] უფრო ძლიერნი და მამაცნი, რადგანაც უფრო ზომიერ ადგილას ცხოვრობენ“.

ის გარემოება, რომ ბერძენს თავისი თავი ყველაზე უკეთესი ეგონა (და არისტოტელეც ხომ ბერძენია), არ საჭიროებს დიდ კომენტარებს. ამ დროინდელი ბუნებისმეტყველების მონაპოვარია ისიც, რომ ზომიერი ჰავის უპირატესობა აღიარებული იყო მაშინდელ შრომებში (და საერთოდ ბევრი იწერებოდა იმაზე, თუ კლიმატი რა გავლენას ახდენს ადამიანთა ფიზიკურ და სულიერ მონაცემებზე. შდრ., მაგ., ჰიპოკრატეს ტრაქტატი „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“).

²⁹ თ. ყაუხჩიშვილი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, გვ. 29—30.

³⁰ W. Christ, გვ. 733: RE... გვ. 1045. გერკეს ამ ნაწარმოების სახელწოდება ციცერონის დროს დაკმეული მიაჩნია.

³¹ ამ ნაწარმოების სქოლიოები ეკუთვნის სიმპლიციუსს, რომელიც VI ს. მოღვაწეობდა: Christ..., I⁶, გვ. 506—507; RE, გვ. 1045.

მე მინდა შევაჩერო ყურადღება გამოთქმაზე—„სკვითები—რუსები და სხვა ჰაბორბორეელი ხალხები ცხოვრობენ ჩრდილოეთის რკალის მახლობლად“.

„სკვითები—რუსები“ მე შესმის ისე, რომ სქოლიასტის აზრით, ვისაც უწინ ერქვა სკვითი, ახლა მას რუსი ჰქვია. ეს იგივე ვითარებაა, რაც გვიქონდა გაცილებით ამაზე ადრე, ძვ. წ. V ს-ში ჰეროდოტესთან, რომელთანაც დასტურდება ასეთი ფორმები: აჰა—კოლხიდა (აჰა ძველი სახელი ქვეყნისა, კოლხიდა უფრო ახალი), პითოდელფო (პითო ძველი სახელი ფოკიდის ერთი ადგილისა და ქალაქისა, დელფო შედარებით ახალი, იმავე ადგილისათვის), პელაზგები-ეგიალები (ესენიც პარალელური სახელებია; იონიელებს ჯერ ეწოდებოდათ პელაზგები და შემდეგ ეგიალები—ე. ი. უფრო ადრე ერქვათ მათ პელაზგები, ეს უფრო ძველი სახელია და შემდეგ ეგიალები, ეს შემდეგ დარქმეული სახელია)³².

ამგვარად, ერთ რიგში გვაქვს—აჰა, პითო, პელაზგები, სკვითები და მეორე რიგში, მათ შესაბამისად უფრო ახალი სახელები: კოლხიდა, დელფო, ეგიალები, რუსები.

ВДН, XX, გვ. 332 ამ ადგილის მიმართ ასეთ კომენტარს აკეთებს: „Наименование „русь“ или „рос“ употребляется византийскими писателями, наряду с наименованием „скифы“, применительно к славянским племенам; при этом подчеркивается, что термин „рос“ является местным и самобытным*. Его происхождение и этимология не могут еще, однако, считаться окончательно выясненными“... რუსულ თარგმანში ამ ადგილას გვაქვს „Скифы—русь“.

1324^a ზოგიერთები ამ აზრისა არიან, ხოლო სხვები კი ამბობენ, რომ სახელმწიფოს მართვის მხოლოდ დესპოტური და ტირანული სახეობა არის ბედნიერების [მომნიჭებელი]. ხოლო სხვებთან სახელმწიფოს მართვის [შეზღუდვითა] და კანონთა ამ განსაზღვრით უნდა იმართონ მახლობლები. ამიტომაც, რომ, როგორც იტყვიან, უწესრიგოდაა მრავალი წეს-ჩვეულება მრავალ [ხალხთა] შორის, მაგრამ თუ სადმე კანონები ყურადღებას ამახვილებენ რაიმე ერთი მომენტის მიმართ, [აქ ეს კანონები] ყველა მიისწრაფიან ძალმომრეობისაკენ, როგორც მაგ. ლაკედემონსა და კრეტაზე, სადაც მტრის წინააღმდეგ დასარაზმევად არის მიმართული როგორც აღზრდა, ასევე კანონთა სიმრავლეც. ასევე ყველა იმ ტომებში, რომლებიც საკმაოდ ძლიერნი და ხარბნი არიან, ამგვარი [სამხედრო] ძლიერება დიდ პატივშია. [ეს ტომები არიან] სკვითები, სპარსელები, თრაკიელები და კელტები. ზოგიერთ [ტომებში] კანონები კიდევაც აქეზებენ [ხალხს] ამ სიქველის მიმართ, როგორც მაგ. კარქედონში, სადაც ამბობენ, რომ კაცი იმდენ რგოლისაგან შემდგარ სამკაულს იღებს, რამდენ ლაშქრო-

* καὶ τῶν Congreve (δ' οὗτος καὶ τῶν νόμων καὶ τῆς πολιτείας ὁρος GM, et sic cum παιδείας pro πολιτείας Busse): τῶν codd.

ὀβελισκοὺς καταπηγνύουσι περὶ τὸν τάφον ὅσους ἂν διαφθείρη τῶν πολεμίων· καὶ ἔτερα οὐκ παρ' ἐτέροις ἔστι τοιαῦτα πολλὰ, τὰ μὲν νόμοις κατελιγμμένα τὰ δὲ ἔμμεσι. ქαμრის ნაცვლად]. სკვითებში ნება არ იყო რომელიღაც დღესასწაულის დროს ჩამოტარებული სასმისის დაღვევისა იმის მიერ, ვისაც არცერთი მტერი არ ჰყავდა მოკლული. [ხოლო იბერთა შორის, რომელიც მეომარი ტომია, [წესია], იმდენი თბელისკი * უნდა დაირქოს [კაცის საფლავის] ირგვლივ, რამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული. ამრიგად, ამისთანა მრავალი რამ არის სხვადასხვა ტომთა შორის, ზოგი კანონის მიერ დაწესებული და ზოგი კიდევ ჩვეულებათა [საფუძველზე განმტკიცებული].

1338° (VIII, 3, 20—25). πολλὰ δ' ἔστι τῶν ἐθνῶν ἃ πρὸς τὸ κατείνεῖν καὶ πρὸς τῆν ἀνθρῶποφωγίαν εὐχερῶς ἔχει, καὶ ἄπειρα τῶν περὶ τὸν Πόντον Ἀχαιοὶ τε καὶ Ἕλληες, καὶ τῶν ἰππερωτικῶν ἐθνῶν ἕτερα, τὰ μὲν ἑμοίως τοῦτοις τὰ δὲ μάλλον, ἃ λεγόμενα μὲν ἔστιν ἀνδρείας δ' οὐ μετελλήφασι.

ბაშიც მიუღია მონაწილეობა. ოდესღაც მაკედონიაში იყო კანონი, რომ კაცს, თუ მას არასოდეს მოეკლა მტერი, ცხენის აღვირი უნდა შეშოერტყა [წელზე ქამრის ნაცვლად]. სკვითებში ნება არ იყო რომელიღაც დღესასწაულის დროს ჩამოტარებული სასმისის დაღვევისა იმის მიერ, ვისაც არცერთი მტერი არ ჰყავდა მოკლული. [ხოლო იბერთა შორის, რომელიც მეომარი ტომია, [წესია], იმდენი თბელისკი * უნდა დაირქოს [კაცის საფლავის] ირგვლივ, რამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული. ამრიგად, ამისთანა მრავალი რამ არის სხვადასხვა ტომთა შორის, ზოგი კანონის მიერ დაწესებული და ზოგი კიდევ ჩვეულებათა [საფუძველზე განმტკიცებული].

1338° ტომთა შორის ბევრია ისეთი, რომელთაც მიდრეკილება აქვთ მკვლელობისა და კაცობის მიმართ, როგორც მაგ. პონტოსთან [მცხოვრებთ შორის] აქვებსა და პენიონებს და ხმელეთზე მოსახლე ტომთა შორის სხვებს, ზოგს ამათ მსგავსად და ზოგს კიდევ მეტად. [ეს ტომები] მეკობრეები არიან, მაგრამ ვაჟკაცობას ვერ დაიკვებებენ.

PROBLEMS**

872° (III, 7, 3—9). Διὰ τῆς οἱ μὲν παῖδες φεραμοὶ ἔντες οὐ φιλοῖνοι· εἰσι, Σαύθαι δὲ καὶ οἱ ἀνδρες οἱ ἀνδρείοι· φεραμοὶ ἔντες φιλοῖνοι; ἢ ὅτι οἱ μὲν φεραμοὶ ἔντες καὶ ξηροὶ (ἢ γὰρ τοῦ ἀνδρὸς ἕξις τοιαύτη), οἱ δὲ παῖδες ὑγροὶ καὶ

პრობლემები

872°. რატომღაც, რომ ყრმებს, რომლებიც თბილები არიან, არ უყვართ ღვინო, ხოლო სკვითებსა და ვაჟკაც კაცებს, რომლებიც [ასევე] თბილები არიან, უყვართ ღვინო? ეს იმიტომ ხომ არაა, რომ ესენი თბილები არიან და მშრ-

* ὀβελισκος—შამურბი, ქვა, პატარა სვეტი.

** ტექსტი ამოწერილია: Aristotle, Problems, with an english translation by W. S. Hutt, 1953 (first printed 1936).

Φερμοί; ἢ δὲ φιλοποσίᾳ ἐστὶν ἐπιθυμία ὑγρὸν τινός. ἢ οὖν ὑγρότης καλῶς διψητικὸς εἶναι τοὺς παῖδας· ἐνδεῖα γὰρ τις ἐστὶν ἢ ἐπιθυμία.

ყრმების, ხელს უშლის იმას, რომ ყრმები მწყურვალნი იყვნენ, რადგან სურვილი რაღაცის ნაკლოვანების გამო არის ხოლმე.

909^a (XIV, 2, 18—22). Διὰ τὴν ἐν τῷ Πόντῳ ὁ σίτος ἐαυτεῖς ἐν τῷ ψύχει πολλὰ ἔτη γίνεται ἄκοπος; ἢ ὅτι ἐξικμάσσεται τὸ ἀλλότριον ὑγρὸν μετὰ τοῦ Φερμοῦ, ὡσπερ ἐν ταῖς σταφυλαῖς; εἶνα μὲν γὰρ ὑπὸ τοῦ ψυχροῦ, εἶνα δὲ ἄμα τῷ Φερμῷ.

920^a (XIX, 28, 1—4). Διὰ τὴν νόμοι καλοῦνται οὖς ἀποῦσαι; ἢ ὅτι πρὶν ἐπιτεῖσθαι γράμματα, ἦδον τοὺς νόμους, ὅπως μὴ ἐπιλάθωνται, ὡσπερ ἐν Ἀγαθῶν-σῶς ἔτι ἐλάθων; καὶ τῶν ἰστέρων οὖν ᾧδῶν τὰς πρώτας τὸ αὐτὸ ἐκάλεσαν ὅπερ τὰς πρώτας.

925^a (XX, 21, 24—27). οὐ γὰρ τινα ἐχουσα ἀρχὴν οὐδὲ τινα ἐπίρρυσιν ἀποξηραίνεται, ὡσπερ Σικύαις διὰ τὸ πολλὴν τῆν χύονα γίνεσθαι συμβαίνει τὸν σίτον μόνειν καὶ ταχὺ ἀνατρέχειν.

ლები (რადგან ასეთია მამაკაცის თვისება), ხოლო ყრმები ნოტიონი და თბილები? მემთვრალეობა სურვილია რაღაცა სინოტივისა. სინოტივე კი [რომელიც აქვთ ყრმები მწყურვალნი იყვნენ, რადგან

909^a. რატომაა, რომ პონტოში ხორბალი, რომელიც სიცივეშია დატოვებული, მრავალწლის განმავლობაში დაუზიანებელი რჩება? იმიტომ ხომ არა, რომ უცხო სინესტე შრება სიციხესთან ერთად ისევე, როგორც ყურძენში? ზოგიერთ [მცენარეში] სიცივისაგან შრება [სინესტე], ხოლო ზოგიერთში სითბოს დროს.

920^a. რატომაა, რომ „ნომონები“¹ ეწოდება იმას, რასაც მღერის [ხალხი]? იმიტომ ხომ არა, რომ [ადამიანი] ვიდრე წერას ისწავლიდა კანონებს¹ მღეროდა, რათა ის არ დავიწყებოდა, როგორც ამას სხადიან ჯერაც აგათირსებში? ხოლო შემდეგში თავის შემდგომ სიმღერათაგანს უწოდეს იგივე, რაც პირველთ [ეწოდებოდათ].

925^a. თუ სრულებით არ არის რაიმე დინება [მაშინ უეჭველად] ამოშრება [ადგილი], როგორც ეს ხდება სკვითებში, დიდი თოვლის გამო, სადაც ხორბალი [დიდხანს] რჩება [ისე რომ არ იზრდება] და [მერე] ერთბაშად ამოხეთქავს ხოლმე.

¹ νόμος a. კანონი. b. სიმღერის სახეობა.

946^b—947^a (XXVI, 56, 33—40; 1—7). Διὰ τῆς ἄλλοις ἄλλοις τῶν ἀνέμων ἰστίοι, οἶον ἐν μὲν τῆς Ἀττικῆς καὶ ταῖς νήσοις ὁ Ἑλλησποντίας, ἐν Ἑλλησπόντῳ δὲ ὁ βορέας καὶ ἐν Κυρήνῃ, περὶ Λέσβου δὲ νότος; ἢ ὅπου ἂν ἀψορισίς νεφῶν, ἐνταῦθα ὕδωρ; ἐνταῦθα γὰρ ἢ πύκνωσις ἀψορίζεται, ὅπου ἂν προκλιμαίνεσθαι ἔχη. διὸ καὶ ἐν τοῖς ὕδασι μᾶλλον ὕει ἢ ὅπου ἂν τὸ πλεῖστον ὑπεξάγειν δύνηται· περικατακλιμαίνον γὰρ πυκνοῦται· δεῖ δὲ τοῦτο γενέσθαι, καὶ ἐν ταῖς εὐθείαις μᾶλλον ὕει. ἐν Ἑλλησπόντῳ μὲν οὖν ἀνωθεν ὁ βορέας πολλὰ συσφύει νέφη, πρὸς δὲ τῆν Ἀττικὴν καὶ τὰς νήσους ὁ Ἑλλησποντίας, ὥσπερ ὕλην ἔχων· καὶ γὰρ περιίσταται τὰ πολλὰ ἐκ τοῦ βορέου. περὶ δὲ Λέσβου ὁ εὐρος καὶ ὁ νότος ἐκ τοῦ πελάγους φέροντες πολλὰ νέφη προσβάλλει τῆς χώρας τὸν αὐτὸν τρόπον καὶ ἐπὶ τῶν ἄλλων.

ნობას ხომ ბორეასი მიერეკება. ლესბოსთან კი ევროსსა³ და ნოტოსს ზღვიდან მოაქვს ბევრი ღრუბელი და ზედ ანთხევენ ქვეყანას. ასევე ხდება სხვა [ქარების] მიმართაც.

XXV, 6. Διὰ τῆς ἐν τῷ Πόντῳ καὶ ψύχῃ μάλιστα καὶ πύκνῃ; ἢ διὰ τῆς παχύτητος τοῦ

946^b—947^a. რატომაც, რომ სხვადასხვა ქარებს სხვადასხვა ადგილას წვიმა მოჰყავთ, როგორც მაგ. ატიკასა და კუნძულებზე ჰელესპონტიასს¹, ჰელესპონტსა და კირენეში ბორეასს², ხოლო ლესბოსის ირგვლივ ნოტოსს³? იმიტომ ხომ არა, რომ წყალი იქ [წარმოიშვება], სადაც თავს იყრის ღრუბლები? რადგან ბლომად თავშეყრა იქ ხდება, სადაც შესაძლებელია კარგად მოკალათება. ამიტომაც, რომ მთებში უფრო წვიმს ვიდრე იქ, სადაც [ღრუბელთ] სიმრავლეს შეუძლია წყნარად გადანაცვლება, ხოლო [ღრუბლების] შესქელება ხდება იქ, სადაც ღრუბლები გარშემორტყმულია. აი ეს უნდა მოხდეს; იქ სადაც რბილი ჰავაა უფრო წვიმს. ჰელესპონტში ბორეასი ზემოდან ჰქრის და ბევრ ღრუბელს აგროვებს, ატიკასა და კუნძულების მიმართ—ჰელესპონტიასი, რომელსაც აქვს ეს მასალა, [ღრუბლების] დიდ რაოდენობასთან კი ევროსსა³ და ნო-

XXV, 6. რატომაც, რომ პონტოში განსაკუთრებული სიცივე და სიციხე იცის? იმიტომ ხომ

¹ აღმ.-ის ქარი.

² ჩრდ. ქარი.

³ სამხ. ქარი.

⁴ სამხ.-აღმოსავლეთის ქარი.

ἀέρος; τοῦ μὲν γὰρ χεῖμωνος οὐ
 δύνανται διαφερμαίνεσθαι, τοῦ δὲ
 θέρους, ὅταν φερμανθῆ, καί: διὰ
 τὴν παχύτητα. ἢ δὲ αὐτὴ αἰτία
 καὶ διότι τὰ ἐλώδη τοῦ μὲν χει-
 μωνος ψυχρά, τοῦ δὲ θέρους
 θερμά. ἢ διὰ τὴν τοῦ ἡλίου φο-
 ράν; τοῦ μὲν γὰρ χεῖμωνος πόρ-
 ρω γίνεται, τοῦ δὲ θέρους ἐγγύς.

არა, რომ ჰაერი სქელია? მას
 ზამთარში არ შეუძლია გათბობა,
 ხოლო ზაფხულში, როდესაც გა-
 ხურდება, სწავს [ყველაფერს]
 თავისი სისქის გამო. ამავე მიზე-
 ზის გამოა, რომ ჰაობიანი ადგი-
 ლები ზამთრობით ცივია, ხოლო
 ზაფხულობით ცხელი. ან ეგებ ყო-
 ველივე ეს მზის მოძრაობის გამოა?
 ის ხომ ზამთრობით შორს არის,
 ხოლო ზაფხულობით ახლოს?

ΠΡΟΒΛΗΜΑΤΑ ΑΝΕΚΔΟΤΑ

გამოუცემელი პრობლემები

II, 72. Διὰ τί Αἰθίοπες μὲν
 οὐλότριχες, Σκύθαι δὲ καὶ οἱ
 πρὸς ἄρκτον εὐμήτριχες; Ἡ διότι
 ξηρανομένη ἢ θριξὶς ὑπὸ τοῦ
 ἡλίου συγκάμπτεται ὥσπερ καὶ
 τὰ ἄλλα, οἱ δ' Αἰθίοπες πρὸς
 τῷ ἡλίῳ καὶ ἐν ὑπερβόλῃ θερ-
 μοῦ διατελοῦσιν, οἱ δὲ Σκύθαι
 ἐν ψυχρῷ τόπῳ, ὅπου περ τὸ
 ὑγρὸν τὸ ἐν ταῖς θριξίν οὐκ
 ἐξαστμῖζει ὁ ἥλιος, ὥστ' οὐδὲ
 συγκάμπτονται...

II, 72. რატომ არიან ეთიო-
 პელები ხუჭუქთმიანები, ხოლო
 სკვითები და ჩრდილოეთისაკენ
 [მცხოვრები ხალხები] სწორთმი-
 ანები? იმიტომ ხომ არა, რომ თმა
 მზისაგან შრება და იხვევა ისევე,
 როგორც ყოველივე სხვა, ეთიო-
 პელები ხომ ცხოვრობენ მზისაკენ
 და მეტისმეტ სიცხეში, სკვითები
 კი ცივ ადგილას, სადაც მზე თმი-
 დან ვერ აორთქლებს სინესტეს,
 ისე რომ [მათი თმა] არ იხვევა.

II, 168. ... οἱ ὄνοι δύνσργοι
 καὶ ψυχροί: σημεῖον δὲ τοῦτου·
 οὐ γὰρ γίνονται ἐν Σκυσθίᾳ ὄνοι.

II, 168. ვირები მცივანები
 არიან და ცივები. ამის საბუთი
 შემდეგია: სკვითიაში ისინი არ
 არიან.

III, 45. Διὰ τί ἡ Ἰρρακία
 λίμνη πύτιμος οὖσα πλύνει καὶ
 ῥύπτει καὶ ἰμάτια; Πλύνει μὲν
 τῷ γλακεῖ, ῥύπτει δὲ τῷ πικρῷ...

III, 45. რატომაა, რომ ჰირ-
 კანიის ტბა, რომელიც მტკნა-
 რია, რეცხავს და სწმენდს ტან-
 საცმელს? რეცხავს თავისი სიმ-
 ტკნარით, ხოლო სწმენდს თავისი
 სიმწარით...

78^b (13, 29—32). τούτο δ' ἔστι τὸ πλεόν ἀποστήσαντα τὸ μέσον εἶπεῖν, οἷον τὸ τῶν Ἀναχάρσιος, ὅτι ἐν Σκῦθαις οὐκ εἰσὶν ἀσλητριῖδες¹, οὐδὲ γὰρ ἄμπελοι.

78^b. უნდა ითქვას, რომ ეს არის მეტწილად საგანგებოდ დაშორებული საშუალო მდგომარეობას, როგორც მაგ. ანაქარსისის [ნათქვამი], რომ სკვითებში არ არიან ავლოსზე დამკვრელი ქალები, იმიტომ რომ [იქ] არ არის ყურძენი.

ΣΧΟΛΙΑ ΕΙΣ ΤΑ ΥΣΤΕΡΑ
ΑΝΑΛΥΤΙΚΑ

სქოლიოები „შემდგომი
ანალიტიკისათვის“

(Scholia in Aristotelem collegit Chr. A. Brandis, ed. Academia regia Borussica, Berol. 1836 = T. IV Aristotelis Opera Omnia).

Εἰς τὸ β (P. 220 ed. Ac)
...τήν τριάντην, φησὶν [ὁ Θεμισ-
τιος], αἰτίαν καὶ Ἀναχάρσιος ὁ
Σκῦθης ἀποδέδωκε τὸν μὴ εἶναι
ἐν Σκῦθαις ἀσλητριῖδας· ἐρωτη-
θεὶς γὰρ εἰ οὐκ εἰσὶν ἐν Σκῦ-
θαις ἀσλητριῖδες, ἀπεκρίθη εὐδαι-
μῶς, ἐπειδὴ οὐδὲ ἄμπελοι. πόρρω
γὰρ καὶ οὗτος ἀποδέδωκε τὸ αἶτιον
τοῦ μὴ εἶναι ἐν Σκῦθαις ἀσλη-
τριῖδας· προσεχὲς μὲν γὰρ αἶτιον
ἦν τὸν μὴ εἶναι ἀσλητριῖδας τὸ
μὴ μεθύσκεισθαι, τὸν δὲ μὴ με-
θύσκεισθαι τὸ μὴ εἶναι ἄμπε-
λους. φέρεται δὲ τούτο ἐν τοῖς
ἀρχαίοις ἀπομνημονεύμασιν.

Jo. Philoponus, f. 39.

[თემისტოისი] ამბობს, რომ ასეთივე მიზეზით ახსნა სკვითმა ანაქარსისმა ის [გარემოება], რომ სკვითებში არ არიან ავლოსზე დამკვრელი ქალები. რადგან როდესაც მას შეეკითხნენ, არიან თუ არა სკვითებში ავლოსზე დამკვრელი ქალები, მან უპასუხა: „სულაც არა, რადგან [იქ] არ არის ყურძენი“. მან მოიყვანა შორეული მიზეზი იმისა, თუ რატომ არ არიან სკვითებში ავლოსზე დამკვრელი ქალები: რადგან უახლოესი მიზეზი იმისა, რომ არ არიან ავლოსზე დამკვრელი ქალები, არის ის, რომ [იქ] არ არის ლოთობა, ზოლო ლოთობა იმი-

* ტექსტი ამოწერა: Aristotle, Posterior analytics, by Hugh Tredennick, 1960.

¹ ἀσλητριῖδες np, Philoponus, Themistius: ἀσληταὶ ABCd.

ტომ არ არის, რომ არ არის უყრძენი. ეს მოტანილია უძველეს მოგონებებში.

(Ibid.) ...τοιούτην αἰτίαν καὶ Ἀνάχαρσις ἀπέδωκε τοῦ μὴ εἶναι παρὰ Σκῆψιας ἀσλητηρίδας τῷ μὴ εἶναι ἀμπέλους.

Themist. f. 6 b.

ΠΕΡΙ ΤΗΣ ΚΑΘ' ἸΝΟΝ ΜΑΝΤΙΚΗΣ¹

ძილის ღროს წინასწარმეტყველების შესახებ

I, 462^b (გვ. 513). ἀφαιρεθείσης δὲ τῆς ἀπὸ τοῦ θείου αἰτίας, οὐδὲμία τῶν ἄλλων εὐλογοῦς εἶναι φαίνεται αἰτία· τὸ γὰρ περὶ τῶν ἐφ' Ἡρακλείαις στήλαις, ἡ τῶν ἐν Βορυσθίνῃ προορᾶν τινάς, ἢ περὶ τῆν ἡμετέραν εἶναι δόξειεν ἂν σύνεσιν ἐνρεῖν τοῦτων τῆν ἀρχῆν.

I, 462^b. ხოლო რაც შეეხება იმ [ტერიტორიას], რომელიც ჰერაკლეს სვეტებს ირგვლივ არის, ან იმას, რომელიც ბორისთენესთან მოჩანს შორიდანვე, ჩვენს ცოდნას აღემატება მათი საწყისის აღმოჩენა.

ETHICA NICOMACHEA²

ნიკომახოსის ეთიკა

1112^a 28 (III, 5, 27 — 29). οὐδὲ περὶ τῶν ἀπὸ τῆς οἰον φησασαῖον ἐνρέσσεως. ἀλλ' οὐδὲ περὶ τῶν ἀνθρῶπων ἀπάντων, οἰον ἢ Σκῆψια ἄριστα πολιτεύοντο οὐδὲ Λακεδαιμονίων βρολεῖσται.

1148^b 22 (VII, 5, 19 — 24). λέγω δὲ τὰς φηρῶνεις, οἰον τῆν ἀνθρῶπων ἢ λέγουσ: τὰς χυα-

1112^a 28. ლაკედემონელთაგან არაეინ ითათბირებდა არც იმის შესახებ, რაც ბედისმიერია, როგორცაა, საგანძურის პონა. მაგრამ არც ყოველივე აღამიანურის შესახებ, როგორც მაგ. სკვირთები რომ საუკეთესოდ განაგებდნენ სახელმწიფო საქმეებს.

1148^b 32. ცხოველურ [ჩვევებს] ვუწოდებ ისეთებს, რომელთა შესახებ ამბობენ მაგ. რომ

¹ ტექსტი ამოწერილია: Ἀριστοτέλους. Περὶ τῆς κατ' Ἰνον μαντικής; Opera omnia, vol. III, Parisiis, editore Ambrosio Firmin-Didot.

² ტექსტი ამოწერილია: Aristotle, Ethica Nicomachea, recognovit brevique adnotatione critica instruxit I. Bywater, Oxonii, 1957.

σας ἀνασχίζουσαν τὰ παιδία κα-
 τεσφίειν, ἢ οἷοις χάρειν φασιν
 ἐνίοις τῶν ἀπηγριωμένων περὶ
 τὸν Πόντον, τοὺς μὲν ἠμοῖς τοὺς
 δὲ ἀνθρώπων κρέασιν, τοὺς δὲ
 τὰ παιδία θανατίζειν ἀλλήλοισι εἰς
 εὐωχίαν, ἢ τὸ περὶ Φάλαριν λε-
 γόμενον.

რომ ერთმანეთს ბავშვებს ასესხებენ ხოლმე ნადიმისათვის, ან [ის მიმაჩნია ცხოველურ ჩვევად], რასაც ფალარისის¹ შესახებ ამბობენ.

1150^b 14 (VII, 8, 12—16).
 οἶον ἐν τοῖς Σικυθῶν βασίλειυσιν
 ἢ μαλακία δὲ τὸ γένος, καὶ ὡς
 τὸ ψῆλον πρὸς τὸ ἄρρεν δέσση-
 κεν.

1176^b (X, 6, 32—35). σπου-
 δάζειν δὲ καὶ πονεῖν παιδῶς γάρ-
 ριν ἡλίθιον φαίνεται καὶ λίαν
 παιδιῶν. παιζέειν δ' ὅπως σπου-
 δάζῃ, κατ' Ἀνάχαρσιν, ἐρμῶς
 ἔχειν δοκεῖ ἀναπαύσει γὰρ ἔοικεν
 ἢ παιδῶν, ἀδυνατοῦντες δὲ συγε-
 χῶς πονεῖν ἀναπαύσεως δέονται.

ΤΕΧΝΗΣ ΠΗΤΟΡΙΚΗΣ²

1367^b 10 (I, 9, 30). σκοπεῖν
 δὲ καὶ παρ' οἷς δ' ἔπαινος ὡς-

¹ Φάλαρις 565—549 წწ. სიმლიდრითა და მხეცურის ინსტინქტებით განთქმული ციკანო.

² ტექსტი ამოწერილია: 'Αριστοτέλους Τέχνης ρητορικῆς, by John Henry Freese, 1959 (first printed 1926).

³ შტრ. პიპოკრატეს.

ქალი ჰყვეთს ორსულ მუცელს
 და ჩვილებს სჭამს, ან როდესაც
 ამბობენ, რომ ზოგიერთები პონ-
 ტოს ირგვლივ მცხოვრებ ველურ
 ტომთაგან სიამოვნებას განიც-
 ლიან ერთნი იმისაგან, რომ უმ
 ხორცს [სჭამენ], მეორენი—ადა-
 მიანის ხორცს, მესამენი იმისაგან

1150^b 14. სკვიტების მეფეებს
 [ახასიათებთ] განაზებულობა ჩა-
 მომავლობით და როგორც დედ-
 რობითი განსხვავდება მამრობი-
 თისაგან [ასევე განსხვავდებიან
 ისინი დანარჩენი ხალხისგან]³.

1176^b. ზრუნვა და შრომა
 გართობის მიზნით უაზრო ჩანს
 და მეტისმეტად გულუბრყვილო.
 ხოლო რომ იზრუნო გართობი-
 სათვის, ანაქარსის აზრით, სწორი
 იქნება. რადგან, როგორც ჩანს,
 გართობა წყდება ხოლმე, ხოლო
 ისინი, ვისაც არ შეუძლიათ გა-
 მუდმებით შრომა, საჭიროებენ
 შესვენებას.

მჭარმეჭველების
 ხელოვნება

1367^b 10. ყურადღება უნდა
 მიექცეს ვისთან ხდება ქება. რო-

περ γάρ ὁ Σωκράτης ἔλεγεν, οὐ
χαλεπὸν Ἄθηναίους ἐν Ἄθη-
ναίοις ἐπαινεῖν· ὅτι δὲ τὸ παρ'
ἐκάστοις τίμιον λέγειν ὥς ὑπάρ-
χει, οἷον ἐν Σχύθαις ἢ Λάκωσιν
ἢ φιλοσόφοις.

1400^b 13 (II, 23, 28). Ἄλλος
τόπος τὸ ἐστὶ τῶν ἀμαρτηθέντων
κατηγορεῖν ἢ ἀπολογεῖσθαι, οἷον
ἐν τῇ Κερκίνου Μηδείᾳ οἱ μὲν
κατηγοροῦσιν ὅτι τοὺς παῖδας
ἀπέκτεινεν, οὐ φαίνεσθαι γοῦν
αὐτούς· ἤμαρτε γάρ ἡ Μηδεία
περὶ τὴν ἀποστολὴν τῶν παίδων
ἡ δ' ἀπολογεῖται ὅτι οὐκ ἂν
τοὺς παῖδας ἀλλὰ τὸν Ἰάσονα
ἂν ἀπέκτεινεν· τοῦτο γάρ ἤμαρ-
τεν ἂν μὴ ποιήσασα, εἴπερ καὶ
θιάτερον ἐποίησεν.

1410^a (III, 9, 7). „πλεῖστα
μὲν διὰ τῆς ἡπείρου, πεζέσθαι
δὲ διὰ τῆς θησαύτης, τὸν μὲν
Ἑλλήσποντον ζεύξας, τὸν δ' Ἄθω
διορῶξας“.

DE ARTE POETICA ¹

1453^b 14 (27—29). ἔστι μὲν
γάρ οὕτω γίνεσθαι τὴν πρᾶξιν,

გორც მაგალითად სოკრატე ამ-
ბობდა, არაა ძნელი ათენელების
ქება ათენელებთან. უნდა ვილა-
პარაკოთ ისე, რომ ანგარიში გა-
ვეუწიოთ თითოეულს, თითქოს
ისინი ჩვენთან იმყოფებიან, მაგ.
სკვითები, ლაკონელები, ფილო-
სოფოსები.

1400^b 13. სხვა თემაა, რო-
დესაც შეცდომათა მიხედვით
ხდება ბრალდება ან დაცვა, რო-
გორც არის მაგ. კარკინოსის მე-
დიაში. ზოგიერთები მას სდებენ
ბრალს იმაში, რომ მან მოჰკლა
[თავისი] შვილები, ყოველ შემ-
თხვევაში ისინი აღარ ჩანან, რად-
გან მედია შეცდა იმაში, რომ
შვილები გაგზავნა. [მედია] თავს
იმართლებდა იმით, რომ მას ბავშ-
ვები კი არ უნდოდა მოეკლა,
არამედ იასონი. შეცდომა იყო ის,
რომ ეს არ გაუკეთებია, მეორე
რომ გაეკეთებინა [ისიც შეცდომა
იქნებოდა].

1410^a. „ხმელეთის გადაცურ-
ვა, ზღვის ფეხით გადასვლა, ჰე-
ლესპონტზე ხიდის გაღება, ათო-
ნის გაბურღვა“ ².

კონტაქტი ხელოვნების შესახებ

1453^b 14. მოქმედება შეიძლე-
ბა ხლებოდეს ისედაც, როგორც

¹ ტექსტი ამოწერილია: Aristotelis, De arte poetica recognovit
brevique adnotatione critica instruxit I. Bywater, 1955 (first edition 1897).

² ჩამოთვლილია არისტოტელეს თვალსაზრისით რეალურად განუხორციელებელი
ამბები.

ὥσπερ οἱ παλαιοὶ ἐποίουν εἰδότηας καὶ γινώσκοντας, καθάπερ καὶ Ἐὐριπίδης ἐποίησεν ἀποκτείνουσαν τοὺς παῖδας τὴν Μηδείαν·

1454^b 15 (1—2). φανερὸν οὖν ὅτι καὶ τὰς λῦσεις τῶν μύθων ἐξ αὐτοῦν θεῖ τοῦ μύθου συμψάινειν, καὶ μὴ ὥσπερ ἐν τῇ Μηδείᾳ ἀπὸ μηχανῆς καὶ ἐν τῇ Ἰλιάδι τὰ περὶ ἀπόπλους.

1456^a 18 (1—3). τραγῳδίᾳ δὲ εἶδη εἶσι τέσσαρα..., ἣ μὲν πεπλεγμένη, ἥς τὸ ἔλῳν ἐστὶν περιπέτεια καὶ ἀναγνώρισις, ἣ δὲ παθητικὴ, οἷον οἷ τε Αἴωντες καὶ οἷ Ἰξίονες, ἣ δὲ ἡμιτική, οἷον αἷ Φυάτιδες καὶ ὁ Πηλεΐδης· τὸ δὲ τέταρτον ἔψις, οἷον αἷ τε Φορκίδες καὶ Προμηθεΐς καὶ ὄσα ἐν ἄλλοις. სანახაობა, როგორიცაა „ფორკიდები“, „პრომეთევისი“ და ისეთი [ტრაგედები, რომელთა მოქმედება ხდება] ჰადესში.

ΠΕΡΙ ΘΑΥΜΑΣΙΩΝ
ΑΚΟΥΣΜΑΤΩΝ¹

831^a (6, 4—10). Ἐν Ἀρμενίᾳ φάρμακόν τι φασὶ φῦσθαι

¹ ტექსტი ამოწერილია: Aristotle, *Minore works*, with an english translation by W. S. Hott, 1955 (first printed 1936), გვ. 237—328: On marvellous things heard.

² ე. ი. მედემ იცოდა და ისე ჩაიღინა, შემდეგ ჩამოთვლილია სხვა მაგალითები, როდესაც გმირმა არ იცის და ისე სჩადის ბოროტებას. მაგ. სოფოკლეს ოდიპოსი.

³ ნაწარმოები არაა მიჩნეული არისტოტელესად. იგი შეიქმნა უფრო გვიან.

ძველები აკეთებდნენ ხოლმე, [გამოკყავდათ გმირები], რომელთაც იციან და ესმით [ყოველივე], როგორც მაგალითად ევრიპიდემ გამოიყვანა მედია, რომელმაც დახოცა [თავისი] შვილები².

1454^b 15. ცხადია, რომ მითებში კვანძის განსნა უნდა გამომდინარეობდეს თვითონ მითოსიდან და არა ისე, როგორც არის „მედიაში“, სადაც კვანძი იხსნება მანქანის ჩარევით და „ილიადაში“, [სადაც ხდება ამბავი, დაკავშირებული] ხლვით გამგზავრებასთან.

1456^a 18. ტრაგედიის ოთხი სახეობაა... [ერთი] გადასლართული, რომელშიც ყველაფერი არის დამოკიდებული ცვლილებებსა და გამოცნობაზე, [მეორე] პათეტიკური, როგორიცაა მაგ. „აჰანტები“ და „იქსიონები“, [მესამე] — ეთიკური, როგორიცაა „ფთიოტიდები“ და „პელეგისი“ ხოლო მეოთხე — ეს არის ისეთი ხოლო მეოთხე — ეს არის ისეთი [ტრაგედები, რომელთა მოქმედება ხდება] ჰადესში.

საოცარ ამბავთა
შესახებ³

831^a. ამბობენ, რომ არმენიაში მოიპოვება ერთი შხამი, რომელ-

καλείται παρθάλειον τούτω
 οὖν, ὅταν ὀφῆ παρθάλει, χρι-
 σταντες τὸ ἱερεῖον ἀφίψιν. ἡ δὲ
 ὅταν ἀφῆται αὐτοῦ, ζῆτεῖ, ὡς
 ἔοικε, τὴν τοῦ ἀνθρώπου κόπ-
 ρον. διὸ καὶ οἱ κληροῖ εἰς ἀγ-
 γειον αὐτῆν ἐμβάλοντες ἔκ τινος
 δένδρου κρεμῶσιν, ἵνα προσαλλο-
 μένη καὶ ὑπέρκοπος γενομένη ὑπ'
 αὐτοῦ παραλαβῆ καὶ ὑποχείριος
 γένηται.

831^b (17, 18). 17. Περὶ Καπ-
 παδοκίαν ἔν τισι τόποις ἀνευ κη-
 ρίου φασὶν ἐργάζεσθαι τὸ μέλι,
 γίνεσθαι: διὲ τὸ πάχος δμοιον
 ἐλαίῳ.

18. Ἐν Τραπεζοῦντι τῆ ἔν
 τῷ Πόντῳ γίνεται: τὸ ἀπὸ τῆς
 πύξου μέλι βαρσομεν καὶ φασι:
 τοῦτο τοὺς μὲν ὑγιαίνοντας ἐξισ-
 τάναί, τοὺς δ' ἐπιλήπτους καὶ
 τελέως ἀπαλλάττειν.

832^a (26). Φασὶ δὲ καὶ τοὺς
 Χάλυβας ἔν τινι ὑπερκαιμένῳ
 αὐτοῖς νησιῶ τὸ χρυσιον συμ-
 φορεῖσθαι παρὰ πλεόνων. διὸ δὴ
 καὶ τοὺς ἔν τοῖς μετάλλοις ἀνασ-
 χίζουσιν, ὡς ἔοικεν.

832^b. (30). Ἐν δὲ Σκύθαις
 τοῖς καλουμέναις Γελανοῖς φασὶ

საც ეწოდება ჯიქისა. რადგან
 როდესაც გამოჩნდება ჯიქი, ამ
 [შხამს] წაუსვამენ სამსხვერპლო
 საქონელს და უშვებენ. [ჯიქი]
 როდესაც თავს ესხმის მას, რო-
 გორც ჩანს, ეძებს ადამიანის გა-
 ნავალს. ამიტომ მონადირეები
 [განავალს] ჩასდებენ ხოლმე ქურ-
 კელში და ჩამოაკიდებენ რომე-
 ლიმე ხეზე, იმისთვის რომ [ჯიქმა]
 გამწარებით იხტუნაოს [მის მოსა-
 პოვებლად], დაიღალოს ამისაგან
 და მერე ხელში ჩაიგდოს.

831^b 17. ამბობენ რომ კაპა-
 დოკიის ზოგიერთ ადგილებში
 თაფლი ფიქის გარეშე კეთდება,
 ხოლო სისქით ის ზეთის მსგავ-
 სია¹.

18. ტრაპეზენტში, რომელიც
 პონტოშია, წიფლცის თაფლი მძი-
 მე სუნიათა: ამბობენ, რომ ჯან-
 მრთელებს ის აგიჟებს, ხოლო
 ბნელიანებს საბოლოოდ სკობს².

832^a. ამბობენ, რომ ხალიბები
 ერთ კუნძულზე, რომელიც მათ
 ზემოთ მდებარეობს, ოქროს მრავალი
 [თავვისაგან] აგროვებენ.
 ამიტომაც, როგორც ჩანს, რომ
 ისინი საბადოებში [მყოფ თაგ-
 ვებს] ჰკვეთენ.

832^b. ამბობენ, რომ სკვითებ-
 ში, ეგრეთწოდებულ გელონებში

¹ შტრ. ქსენოფ., IV, 8, 20. კლავდ. ელ., V, 42.

² რუს. совсем убивает, ინგლ. cure.

φηρίον τι γίνεσθαι, σπάνιον μὲν ὑπερβολῆ. ὁ ὀνομάζεται τάρανθος λέγεται. δὲ τοῦτο μεταβάλ-
 λειν τὰς χροῶς τῆς τριχὸς καθ' ὃν ἂν καὶ τέπον ἦ. διὰ δὲ τοῦτο εἶναι δυσμήρατον [καὶ διὰ τὴν μεταβολὴν] καὶ γὰρ δένδρεσι καὶ τόποις, καὶ ὕλῳς ἐν οἷς ἂν ἦ, τοιοῦτον τῆ χροῖα γίνεσθαι. φασμασιώτερον δὲ τὸ τὴν τρίχα μεταβάλλειν· τὰ γὰρ λοιπὰ τὸν χροῶτα, οἷον ὁ τε γυμνασίων καὶ ὁ πολέπουσ· τὸ δὲ μέγεθος ἄσθενεῖ βραχέ. τοῦ δὲ προσώπου τὸν τύπον ἔριον ἔχει ἐλάφω.

833^b (48). Λέγεται δὲ ἰδατιά-
 την εἶναι γίνεσθαι σιδήρου τοῦ Χα-
 λυβικῶσ καὶ τοῦ Ἄμισθου. συμ-
 φέεται γὰρ, ὡς γε λέγουσιν, ἐκ
 τῆς ἄμμου τῆς κατεψερομένης
 ἐκ τῶν ποταμῶν. τούτην δ' οἱ
 μὲν ἀπλῶς φασὶ πλύναντας καί-
 νεύειν, οἱ δὲ τὴν ὑπόστασιν τὴν
 γενομένην ἐκ τῆς πλύνσεως πολ-
 λάκις πλυθεῖσθαι συγκαίειν, πε-
 ρεβάλλειν δὲ τὸν πυρρῆμον κα-
 λούμενον λίθον· εἶναι δ' ἐν τῇ
 χώρᾳ πολὺν· οὕτως δ' ὁ σιδηρός
 πολὺ τῶν ἄλλων γίνεσθαι καλλίων·
 εἰ δὲ μὴ ἐν μαῖ καμίνω ἐκαιέτο,
 οὐδὲν ἂν, ὡς εἶοικε, διέφερε τὰρ-
 γυρίου· μόνον δὲ φασιν αὐτὸν ἀνί-
 ωτον εἶναι, οὐ πολὺν δὲ γίνεσθαι.

მოიპოვება ერთი ცხოველი, მხო-
 ლოდ ძალიან იშვიათად. მას ეწო-
 დება „ტარანდოსი“. ამბობენ, რომ
 ის იცვლის ბალნის ფერს იმ
 ადგილის მიხედვით, სადაც არის.
 ამის გამო ის ძნელი დასაჭერია,
 რადგან ის იმ ფერისა ხდება,
 რომლისაც არიან ხეები და ადგი-
 ლები, სადაც ის საზოგადოდ
 იმყოფება ხოლმე. ყველაზე უფრო
 საოცარია ბალნის [ფერის] შე-
 ცვლა, რადგან დანარჩენი [ცხო-
 ველები იცვლიან] ტყავის [ფერს],
 როგორც მაგალითად ქამელეონი
 და მრავალფეხა¹. სიდიდით ისე-
 თივია, როგორც ხარი. ხოლო თა-
 ვის ფორმა მსგავსი აქვს ირმისა.

833^b. ამბობენ, რომ განსა-
 კუთრებულია ხალიბური და აზი-
 სური რკინის წარმოება. რადგან
 როგორც ამბობენ, ის დაკავში-
 რებულია იმ ქვიშასთან, რომე-
 ლიც მდინარეებს ჩამოაქვს. ზო-
 გიერთები ამბობენ, რომ ამ [ქვი-
 შას] უპირალოდ გარეცხილს ლუ-
 მელში ახურებენ, ხოლო [სხვების
 აზრით] ის, რაც რჩება გარეცხ-
 ვისა და გახურების შემდეგ, ყველგ
 მრავალგზის ირეცხება. ხოლო
 [შემდეგ] მასში ღებენ ეგრეთწო-
 დებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც
 ამ ქვეყანაში ბევრია. ეს რკინა
 ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე.
 მაგრამ იგი ერთ ლუმელში რომ
 არ ღნებოდეს, როგორც ჩანს,

¹ πολύπους მრავალფეხა, პოლიპი.

არატრით არ განსხვავდებოდა ვერცხლისაგან. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს [რკინაა], რომ არ იყენებდა, მაგრამ ის ბლომად არ მოპოვება.

835^a (62—63). 62. *Φασι τὸν Μοσσύνοιον χαλκὸν λαμπρότατον καὶ λευκότατον εἶναι, οὐ πικρὰ μὲν γινώσκουσιν αὐτῷ κωσσιτέρου, ἀλλὰ γῆς τινὸς αὐτοῦ γινομένης καὶ συνεπιμένης αὐτῷ. λέγουσι δὲ τὸν εὐρόντα τὴν κρᾶσιν μηθένα δὲ δᾶξει· διὸ τὰ προγεγονότα ἐν τοῖς τόποις χαλκώματα διαφορᾶ, τὰ δ' ἐπιγινώσκουσιν οὐκ ἔτι.*

ქურჭელი [თავისი ღირსებებით] გამოჩნეულია, ხოლო ახალი გაკეთებული აღარ [გამოირჩევა].

63. *Ἐν τῷ Πόντῳ λέγουσι τοῦ χεῖμωνος τῶν ὀρνέων τινὰ εὐρίσασθαι φωλῆσόντα, οὔτε ἀφοδένοντα, οὔτε δὲ ὄταν τὰ πτερὰ αὐτῶν τίλλωσιν, αἰσθάνεσθαι, οὔτε ὄταν ἐπὶ τὸν ὀβελίσκον ἀναπαρῆ. ἀλλ' ὄταν ὑπὸ τοῦ πυρὸς διακαυθῆ. πολλοὺς δὲ καὶ τῶν ἰχθύων λέγουσι περιεσπέντας καὶ περιτμηθέντας μὴ αἰσθάνεσθαι, ἀλλ' ὄταν ὑπὸ τοῦ πυρὸς διαშერμανθῶσιν.*

835^b (73). *Ἐν Ἡρακλείᾳ δὲ τῆ ἐν τῷ Πόντῳ καὶ ἐν Ῥηγίῳ γίνεσθαι φασὶν ὀρυκτοὺς ἰχθύς, τοῦτους δὲ μάλιστα κατὰ τὰ ποτάμια καὶ τὰ ἐνυῖρα χωρία.*

835^a. 62. ამბობენ, რომ მოსინიკური სპილენძი ყველაზე მეტად მბრწყინავი და თეთრია, იმიტომ კი არა, რომ თუთია ურევია, არამედ იმიტომ, რომ მიწის რალაც [ნაწილი] არის მასში შერეული და გახსნილი. ამბობენ, რომ მან, ვინც აღმოაჩინა ეს ნარევი, [სხვას] არავის ასწავლა. იმიტომაა, რომ ამ ადგილებში უწინ გაკეთებული სპილენძის

63. ამბობენ, რომ პონტოში აღმოჩნდა ფრინველთა შორის ზოგი ისეთი, რომლებიც ზამთრობით სოროში იმალებიან, [ამ დროს] ისინი არც სკინტლავენ, ვერც იმას იგებენ, როდესაც მათ ფრთებს აგლეჯენ, ვერც იმას, როდესაც შამუურზე წამოაგებენ. ამბობენ, რომ თევზთა შორის ბევრი ვერ გრძნობს, როდესაც მას დაჭრიან, ან [რაიმე ნაწილს] ჩამოსჭრიან, მაგრამ [იმას გრძნობს], როდესაც ცეცხლზე შეათობენ ხოლმე.

835^b. 73. ამბობენ, რომ ჰერაკლეასა, რომელიც პონტოშია და რეგიუმში, ამოთხრილ თევზებს [იჭერენ], ხოლო ესენი განსაკუთრებით მდინარეების პირას და წყალმრავალ ადგილებში მოპოვებიან.

839^b—840^a (104—105). ...ἐπι-
 τοῦτον τὸν λόγον ἔτι ἀναβῆ-
 νωσιν οἱ Μέντορες οἱ ἐπὶ τοῦ
 Ἄδριου οἰκοῦντες, ἀποθεωροῦσιν,
 ὡς εἶπες, τὰ εἰς τὸν Πόντον εἰσ-
 πλέοντα πλοῖα. εἶνα δὲ καὶ τινα
 τόπον ἐν τοῖς ἀνὰ μέσον θεαστή-
 μασι, εἰς ὃν ἀγορᾶς κοινῆς γινο-
 μένης πωλεῖσθαι περὰ μὲν τῶν
 ἐκ τοῦ Πόντου ἐμπόρων ἀναβῆ-
 νόντων τὰ Λέσβια καὶ Χία καὶ
 Θάσια, περὰ δὲ τῶν ἐκ τοῦ
 Ἄδριου τοὺς Κερκυραϊκοὺς ἀμφο-
 ρεῖς.

105. Φασὶ δὲ καὶ τὸν Ἴστρον
 ῥέοντα ἐκ τῶν Ἑρκυνίῳ καλου-
 μένων ὄρυμνῶν σχιζέσθαι, καὶ τῆ
 μὲν εἰς Πόντον ῥεῖν, τῆ δὲ εἰς
 τὸν Ἄδριαν ἐκβάλλειν. σημεῖον
 δὲ οὐ μόνον ἐν τοῖς νῦν καιροῖς
 ἔωράμεν, ἀλλὰ καὶ ἐπὶ τῶν
 ἀρχαίων μάλλον, οἷον τὰ ἐκεῖ
 ἄπλωτα εἶνα· καὶ γὰρ Ἰάσονα
 τὸν μὲν εἰσπλοῦν κατὰ Κυανέας,
 τὸν δὲ ἐκ τοῦ Πόντου ἔκπλοῦν
 κατὰ τὸν Ἴστρον ποιήσασθαι
 φασὶ καὶ φέρουσιν ἄλλα τε τεκ-
 μήρια οὐκ ὀλίγα, καὶ κατὰ μὲν
 τὴν χώραν βωμοὺς ὑπὸ τοῦ
 Ἰάσονος ἀνακαιμένους δεικνύου-
 σιν, ἐν δὲ μιᾷ τῶν νήσων τῶν
 ἐν τῷ Ἄδριᾷ ἱερὸν Ἀρτεμίδος
 ὑπὸ Μηδείας ἰδρυμένον. ἔτι δὲ
 λέγουσιν ὡς οὐκ ἂν παρέπλευσε
 τὰς Πλαγκτὰς καλουμένας, εἰ μὴ
 ἐκεῖθεν ἀπέπλει. καὶ ἐν τῇ Αἰθια-
 λείᾳ δὲ νήσῳ, τῆ καιμένη ἐν τῷ

839^b—840^a. როდესაც მენტო-
 რები, რომლებიც ცხოვრობენ
 ადრიასის მახლობლად, აღიან ამ
 ბორცვზე, როგორც ჩანს, ხედავენ
 იმ ხომალდებს, რომლებიც უნდა
 შეცურდნენ პონტოში. ამ მილა-
 მთა შორის, შუაში არის ერთი
 ადგილი, სადაც არის საერთო
 ბაზარი. და აქ ყიდიან პონტოლან
 მოსული ვაჭრები ლესბოსურ, ქი-
 ოსურ და თაზოსურ [საქონელს],
 ხოლო ადრიასიდან [მოსულნი]—
 კერკირის ამფორებს.

105. ამბობენ, რომ ისტროსი,
 რომელიც მოედინება ეგრეთწო-
 რებული ჰერკინიის ტყეებიდან,
 [შუაზე] იყოფა, ერთი [ტოტი]
 პონტოსკენ მიედინება, ხოლო
 მეორე ადრიასს ერთვის. ამის
 მოწმობას მხოლოდ ახლანდელ
 დროში კი არ ვხედავთ, არამედ
 უფრო მეტად ძველ [დროში],
 როგორც მაგალითად იმაში, რომ
 [სათავეში] აქ მდინარე სანაოსნო
 არ არის. რადგან ამბობენ, რომ
 იასონი შეცურდა [პონტოში] იქ,
 სადაც კიანეების [კლდეებია], ხო-
 ლო პონტოლან გამოვიდა იქ, სა-
 დაც ისტროსია. [საამისოდ] კი-
 დევ ბევრი სხვა საბუთი მოჰყავთ,
 [მაგალითად] მიუთითებენ საკურ-
 თხეველზე, რომლებიც ამ ქვეყა-
 ნაში იასონის მიერ არის დადგ-
 მული, ან კიდევ არტემიდეს ტა-
 ძარზე, რომელიც ადრიასის ერთ-
 ერთ კუნძულზე მდებარეა მიერ

Ὑπόρρητον κῆρ πελάγει, ἄλλα τε
 δεικνύουσι μνημεῖα τῶν ἀρ:στῶν
 καὶ τὸ ἐπὶ τῶν ψήφων δὲ λεγόμενον·
 παρὰ γὰρ τὸν αἰγιαλὸν ψήφους
 φασὶν εἶναι ποικίλας, ταύτας δ' οἱ
 Ἕλληγες οἱ τὴν νῆσον οἰκοῦντες
 λέγουσι τὴν χροῖαν λαβεῖν ἀπὸ
 τῶν στλεγγισμάτων ὧν ἐποιοῦντο
 ἀλκυφόμενοι· ἀπὸ ἐκείνων γὰρ
 τῶν χρόνων οὔτε πρότερον ἑώρασθη
 μυθολογοῦσι τοιαύτας ψήφους
 οὐθ' ὕστερον ἐπιγενομένης. ἔτι δὲ
 τούτων φανερώτερα σημεῖα λέγουσιν,
 ὅτι οὐδὲ τῶν Συμπληγάδων ἐγένετο
 ἔκπλους, αὐτῶν τῶν ποιητῶν ἐν
 ἐκείνοις τοῖς τόποις μάρτυρι χρωμένοι.
 τὴν γὰρ δυσχέρειαν τοῦ χιθῶνος
 ἐμφανίζοντα λέγειν ὅτι οὐκ ἔστι
 παρὰ πλεῖστα τὸν τόπον ἄλλα θ' ὁμοῦ
 πίνυκας τε νεῶν καὶ σώματα
 φωτῶν κύμαθ' ἄλβς φορέουσι
 πυρρός τ' ὄλοισι θ' ἔλλα.

მომხდარა, ამ ადგილების მიმართ თვითონ პოეტს იყენებენ, როგორც მოწმეს. რადგან საფრთხის სიძიძის ნათელსაყოფად იგი ამბობს, რომ შეუძლებელია ამ ადგილის გვერდით გაცურვა. „ზღვის ტალღებს მოაქვთ ხომალდთა ფიცრები და ვაეკაცთა გვამები—ყოველივე ერთად [და ამას სჩადის] დამლუპველი ცეცხლის ქარაშხალი“ (ოლ. XII, 67).

περὶ μὲν οὖν τὰς Κυανέας οὐ λέγεται πῦρ ἀναπέμπειν, περὶ δὲ τὸν πόρθμον τὸν δι' ἀλαμβάνοντα

არის აგებული¹. იმასაც ამბობენ, რომ ის ვერ გაცურავდა ევრეთ-წოდებული პლანქტების ვასწვროვ, იქიდან რომ არ წამოსულიყო ცურვით. ამთაღეის კუნძულზე, რომელიც მდებარეობს ტირენიის ზღვაში, ასევე მიუთითებენ ვმირთა ძეგლებზე და [ერთი მათგანი] იწოდება კენჭების [ძეგლად]. ამბობენ, რომ ზღვის ნაპირზე ქრელი კენჭებიანო, ხოლო ელინები, რომლებიც ცხოვრობენ [ამ] კუნძულზე, ამბობენ, რომ ეს ფერი მიღებულია იმ ჩამონახებეკი ჭუჭყისაგან, რომელიც წარმოიშვებოდა [სხეულის ზეთით] დაზღვის დროს. გადმოგვეცემენ ისეთ მითს, რომ ასეთი კენჭების ნახვა ამ დროიდან შეიძლებოდა, არც ამაზე უწინ და არც ამის მერე ყოფილა აქ ასეთი რამე². ამაზე კიდევ უფრო ცხად ნიშანზედაც მოგვითხრობენ, რომ [ზღვიდან] გამოცურვა სიმპლეგადთა შორის არ

ის კი არაა ნათქვამი, რომ ცეცხლი ამოდის კიანების [მიდამოებში], არამედ ის, რომ სრუ-

¹ შტრ. Strabo, I, 3, 15.
² შტრ. Strabo. V, 2, 6.

τήν Σικελίαν, ἐφ' ἑκάτερα κει-
μένων τῶν τοῦ πυρὸς ἀναφυσή-
μάτων, καὶ τῆς τε νήσου συνη-
χῶς καιομένης, καὶ τοῦ περὶ τῆν
Αἴτνην ῥεύματος πολλαχῶς τῆν
χώρων ἐπιδεδραμηκότες.

841^α (115). Λέγεται δὲ καὶ
περὶ τῆν τῶν Σιυτῶν καὶ Μαι-
δῶν χώρων καλομένην τῆς Θρά-
κης ποταμόν τινα εἶναι Ἰόντον
προσαγορευόμενον, ἐν ᾧ καταφέ-
ρεσθαί τινας λίθους οἱ καίονται.
καὶ τοῦναντίον πάσχοισι τοῖς ἐκ
τῶν ξύλων ἀνθράξιν...

845^α (141). Φασὶ τὸ Σκυθι-
κὸν φάρμακον, ᾧ ἀποβάπτουσι
τοὺς οἴστους, συντίθεισθαι ἐξ
ἐχίνου. τηροῦσι δὲ, ὡς εἰοικεν,
οἱ Σκυθαὶ τὰς ἡδὴ ζῳοτοκοῦσας,
καὶ λαβόντες αὐτὰς τήκουσιν
ἡμέρας τινάς. ὅταν δὲ ἰκτανῶς
αὐτοῖς δοκῆ σιτισθῆναι πᾶν, τὸ
τοῦ ἀνθράκου ἄμικρον εἰς χυτρίδιον
ἐγχέοντες εἰς τὰς κοπρίδας κατα-
ρττοῦσι παμάσταντες. ὅταν δὲ
καὶ τοῦτο σαπῆ, τὸ ὑφιστάμενον
ἐπάνω τοῦ ἄμικρου, δὲ ὅτ' ἐστὶν
ὑδατῶδες, μίγνυσι τῷ τῆς ἐχίνου
ἰχώρῳ, καὶ οὕτω ποιοῦσι μί-
κρον.

წყალწყალაა, შეუტრევენ იქედნეს სითხესთან და ასე აკეთებენ მომა-
კვდინებელ [შხამს]¹.

ტეზე, რომელიც ჰყოფს სიცი-
ლიას [იტალიისაგან], ორთავე ნა-
პირზე ხდება ცეცხლის ამოფრ-
ქვევა, სადაც კუნძული გამუდმე-
ბით იწვის და ეტნას ირგვლივ
ქვეყანას ხშირად მოეფინება ხოლ-
მე [ამონახეთქი] ნიაღვარი.

841^α. ამბობენ, რომ თრაკიის
[მხარეში], რომელიც იწოდება
სინტებისა და შადების ქვეყ-
ნად, არის ერთი მდინარე, რომ-
ელსაც ეძახიან პონტოს, რომე-
ლიც მოაგორებს რაღაცა ქვებს,
რომლებიც იწვიან და [წვისას]
შეშის ნახშირის საწინააღმდეგოდ
მოქმედებენ.

845^α. ამბობენ, რომ სკვითუ-
რი შხამი, რომელსაც უსვამენ
ისრებს, კეთდება იქედნესაგან.
როგორც ჩანს, სკვითები [ღარა-
ჯობენ] მათ, რომლებმაც ეს ესაა
უნდა გააჩინონ [პატარა იქედნე-
ები], შეიპყრობენ მათ და რამ-
დენიმე დღეს ალპობენ. როდესაც
მათ მოეჩვენებათ, რომ ის მთლიან-
ნად საკმარისად არის დამპალი,
ისინი ჩაახამენ ადამიანის სისხლს
პატარა ქოთანში, თავს ხურავენ
და ნებში ჩაფლავენ. როდესაც
ესეც დალპება, სისხლის იმ ნა-
წილს, რომელსაც ქოთანი ზე-
მოდან მოიგდებს და რომელიც

¹ შტრ. კლ. ელ., IX, 14 პლნ., NH, XI, 53, 279.

846^a (158). Ἐν τῷ Φάσιδι ποταμῷ γενναῖα: ῥάβδον ὀνομαζομένην λευκόφυλλον, ἣν οἱ ζηλότυποι: τῶν ἀνδρῶν ὀρεπόμενοι: ῥίπτουσι περὶ τὸν παρθέλιον θάλαμον, καὶ ἀνόμιστον τηροῦσι τὸν γάμον.

846^a. მდინარე ფასისთან იზრდება [ერთნაირი] წყნელი, რომელსაც უწოდებენ „თეთროთლოვანს“. ეკვიანი ქმრები მას კრეფენ და ყრიან ქალწულებრივი საწოლის ირგვლივ და იცავენ [თავის] ქორწინებას შეუბღალავად².

FRAGMENTA¹

შრბგმმბტბბი

83. Athen. epit. I p. 6^b. ἄλλοι δὲ φιλίχθυσιν τὸν Φιλόξενον φασιν. Ἀριστοτέλης δὲ φιλῶδεςπνον ἀπλῶς, δὲ καὶ γράφει πον τῶν τῶν „ὀδηγηγορῶντες ἐν τοῖς ὄχλοις κατατρέψουσιν ὄλην τὴν ἡμέραν ἐν τοῖς μῦθμασι καὶ πρὸς τοὺς ἐκ τοῦ Φάσιδος ἢ Βορσθίνους καταπλέοντας, ἀνεγνωκότες οὐδὲν πλὴν ἐν τῷ Φιλοξένου δεῖπνον οὐδ' ἔλον“.

83. სხვები ამბობენ ფილოქსენოსზე³, რომ ის თევზის მოყვარულია, ხოლო არისტოტელე [ამბობს] რომ ის უბრალოდ წვეულების მოყვარული იყო. ის სადღაც წერს კიდევაც შემდეგს: „სახალხო ორატორები მთელ დღეს ხალხში ატარებენ, სასწაულოთმოქმედთა სანახაობებზე და ფასისიდან ან ბორისთენედან ჩამოსულებთან; მათ არაფერი აინტერესებდათ საერთოდ, გარდა ფილოქსენოსის წვეულებისა“.

171. Schol. (TQEP) Vindob. (A. P. p. 171) ad. Od. ε, 334. (Ἰνῷ Λευκοθήη, ἣ πρὶν μὲν ἔην βροτὸς ἀσθήσασα) ... ζῆται δὲ ὁ Ἀριστοτέλης, διὰ τὴν Καλυφῶν καὶ τὴν Κίρκην καὶ τὴν Ἰνῶν ἀσθήσασα λέγει μόναν· πασαι γὰρ καὶ αἱ ἄλλαι φωνῆν

171. ad. Od. ε, 334. (ინო ლევკოთეა, რომელიც უწინ მოკვდავი იყო, ადამიანურ ენაზე ლაპარაკობდა) არისტოტელე ეძიებს და ამბობს, რატომაა, რომ მხოლოდ კალიპსო, კირკე და ინო „ლაპარაკობდნენ ადამიანურ ენაზე“⁴, რადგან ყველა სხვა [ღმერთ-

¹ ტექსტი ამოწერილია: Aristotelis Fragmenta, edidit V. Rose, Lipsiae, 1886.

² შდრ. Plut., de flux., 6, 7.

³ ფილოქსენოსი—ათენელი ფილოსოფოსი, ანაქსაგორას მოწაფე.

⁴ აქ არის მსგავსი დაწერილობის სიტყვები: ἀσθήσασα, ἀσθήσασα და ὀσθήσασα.

εἰς τοὺς ἡρώδας ἐπιτάφια

გმირთა ეპიტაფიები

4. Ἐπὶ Ἀχιλλέως κειμένου
ἐν Τροίᾳ, τιμαμένου δὲ καὶ ἐν
Λεύκῃ τῇ νήσῳ.

4. აქილევსის მიმართ, რომე-
ლიც განისვენებს ტროაში და
რომელსაც თაყვანს სცემენ კუნ-
ძულ ლევკეზე.

Παρθα θεᾶς Θέτιδος, Πηληϊάδην
Ἀχιλῆα,
ἦδ' ἑρᾶ νῆσος ποντίας ἀμφὶς
ἔχει.

ღმერთქალის თეტიდას ძე,
აქილევსი პელეადესი
საგანგებოდ ჰყავს ზღვის წმინდა
კუნძულს.

43. Ἐπὶ Αἰήτου, κειμένου ἐν
Κολχίδι.

43. აფეტეს მიმართ, რომელიც
განისვენებს კოლხიდაში.

Αἰήτην Κόλχοισι πηλυχρῶσισιν
ἄνακτα
ἐνθάδε παρθαμάτωρ μοῖρα θεῶν
κτέρισεν.

აფეტე, ოქრომრავალი კოლხების
მეუფე,
აქ გააპატიოსნა ღმერთების
ყველაფრის დამთრგუნველმა
ბედისწერამ.

FRAGMENTA ¹

შრატმენტები

6. გვ. 306. (განყ. didascaliae) Argum. Eur. Medae: Ἐπι-
θάφῃ ἐπὶ Πυθιδῶρου ἀρχοντος
Ὀλυμπιάδος πρῶτον πρῶτον.
Πρῶτος Εὐφορίων, δευτερος Σο-
φοκλῆς, τρίτος Εὐριπίδης Μη-
δεία, Φιλοκλήτη, Δίκτυς, Θερის-
ταῖς σατύροις.

6. დიდასკალიებში [ნათქვა-
მია] პითოლოროსის არქონტო-
ბისას, 87-ე ოლიმპიადის პირველ
წელს—პირველი [ჯილდო მიიღო]
ეფორონიონმა, მეორე—სოფოკლემ,
მესამე — ევრიპიდემა „მედეათი“,
„ფილოქტეტეთი“, „მებაღურით“,
„მომმკალი სატირებით“.

2 (610). გვ. 308. (განყ. com-
mentarii historici) Athen. XIV
p. 654^d: Ἀριστοτέλης δὲ ἡ Θεο-
φραστος ἐν τοῖς ὑπομνήμασι „τῶν

2 (610). არისტოტელე, თუ
თეოფრასტე, თავის ჩანაწერებში
ამბობს: „ხოხობთა შორის არაა
გონივრული მამრთა უპირატესო-

¹ შედეგი ტექსტები ამოწერილია: Fragmenta Aristotelis, collegit dispo-
suit illustravit Aemilius Heitz, Parisiis, 1869; Editore Ambrosio Firmin-
Didot.

φασιαωνων, φησι, ου κατὰ λήγον
ἢ ὑπεροχῇ τῶν ἀρρένων ἀλλὰ
πολλῷ μείζων“.

4 (612). გვ. 308. Argum.
Eurip. Medae: Τὸ δῶρα ὄρα καὶ
ὑποβλέσθαι (δ' Εὐριπίδης scil.)
παρὰ Νεόφρονος διασκευάσας, ὡς
Δικαιάρχος τε περὶ τοῦ Ἑλλάδος
Βίου καὶ Ἀριστοτέλης ἐν Ἰπομι-
νήμασι.

ბის [აღნიშვნა], მაგრამ [მამრი
ზომით] ბევრად უფრო დიდია“.

4 (612). ევრიპიდემ ღრამა
[მედეა] ნეოფრონისაგან ისესხა
და გადაამუშავა, როგორც ჩანს
დიკაიარქოსის „ელადის ცხოვ-
რებისა“ და არისტოტელეს „იპო-
მიწერების“ მიხედვით.

ნიკოლოზ დამასკელი

ნიკოლოზ დამასკელის ბიოგრაფია

ნიკოლოზ დამასკელი ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მოღვაწე ერთ-ერთი საინტერესო ბერძენი მწერალთაგანია. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვევისათვის მის თხზულებებთან ერთად ძირითადი წყაროა სვიდა¹. შემდეგი დროისა და თანამედროვე გამოკვლევები არსებითად, მის ნაწარმოებებსა და სვიდას ლექსიკონში დაცულ ცნობებზე არიან დამყარებული².

ნიკოლოზ დამასკელი დაიბადა ძვ. წ. 64 წელს. იგი იყო შვილი განათლებული. შეძლებული და გამოჩენილი კაცის, ანტიპატროსისა და სტრატონიკესი. ჰყავდა ძმა—პტოლემეაჰოსი. წარმოშობით ვინ იყვნენ ნიკოლოზის წინაპრები, დანამდვილებით არაა ცნობილი (ლაკერის აზრით შეიძლება არამეელებიც იყვნენ; იყო ისეთი აზრიც, რომ ის არის ებრაელი, მაგრამ ამჟამად მის ებრაელობას არ სცნობს არცერთი ავტორი. შუტრერი, ლაკერი), მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ იმ დროისათვის ბერძნული კულტურის მქონე დამასკოში და ოჯახი სავსებით ელინისტური ჰქონდათ.

თვით ნიკოლოზ დამასკელი თავს ბერძნად გრძნობდა და განათლებაც შესაბამისი ჰქონდა მიღებული. მან თავის დროზე შეისწავლა

¹ Suidae Lexicon, ex recognitione Im. Bekkeri, Berolini, 1854, გვ. 742—743.

² Susemihl Franz. Geschichte der griechischen Litteratur in der Alexandrinerzeit, II Band, Leipzig, 1892, გვ. 309—321. Schürer Emil, Geschichte des jüdischen Volkes im Zeitalter Jesu Christi, I Band, Leipzig, 1901, გვ. 50—57; W. Christ, Geschichte der griechischen Litteratur, VII, 2, 1, München, 1920, გვ. 374—376; R. Laqueur, Nikolaos von Damaskos; RE XXXIII Halbband, Stuttgart, 1936, გვ. 362—424; ს. ყაუხჩიძე, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 193.

გრამატიკა, რიტორიკა, მუსიკა, მათემატიკა და ფილოსოფია. საბოლოოდ ის არისტოტელეს მიმდევარი, პერიპატეტიკოსი იყო.

ნიკოლოზ დამასკელი უეჭველად ნიჭიერი და განათლებული კაცი იყო, მაგრამ მისი კარიერისათვის, რა თქმა უნდა, მამის სოციალურ მდგომარეობასაც ჰქონდა მნიშვნელობა. უთუოდ ამანაც შეუწყობ ხელი, რომ ის გახდა უფლისწულების (ანტონიუსის და კლეოპატრას შვილების) აღმზრდელი, იუდეველთა მეფის ჰეროდეს მრჩეველი და ავგუსტუსის ბიოგრაფი. ძვ. წ. 20 წელს ის რატომღაც ანტიოქიაშია, სადაც ავგუსტუსთან წარგზავნილ ინდოელ დესპანებს შეხვდა. შესაძლოა, ამ დროს ის უკვე არის ჰეროდეს მრჩეველი. ნიკოლოზ დამასკელი ერთ ხანს ცხოვრობდა ალექსანდრიაში. მან ჰეროდესთან ერთად ძვ. წ. 14 წელს იმოგზაურა პალესტინიდან როდოსზე, კოსზე, ქიოსზე, შემდეგ ლესბოსზე. აქედან ჰეროდე წავიდა ბიზანტიონში, ხოლო ნიკოლოზი ილიონში, მასთან ერთადვე უნდა მოველო მას მცირე აზია და შავი ზღვის სანაპირო³ (სამწუხაროდ უფრო ზუსტი ცნობა არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ შავი ზღვის რომელი სანაპირო მოინახულა მან).

შემდეგ ჰეროდემ ძვ. წ. 8 წელს ნიკოლოზ დამასკელი რომში გაგზავნა დიპლომატური მისიით ოქტავიანუს ავგუსტუსთან — ეს მაშინ, როდესაც ჰეროდეს ავგუსტუსის წყალობა მოაკლდა. ნიკოლოზმა თავისი მისია შეასრულა: მან მოახერხა ავგუსტუსთან მდგომარეობის ისე დასახვა, თითქოს არაბების გამოსვლა ჰეროდეს წინააღმდეგ — ეს იყო თვით ავგუსტუსის წინააღმდეგ გამოსვლა; ამდენად ჰეროდეს მოქმედება არაბთა წინააღმდეგ სრულიად გამართლებული გამოდიოდა.

ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ (ძვ. წ. 4 წ.) ნიკოლოზი დარჩა მაინც მის კარზე და მის ძეს, არქელაოსს წაჰყვა რომში მხლებლად. როგორც ჩანს, ის კიდევაც დარჩენილა რომში საცხოვრებლად. გუტმშიდტის, ლაკერისა და კრისტის აზრით ის ბოლოს დიდხანს ცხოვრობდა რომში. როდის და სად გარდაიცვალა ნიკოლოზ დამასკელი, არაა ცნობილი. საფიქრებელია, რომ ის გარდაიცვალა ახ. წ. 14 წლის შემდეგ, რის მოწმობადაც გამოგვადგება მისი ნაწარმოები „ავგუსტუსის ცხოვრება“. როგორც თვით ნაწარმოებში

³ Laqueur, R. RE, XXXIII Halbband. 1936, გვ. 368; Sussehl, Fr.... 33. 309.

დაცული რეალიების მიხედვით ჩანს. მან ის დაასრულა და გამოაქვეყნა ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ⁴. მისი გარდაცვალების თარიღის უფრო ზუსტად განსაზღვრა არ ხერხდება.

ნიკოლოზ დამასკელის ნაწარმოებები

ნიკოლოზ დამასკელის სახელით რამდენიმე ნაწარმოებია ცნობილი, მაგრამ სამწუხაროდ არცერთი მათგანი მთლიანად არაა ჩვენამდე მოღწეული. ყველა ისინი ან მხოლოდ ფრაგმენტების სახით არიან დაცული, ან ალარც ფრაგმენტებია მათი, მარტო სათაურებიღაა ცნობილი.

ნიკოლოზ დამასკელი მრავალმხრივი მწერალი იყო. მას მიეწერება კომედიებისა და ტრაგედიების თხზვა, რომელთაგან ერთის სახელია ცნობილი: *Ἀρχαὶ τῆς Ξασαχῆως* (ან *Ξασαχῆως*), (ე. ი. სუსანას დრამა). ეს ნაწარმოები მოღწეული არაა, არც დედანში და არც თარგმნილი.

მასვე ეკუთვნოდა ფილოსოფიური ტრაქტატები, სადაც ის ორიგინალური არ ყოფილა. ის, როგორც არისტოტელეს მიმდევარი, მისი იდეების ინტერპრეტაციასა და პოპულარიზაციას ახდენდა. მისი ფილოსოფიური ნაწარმოებები იყო: „Περὶ Ἀριστοτέλους φιλοσοφίας“, „Περὶ τοῦ Πλάτωνος“, „Περὶ τοῦ ἐν τοῖς Περικλέους ἀπομνημονεύμασι“. ამათგან რამდენიმე ციტატი დაცულია სიმპლიციუსთან, ხოლო „Περὶ Ἀριστοτέλους φιλοσοφίας“ სირიულად ყოფილა თარგმნილი და თარგმანის ნაწყვეტები არსებობს კემბრიჯის ერთ-ერთ ხელნაწერში.

პერიპატეტიკულ შრომათა რიგს მიაკუთვნებენ „Περὶ τῆς ἁπλῆς ἀληθείας“ („უჩვეულო ჩვევათა კრებული“), რომელიც დღეს ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. იგი მიძღვნილი იყო პეროდეს მიმართ და მისთვის იყო დაწერილი. დღესდღეობით თითქოს არაა დავა იმის შესახებ, რომ ეს ნაწარმოები ნიკოლოზ დამასკელის მიერ არის შედგენილი, მაგრამ უწინ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომ ის ნიკოლოზს კი არ ეკუთვნის, არამედ უფრო გვიანდელი ავტორისაა, რომელიც უხვად სარგებლობდა ნიკოლოზის სხვა ნაწარმოებით, „ისტორიით“ და ეს შე-

⁴ Laqueur. RE..., გვ. 405, 415.

ცდომა (ე. ი. ის, რომ ნიკოლოზს მიაწერეს სხვისი ნაწარმოები) ამან გამოიწვიაო⁵.

„ჩვევათა კრებულის“ ფრაგმენტები იოანე სტობელის „ანთოლოგიანი“ არის დაცული.

ნიკოლოზ დამასკელის ძირითადი ნაწარმოები „Ἰστορικαι“ („ისტორია“) წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას დასაბამიდან ძვ. წ. 4 წლამდე. არის აზრი იმის შესახებ, რომ ის პეროდეს დროს და მისთვის იყო დაწერილი. მისი წერა დაწყებული უნდა იყოს ძვ. წ. 16 წელს (დაახლოებით) და დასრულებული პეროდეს სიკვდილის შემდეგ⁶.

ეს ნაწარმოები შედგებოდა 144 წიგნისაგან, თუმცა ძველი ავტორებიდან ზოგი მხოლოდ 80 წიგნს ასახელებს (სვიდა), რაც არ არის სწორი (სვიდა ან მეტს არ იცნობდა, ან ეს ხელნაწერის შეცდომაა, ან მას რამე შემოკლებული რედაქცია ჰქონდა ხელთ).

ამ ნაწარმოებიდანაც მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. ეს ფრაგმენტები შემოკვინანეს ძირითადად იოსებ ფლავიუსმა (123-ე და 124-ე წიგნებიდან) თავის Ἰωαννουῦ ἀρχαιολογικῶν-ში და კონსტანტინე პორფიროგენეტმა (I—VII წიგნებიდან) კომპილაციურ კრებულებში: Excerpta De insidiis (ვერაგობის შესახებ) და De virtutibus et vitiis (სიკეთისა და ბოროტების შესახებ). ზოგიერთი ციტატი ნიკოლოზის „ისტორიიდან“ დაცულია სტრაბონთან, პლუტარქოსთან და ათენაეოსთან. საბოლოოდ გვაქვს ნაწყვეტები 1—7 წიგნებიდან, 8—95 წიგნები სულ დაკარგულია, ხოლო 96, 103, 104, 107, 108, 110, 114, 116, 123 და 124 წიგნების ფრაგმენტები შემონახულია.

ისტორიულ-პანეგირიკული ხასიათისაა ნიკოლოზ დამასკელის „Βίαις Κρισεαίσις“ („კეისრის ცხოვრება“), რომელიც ასევე ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული და რომელიც საბოლოოდ ოქტავიანუს ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგ დასრულდა; თუმცა კი მის სიცოცხლეშივე დაიწყო ნიკოლოზმა მისი წერა, რათა აღმოსავლური ქვეყნებისათვის გაეცნო ის, რაც საკუთრივ რომაელთათვის კარგად იყო ცნობილი. ჩვენამდე მოღწეულ ნაწყვეტებში გადმოცემულია ოქტა-

⁵ Susemihl, Franz., გვ. 317.

⁶ Jacoby, F., Die Fragmente der griechischen Historiker, II Teil, C, Berlin, 1926, გვ. 230—231.

ვიანუს ავგუსტუსის ბავშვობა, მაგრამ შესაძლოა მთლიან ნაწარმოებში კეისრის მთელი ცხოვრება იყო განდიდებული. „კეისრის ცხოვრების“ ნაწყვეტები კონსტანტინე პორფიროგენეტის ზემოთ დასახელებულსავე კრებულებში არის დაცული.

ნიკოლოზ დამასკელსავე ეკუთვნის „*Ἡσὴ? τὴν Ἰησοῦν*“ („საკუთარი ცხოვრების შეახება“), რომლის ფრაგმენტები ასევე კონსტანტინე პორფიროგენეტის იმავე კრებულებშია მოთავსებული. ამის შესახებ არსებობდა აზრი (Orelli, Koraes, Feder, Asbach), რომ ასეთ ქებას საკუთარ თავზე კაცი თვითონ ვერ დასწერდა, ეს უთუოდ მისი მოწაფეების გაკეთებულია⁷. მაგრამ ამ აზრმა ვერ მოიკიდა ფეხი და ნიკოლოზ დამასკელის თხზულებათა შორის მის „ავტობიოგრაფიასაც“ ასახელებენ ხოლმე უეჭველად და მისი სიცოცხლის ბოლო ხანით ათარიღებენ.

საშუალო საუკუნეებში კარგად იყო ცნობილი ორ წიგნად დაწერილი „*მცენარეთა ფიზიოლოგია*“, რომელიც ლათინურად გადაამუშავებული, საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, ერთ ხანს მისი დედანი არისტოტელესად იყო მიჩნეული, მაგრამ კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ მისი ავტორი ნიკოლოზ დამასკელი იყო, რომელმაც უხვად ისარგებლა არისტოტელესა და თეოფრასტეს ნაშრომებით. ეს ნაშრომი ლათინურიდან ისევ ბერძნულად ითარგმნა მე-14 საუკუნეში⁸.

ეს არის ნიკოლოზ დამასკელის ჩვენთვის ცნობილი ნაწარმოებები.

ნიკოლოზ დამასკელის ფრაგმენტები არაერთგზის ყოფილა გამოცემული. უძველესი მათ შორის არის J. C. Orelli-სა: *Nicolai Damasceni historiarum excerpta*, Lipsiae, 1804. შემდეგია: C. Müller-ისა სერიაში: „*Fragmenta historicorum graecorum*“, III, Parisii, 1883, გვ. 343—464, L. Dindorf-ისა: „*Historici graeci minores*“, I, Lipsiae, 1870, გვ. 1—153. და უკანასკნელი F. Jacoby-ისა „*Die Fragmente der griechischen Historiker*“, II Teil, A. Berlin, 1926. გვ. 324—430 (თავისივე კომენტარებით, II Teil, C, გვ. 229—291), გარდა ამისა, მისი „კეისრის ბიოგრაფია“, რომელიც სხვა ნაწარმოებებზე უკეთ არის დაცული და რომის ისტორიის შემსწავლეებს (და საერთოდ ევროპეისტებს) სხვაზე მეტად აინტერე-

⁷ Susemihl, ..., გვ. 313.

⁸ Christ, ..., გვ. 375; Susemihl, ..., გვ. 317—318.

სებს, ცალკეც არის რამდენჯერმე გამოცემული. მაგ. Nicolaus Damascenus, Vie de César, Fragment récemment découvert et publ. pour la première fois en 1849. Nouv. ed. par N. Piccolas, Paris, 1850. აქ არის ბერძნული ტექსტი და ფრანგული თარგმანი, Hall, Clayton Morris, Nicolaus of Damascus, Life of Augustus, Northampton, 1923, IV, 97 p. არის ბერძნული ტექსტი და ინგლისური თარგმანი. Nicolao Damasceno, La vita di Augusto, ed. crit. et trad. di G. Turturro (? G. Partuno), 1945, ბერძნული ტექსტი და იტალიური თარგმანი.

ნიკოლოზ დამასკელის ფრაგმენტებზე მუშაობისას ყველა ეს გამოცემა გათვალისწინებულია, მაგრამ ძირითადად მაინც F. Jacoby-ს გამოცემაა მიჩნეული, როგორც ყველაზე კრიტიკული და უახლესი. რამდენადაც ნიკოლოზ დამასკელის თხზულებები სრულად და დამოუკიდებლად არ არის ჩვენამდე მოღწეული, ამდენად მის ხელნაწერებზე საგანგებო ლაპარაკი არ გვიხდება. ხელნაწერები ჩვენ იმ ავტორებისა უნდა მიმოვიხილოთ, ვინც შემოგვინახა ნიკოლოზ დამასკელის ფრაგმენტები.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, „ჩვევათა კრებულის“ ექსცერპტები იოანე სტობელის (Ἰωάννης Στοιχειώτης) „ანთოლოგიაშია“ დაცული. იოანე სტობელი ახ. წ. V ს-ის მოღვაწე იყო და მის 4 წიგნიან „ანთოლოგიაში“ 500-ზე მეტი მწერალია შესული. ერთ-ერთი მათგანია III—IV წიგნში დამოწმებული ნიკოლოზ დამასკელი. თვით ეს „ანთოლოგია“ იმ სახით არაა ჩვენამდე მოღწეული, როგორც ის შემდგენელმა გამოუშვა; მან ბევრი ცვლილება განიცადა და ბიზანტიელი ანთოლოგისტების ხელში გაიარა.

უძველესი ხელნაწერი, რომელშიც ეს ანთოლოგიებია, XI ს-ისაა (Vindobon. philol. gr. 67; Venet. IV, 29), ხოლო ნიკოლოზ დამასკელის ექსცერპტების შემცველი ხელნაწერები XIV და XV ს-ისაა (Farnesin. III D 15; Parisin. Gr., 2129; Laur. 8,22)⁹. მეტი წილი ნიკოლოზ დამასკელის „ისტორიის“ ნაწყვეტებისა კონსტანტინე პორფიროგენეტის კომპილაციური კრებულების მეშვეობით არის ჩვენამდე მოღწეული. კონსტანტინე პორფიროგენეტი X ს-ის მოღვაწეა, ხოლო მისი კრებულები („ვერაგობის შესახებ“ და „სიკეთისა და ბოროტების შესახებ“) XII—XVI სს-ის ხელნაწერებით არის ჩვენამდე მოღწეული.

⁹ Christ..., II, 2, 1913, გვ. 892.

იოსებ ფლავიუსის (ახ. წ. I—II ს-ის მოღვაწე) „იუდეველთა არქეოლოგიაში“ არის რამდენიმე ნაწყვეტი ნიკოლოზ დამასკელის თხზულებებიდან. იოსებ ფლავიუსის ნაწარმოების (ისიც ზოგიერთი თავების) XI ს-საზე ადრინდელი ხელნაწერები არ არსებობს¹⁰.

ამგვარად, ნიკოლოზ დამასკელის თხზულებათა ფრაგმენტები მათი დაწერის დროსთან შედარებით საკმაოდ გვიანდელი ხელნაწერების სახით არიან ჩვენამდე მოღწეული.

ნიკოლოზ დამასკელის წყაროები

ნიკოლოზ დამასკელის თხზულებათა (უფრო სწორად თხზულებათა ფრაგმენტებს) შორის საქართველოს ისტორიისათვის სხვაზე მეტად საინტერესოა ორი—მისი „ისტორია“ და „ჩვევათა კრებული“. ისევე, როგორც სხვა ავტორების მიმართ აქაც ისმის წყაროების საკითხი. „ისტორიისათვის“ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული ცნობების მიხედვით წყაროა მეთოდოლოგიის თვალსაზრისით—ეფოროსი, რომლის მსგავსადაც ავტორისათვის მთავარი ქრონოლოგიური პრინციპი კი არ არის, არამედ მოვლენათა შორის არსებითი ურთიერთკავშირია. ქრონოლოგია, ცხადია, დაცულია, მაგრამ რამდენადაც ისტორია უახლოვდება ავტორის თანამედროვეობას, იმდენად იგი უფრო გავრცობილად არის წარმოდგენილი. ამას გარდა წყაროა: კტესია და ქსანთოსი, აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, ხოლო ჰელანიკე და ეფოროსი დასავლეთის ქვეყნებისათვის¹¹.

მითრიდატეს ომების ისტორიისათვის, რაც 96—110 ფრაგმენტებშია გადმოცემული, წყაროდ პოსედონიოსია აღიარებული¹². Witte-ს ნაშრომში ის აზრია გატარებული, რომ რომის ისტორიისათვის ნიკოლოზ დამასკელი იყენებდა პოსედონიოსს (frg. 95). თეოფანე მიტილენელს (frg. 77) და კეისარს (frg. 80)¹³.

¹⁰ Christ..., II. I, გვ. 596.

¹¹ Laqueur..., გვ. 374, 375. ლაკერი თითქოს აკრიტიკებს ამ შესეღლებას და ნიკოლოზ დამასკელის ფრაგმენტების ძალიან დეტალურ გარჩევას იძლევა, მაგრამ არსებითად, საბოლოოდ ისიც ამავე აზრის არის. Christ-ი „ისტორიისათვის“ წყაროდ კტესიას ასახელებს. გვ. 376. Carl Jacoby—კტესიას, resp. დიოდორეს „Zur Beurteilung der Fragmente des Nikolaus von Damaskus... Lipsiae, 1874, 193—211).

¹² Susemihl..., გვ. 315—316.

¹³ Laqueur..., გვ. 392.

„ჩვევათა კრებულის“ წყაროთა შესახებ სპეციალისტები ძირითადად ერთი აზრისა არიან: ყველა ასახელებს ეფოროსს და ზოგჯერ არისტოტელეს „Νόμῃα παρπαριᾶ“-ს, რაც არსებითად ისევ ეფოროსზე დამოკიდებულად არის მიჩნეული¹⁴. სპეციალური გამოკვლევა ამ საკითხზე აქვს E. Reimann-ს: Que ex fonte fluxerit Nicolai Damasceni Παρπαρῖων ἔμῃν συγγραφή¹⁵, სადაც მიდის იმ დასკვნამდე რომ ეფროსი არის წყარო „ჩვევათა კრებულისათვის“ და განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს იმ ნაწილებში, რომლებიც ეხება კრეტელთა, სავრომატთა და გალაქტოფაგთა ჩვევებს¹⁶.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო იმ ავტორებს, რომლებიც ნიკოლოზ დამასკელის ნაშრომებში არიან გამოყენებული: ეფოროსი ძვ. წ. IV ს-ის მცირეაზიელი ბერძენი ისტორიკოსი იყო; მას ჰქონდა დაწერილი 30 წიგნად „Ἰστορίᾳ αἰσῶν παρῶτων“, რაც საბერძნეთის პირველი ზოგადი ისტორია იყო. მან გამოიყენა მის დრომდე არსებული საისტორიო მწერლობა და მისი შემდეგი დროის ავტორები ხშირად მიმართავენ მას. მაგ., დიოდორე (B. 11—16), ფსევდო-სკიმნოსი, სტრაბონი და სხვები. სამწუხაროდ მისი „ისტორია“ დღეს მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული.

ეფოროსის დროინდელივე ავტორი იყო კტესია, ავტორი „Περσικά“-სი, რაც 23 წიგნად იყო, მაგრამ ამჟამად მარტო ფრაგმენტებია მისი. დიოდორეს იგი თითქოს უშუალოდ აქვს გამოყენებული, სხვა ავტორებს—მეშვეობით.

ქსანთოსი ძვ. წ. V ს-ის ლოგოგრაფოსი იყო; მას ჰქონდა 4 წიგნისაგან შემდგარი „Λυδίαῖα“ (რასაც ზოგი ძველადვე არ სცნობდა მისად). ეს ნაწარმოებიც მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული ჩვენამდე.

ჰელანიკე იყო ძვ. წ. V ს-ის ისტორიკოსი, პეროდოტეზე უმცროსი, მას სხვადასხვა ხასიათის თხზულებები ჰქონდა—გენეალოგიური („Φορῶνις“; „Δεσαχλῶνεια“; „Ἀτλαστῆς“; „Ἰρσῆια“), ქოროგრაფიულ-ქრონოლოგიური („Αἰθῖα“; „Περσικά“; „Ἀτმიς“; „Καρυσθῖαι“; „Ἰέρεια τῆς Ἡρᾶς“). ცალკეა მისი „Νόμῃα παρπαριᾶ“. ამ ნაწარმოებებიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

¹⁴ Susseml.,..., გვ. 317; Schürer, ..., გვ. 54; М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 87.

¹⁵ Philologus, 54 ტ. 1895, გვ. 654—709.

¹⁶ იქვე, გვ. 694.

ცნობილი ფილოსოფოსის არისტოტელეს შესახებ სიტყვას აღარ გაეაგრძელებ, აღვნიშნავ, მხოლოდ იმას, რომ მის მრავალრიცხოვან შრომათა შორის იყო ერთი, „*Νομομαχ βραββαριχά*“, რომელიც ჰაპირუსის ერთი ფრაგმენტის სახით არის ჩვენამდე მოღწეული და რომელიც მიჩნეულია ნიკოლოზ დამასკელის ერთერთ წყაროდ.

პოსეიდონიოსი 140—56 წწ. ცხოვრობდა. მას ჰქონდა მრავალი სხვადასხვა ხასიათის შრომა და არისტოტელეს მერე უდიდეს მეცნიერად ითვლებოდა ანტიკურ სამყაროში. მას ჰქონდა „ისტორია“ (რაც პოლიბიოსის შრომის გაგრძელებას წარმოადგენდა 144—86 წწ. ამბებს შეიცავდა), „*Περὶ Ὀξεχουῖν*“, „მეტეორათავის“ და სხვ. ამას უხვად იყენებდნენ შემდეგი თაობის ისტორიკოსები: სტრაბონი, გემინოსი და სხვ. პოსეიდონიოსის ნაშრომები ფრაგმენტების სახით არის დღეს მოღწეული.

თეოფანე მიტილენელი ძვ. წ. I ს-ის მოღვაწე იყო. იგი მონაწილეობდა პომპეუსის ლაშქრობაში და დაწერა საისტორიო თხზულება, რომელშიც აღწერილი იყო მითრიდატეს მესამე ომი. მის ნაშრომს იყენებდნენ შემდეგ სტრაბონი, პლუტარქოსი, აპიანე, ლივიუსი და სხვები. სამწუხაროდ მისი მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე დაცული.

დიოდორე სიცილიელი ძვ. წ. I ს-ის ისტორიკოსი იყო. მას ჰქონდა დაწერილი „*Βιβλία: αἰσθητικῆ ἱστοριῆς*“, ორმოც წიგნად. ეს იყო მსოფლიო ისტორია დასაბამიდან სოფლისა იულიუს კეისრის გალებთან ომის დრომდე. მისი ნაშრომი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მანამდე არსებული და აწ დაკარგული წყაროები შემოგვინახა. დიოდორეს „ისტორიული ბიბლიოთეკა“ მოღწეულია ჩვენამდე და მისი რუსული თარგმანიც არსებობს.

იულიუს კეისრის ლიტერატურული მემკვიდრეობა („ომი გალებთან“, „სამოქალაქო ომი“ და სხვ.) ლათინურ ენაზეა. როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, ნიკოლოზ დამასკელმა რომში ყოფნის დროს ისწავლა ლათინური და შესძლო ლათინური წყაროების, კერძოდ კეისრის შრომათა გამოყენება¹⁷.

ნიკოლოზ დამასკელის თხზულებები ბევრმა ავტორმა გამოიყენა. მისი თანამედროვე იყო სტრაბონი, რომელიც თავის „გეოგრაფიაში“ (XV წიგნი) იმოწმებს ნიკოლოზ დამასკელს. იოსებ ფლავიუსი, რომელმაც შემოგვინახა ნიკოლოზის მთელი ციტატები,

¹⁷ Laqueur,..... გვ. 392.

უხვად იყენებს ამ ავტორის ნაშრომებს. იოსებ ფლავიუსის ერთ-ერთ წყაროდ ნიკოლოზ დამასკელი არის აღიარებული¹⁸. თ. რეინაკი მონოგრაფიაში („Mithridate Eupator, roi de Pont“, Paris, 1890. გვ. 452) წერს, რომ ნიკოლოზ დამასკელი ის ავტორი იყო, რომლის მეშვეობით აპიანე პოსედონიოსისა და სალუსტიუსის ცნობებს იყენებდა მითრიდატეს მეორე ომის აღწერისას. ხოლო შესაძლოა ისევე ნიკოლოზ დამასკელი იყოს აპიანეს წყარო ლუქულუსთან და პომპეუსთან მითრიდატეს ომებისათვისაო. ათენაეოსი თავის „Δεκαεπιτομικαί“-ში“ (VI, 91) იპოწმებს ნიკოლოზ დამასკელს, კვლავ მითრიდატე ევპატორის ამბებთან დაკავშირებით.

ნიკოლოზ დამასკელის ცნობები საქართველოს შესახებ

ნიკოლოზ დამასკელის ნაწარმოებებში: „ისტორია“ და „ჩვევათა კრებული“ არის ცნობები, რომლებიც საინტერესოა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. ეს ცნობები ძირითადად სამად შეიძლება დავაჯგუფოთ: I ჯგუფში შევა ჩვენი წინაპარი ტომებისა და მათი მენობლების დახასიათება, II-ში—მეზობელი ქვეყნების (არმენია, ბოსფორი, პონტო) აღწერა და ისტორია (უპირატესად მითრიდატეს ისტორია) და III-ში—არგონავტების მითიდან სხვადასხვა ადგილები.

I. ქართველთა წინაპარი ტომებისა და მათი მეზობლების ჩვევათა დახასიათებიდან, რაც მოცემულია „ჩვევათა კრებულში“, ყურადღებას იპყრობს შემდეგი: მოღწეულ ფრაგმენტებში სხვა ტომებს გარდა იხსენიებიან კოლხები, სინდები, ტავრები, მოსინები, კერკეტები, სავრომატები და გალაქთოფაგები. ამათგან პირველი სამი დაპარხვის წესებთან დაკავშირებით არიან ხსენებული, ხოლო დანარჩენების ჩვეულებების აღწერა უფრო მრავალმხრივი და დაწვრილებითია.

ნიკოლოზ დამასკელი ამბობს: „ტავრები... მეფეებთან ერთად მარხავენ უერთგულესებს მათ მეგობართა შორის. ხოლო მეფე, როდესაც კვდება მეგობარი, ან ნაწილს, ან მთელ ყურს სკრის მას გარდაცვლილის ღირსების მიხედვით... სინდები იმდენ თევზს აგდებენ საფლავზე, რამდენი მტერიც ჰყავს მოკლული მას, ვისაც მარ-

¹⁸ Schürer, ... გვ. 54.

ხავენ... კოლხები მიცვალებულებს კი არ მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხეებზე“ (frg. 119. 120, 121).

დამარხვის ამ წესთა შესახებ შემდეგი შეიძლება შეინიშნოს: კოლხთა დამარხვის ეს წესი ანტიკურ მწერლობაში მარტო ნიკოლოზ დამასკელს არა აქვს გადმოცემული. II—III სს. მწერალი კლავდიუს ელიანუსი „სხვადასხვა მოთხრობებში“ (IV, 1) წერს: „კოლხები მიცვალებულებს ტყავებში მარხავენ, გამოჰკერავენ და ხეებზე ჰკიდებენ“.

ძვ. წ. III ს-ის ეპიკოსი აპოლონიოს როდოსელი თავისი „არგონავტიკაში“ (III, 201—209) წერს: კოლხიდაში კირკეს დაბლობზეა მოსული იასონი და აქ ხეების წვერებზე ხედავს თოკებით ჩამოკიდებულ გვამებს და ამბობს—აქამდე მძიმე ცოდვად ითვლება კოლხებში ცეცხლით დაწვან დახოცილი მამაკაცები. მათ ახვევენ გამოუყვანელ ხარის ტყავებში და ჰკიდებენ ხეებზე ქალაქიდან მოშორებით, მაგრამ მიწაც ღებულობს ჰაერთან თანაბრად თავის კუთვნილს, რადგან ქალების გვამებს მიწაში მარხავენ. ასეთი წესი აწვთ მათ. აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი კი შენიშნავს, რომ აპოლონიოსი კოლხების დამარხვის საკითხში ნიმფოდოროსის მიმდევარიაო.

ანტიკური წყაროების გარდა ქართულ მწერლობაშიც მოგვეპოვება მსგავსი ცნობა. ვახუშტის „გეოგრაფიაში“ ეკითხულობთ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შესახებ: „სარწმუნოებით არიან ქრისტიანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხვიან, ვითარცა კერპნი. ვინათგან არა დაჰფლვენ მკუდართა თვსთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკმთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკის მიერ, სწამთ განსვენებულად მერმესა გას“¹⁹.

გარდა ლიტერატურული მოწმობებისა, ძველი კოლხიდის ტერიტორიაზე მიცვალებულის დამარხვის ასეთი წესი დადასტურებულიც ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც და ქართველ ეთნოგრაფებს საამისო ახსნაც მოეპოვებათ (ხეზე ჩამოკიდება ტყავში—ეს არის ხარის კულტის ასახვა—ვეყრდნობი პროფ. გ. ჩიტაიას ზეპირ

¹⁹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 172 (ვახუშტის გვერდი 264).

განცხადებას). არსებობს გ. ნიორაძის შრომა „მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა“²⁰, სადაც სხვაგვარი ახსნა მოცემული—ჰაერზე დამარხვისას ქირისუფალს სჯეროდა, რომ ამითი მიცვალებულის სულს არ ჰკლავდა. რ. ფუთურიძე შრომაში „გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“²¹, წერს: „ძველი ავტორების ცნობა, თითქოს კოლხეთში მიცვალებულ მამაკაცებს ტყავებში ახვევენ და ხეებზე ჰკიდებენ (აპოლონიოს როდოსელი, ... ნიმფოდორი, ... კლავდიუს ელიანე და სხვ.) და მხოლოდ ქალებს აბარებენ მიწას, არ უნდა ეხებოდეს კოლხეთში მცხოვრებ ყველა ტომს, რადგანაც ამ დროის დასავლეთ საქართველოში არა ერთი მამაკაცის სამარხია აღმოჩენილი (ბანძაში, ძვერში, ბრილში, კლდეეთში და სხვ.); თუმცა დაკრძალვის მსგავსი წესი ბოლო ხანებამდე შემორჩა აფხაზეთში მეხით მოკლული ადამიანის დასამარხად*. გარდა ამისა, გვაქვს ცნობები, რომ აფხაზეთში წესად ჰქონდათ მიცვალებულთა ხის ყუთში მოთავსება და ხეზე გაკიდვა... ევლია ჩელების ცნობით... ასე ასაფლავებენ აფხაზთა ბეგებს... ასეთივე ცნობა აქვს არქანჯელო ლამბერტის... ასევე ვახუშტის... ცხადია, დაკრძალვის ასეთი წესის შესახებ არქეოლოგიური მასალა ვერაფერს გვეტყვის“ (გვ. 66—67).

ახსნა მიცვალებულის დამარხვის ამა თუ იმ წესისა ჩემს კომპეტენციაში არ შედის, ის კი უდავო ჩანს, რომ ნიკოლოზ დამასკელმა თავის „უცნაურ ჩვევათა კრებულში“ კოლხებს შორის დამარხვის რეალურად არსებული წესი აღწერა.

მართალია, ამ რიგისა არ არის, მაგრამ კოლხების შესახებ ნიკოლოზ დამასკელს კიდევ ერთი ცნობა აქვს („ისტორია“, 103-ე თავიდან, frg. 95) დატული ათენაჯოსთან, „ქიოსელები დაიმორჩილა მითრიდატე კაპადოკიელმა და შეკრულები გადასცა თავის საკუთარ მონებს, რათა კოლხთა ქვეყანაში დაესახლებინათ“ (ამბავი დათარბლებულია ძვ. წ. 86 წლით). ეს ცნობა თვით ნიკოლოზს პოსედონიოსისაგან აქვს აღებული. მითრიდატეს უკმაყოფილება ქიოსელებით და მათი დასჯის სურვილი სხვა წყაროების მიხედვითაც ცნო-

²⁰ „ენიმკის შოამბე“, V—VI, 1940, გვ. 57—81.

²¹ მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, 1959, გვ. 54—94.

* С. З в а н б а й, Абхазская мифология и религиозные поверья и обряды между жителями Абхазии (Из записок природного абхазца). габ. „Кавказ“, 1855, № 81.

ბილია, მაგრამ კოლხიდა რადაა გადასასახლებელ ადგილად გამოყენებული, ეს არ ვიცით (დასჯილი ქიოსელები, ძალიან აყრილები და შეურაცხყოფილები მითრიდატემ გაგზავნა ევქსინის პონტოსკენ—აპიანე, მითრიდატიკა, § 47, ქართ. გამოც., გვ. 107).

ამრიგად, თუ ეს სამივე ავტორი ერთმანეთისაგან არ სარგებლობს (და ერთის შეცდომას არ იმეორებს), ცნობა რამდენიმეჯერ გვხვდება და თითქოს საეჭვო არ ჩანს.

ტავრები ნიკოლოზ დამასკელისავე განმარტებით სკვითური ტომია; ეს ის ხალხია, რომელიც დღეს ყირიმად წოდებულ ტერიტორიაზე სახლობდა (და რომელსაც ანტიკურ ეპოქაში „ტავრიკა“ ეწოდებოდა). ეს ტომი მეფეებთან ერთად მარხავს უერთგულესებს მათ მეგობართა შორის. ხოლო მეფე, როდესაც კვდება მეგობარი, ან ნაწილს, ან მთელ ყურს სჭრის მას, გარდაცვალებულის ღირსების მიხედვით (frg. 119).

ნიკოლოზ დამასკელის დაახლოებით თანამედროვე მწერალი ისიგონოს ნიკეელი თავის ნაწარმოებში „Ἰστορία“ („დაუჯერებელი ამბები“), გვაწვდის მსგავს ცნობას მხოლოდ ლიგიელთა შესახებ (მაგრამ Jacoby-ს კომენტარის მიხედვით და მ. როსტოვცევის აზრით—იქვე, გვ. 92, Ἀλκυας შეცდომაა). ეს ცნობა ასეთია: „მეფე, როდესაც კვდება მეგობარი, ყურის რაღაცა, პატარა ნაწილს აჭრის, ხოლო როდესაც უფრო მახლობელი კვდება, უფრო მეტს აჭრის, ხოლო როდესაც ყველაზე მახლობელი—(მაშინ მთელს)“ (LXV, 2).

ჭეროლოტე „ისტორიის“ IV წიგნში (§ 71) გადმოსცემს მთელს რიტუალს სკვითთა ერთი ტომის დამარხვასთან დაკავშირებულს და სხვა ჩვევათა შორის წერს: მეფესთან ერთად მარხავენ ერთ-ერთ მის ხარკთაგანს, ღვინისმწდეს, მზარეულს, მეჯინიბეს და აყოლებენ თან ოქროს ჭურჭელს (ვერცხლსა და სპილენძს—არა). ამ ცნობაში ყურის მოკვეთის შესახებ არაფერია, მაგრამ პირველი ნაწილი (მეფეებთან ერთად იმარხვიან მისი უერთგულესები)—ორივეგან ერთნაირია. ეს ჩვევა მარტო სკვითების დამახასიათებელი არ არის.

სინდები, რომლებიც მიცვალებულის საფლავზე იმდენ თევზს აგდებენ, რამდენიც მტერი ჰყავს დამარხულს მოკლული (frg. 120), სკვითური მოღმის ტომია, უფრო ზუსტად—მეოტი ტომია. სხვა ავტორების განმარტებით ისინი ცხოვრობენ დღევანდელი ანაპის მიდამო ტერიტორიაზე და მათი დედაქალაქი იყო გორგიპია. ცხადია, იგივე არ არის ის ცნობა, რომელიც მომყავს, მაგრამ უეჭველად საერთო მოტივების მქონეა. არისტოტელე „Πολιτεία“—ში წერს:

„მეომარ ტომს, იბერებს ახასიათებს ის, რომ საფლავზე ირგვლივ იმდენ ჯოხს (ძქვლ:ჟოჟჲ) დაარქობენ, რამდენი მტერიც ჰყავს მოკლული მიცვალებულს“ (Lib. VII, c. II, § 6). სხვა ტომთა შესახებ ნიკოლოზ დამასკელი შემდეგს წერს: „მოსინები თავიანთ მეფეს კოშკში დამწყვდეულს ინახავენ, თუ ვინმემ იფიქრა, რომ მეფემ ოდესმე ცუდად გადასწყვიტა საქმე, მაშინ მას შიმშილით ჰკლავენ. იმ პურს, რომელსაც ისინი სჭამენ, თანაბრად ჰყოფენ და ნაწილს საერთოდ განუკუთვნებენ მეფეს. ისინი მტრულად არიან განწყობილი მოსული უცხოელების მიმართ“.

თარგმანი მომყავს Jacoby-ს გამოცემის მიხედვით. ეს ცნობა ძველ გამომცემლებს (Müller-ს, Dindorf-ს) სხვაგვარად აქვთ. მათ მიხედვით აქვს თარგმნილი ლათინურად და ასევეა გადმობეჭდილი ВДН-ს დამატებაში, სადაც ვკითხულობთ: „употребляемый в пищу хлеб для поровну, соотвѣстно выделенъ часть приезжающим иностранцам“ და იქვეა შენიშვნა (Müller-ის გამოცემის შენიშვნის თითქმის თარგმანი): ეტყობა ეს სიტყვები თავის ადგილას არ არის მოთავსებული, ისინი შეეხებიან ფრიგიელებს (frg. 128), რადგან თავისი ბუნებით მოსინები ველურები და უცხოელთა მიმართ მტრულად განწყობილები იყვნენო (დამოწმებულია სტრაბონი, XII, 3, 18, რაც ქვემოთ მომყავს).

როგორც ვხედავთ, Jacoby-ს ტექსტი რედაქტირებული აქვს. მის გამოცემაში τῶν ἰσχυρῶν. ἐπισημασθεῖς ἢ εἰσθεῖς ჩამატებულია Hoefler-ის კონტრაქტურის მიხედვით.

ეს ცნობა ძველ ბერძენ მწერლებთან ხშირად გვხვდება. იგი აქვს ქსენოფონტს (Anab. V, 4), სკიმნოს ქიოსელს (სტროფი 900—910), სტრაბონს (XII, 3, 18), დიოდორეს (XIV, 30, § 6—8) და სხვ. მეტნაკლები სისრულით.

უძველესი მათ შორის არის ქსენოფონტი; დიოდორეს ცნობა მასზეა დამყარებული (ორივე კიროსის ლაშქრობასთან დაკავშირებით გადმოსცემენ მოსინიკთა ამბავს). ხოლო ნიკოლოზ დამასკელის ცნობა ყველაზე ახლოს სკიმნოსის ვარიანტთან არის. უთუოდ მათი (ე. ი. სკიმნოსის და ნიკოლოზის) საერთო და უშუალო წყარო იყო ეფოროსი²².

მ. როსტოვეცის აზრით ეფოროსი ერთგვარად აიდეალებს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მოსახლეობას, კერძოდ—მოსინიკებს

²² შტრ. Reimann..., გვ. 656—667.

(განსხვავებით ჩრდილო სანაპიროს მცხოვრებლებისაგან) და მისი ცნობები განსხვავდებიან ქსენოფონტის ცნობებისაგან (ქსენოფონტზე უშუალოდ არიან დამოკიდებული დიოდორე და სტრაბონი, ხოლო ეფოროსისგან მომდინარეობს სკიპოსისა და ნიკოლოზ დამასკელის ცნობები. ამავე რიგისა არიან აპოლონიოს როდოსელი—II, 377 და შმდ. და პომპონიუს მელა—I, 106)²³. ყველა ცნობასთან შედარებით ნიკოლოზ დამასკელს თავისებური აქვს ის მუხლი, სადაც სწერია საერთო ქონების შესახებ (მ. როსტოვცევის აზრით ეს ექნებოდა ეფოროსს), ხოლო სტრაბონის ცნობასთან შედარებით (მოსინიკები „ჩამოდიან მალღობებიდან და თავს ესხმიან მოგზაურებს“) სრულიად განსხვავებულია ნიკოლოზ დამასკელის ფრაგმენტის შესაბამისი ადგილის ძველი გამოცემების ვარიანტი, რის შესახებაც იყო ლაპარაკი ზემოთ.

Jacoby-ს ვარიანტი ერთგვარად შეთანხმებულია სტრაბონის ცნობასთან. ძველი ვერსია კი მართლაც სულ ეწინააღმდეგებოდა მას.

კერკეტები სხვა ანტიკური წყაროების მიხედვითაც ცნობილი ტომია. სტრაბონის განსაზღვრით, მაგ. ისინი შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე ცხოვრობენ ჰენიოხების მეზობლად, ჰენიოხები მათზე უფრო ჩრდილოეთით არიან. ხოლო არტემიდორეს აზრით ისინი ცხოვრობენ ბატას შემდეგ აქელებამდე. ბერძნული „კერკეტები“ ჩვეულებრივად „ჩერქეზებად“ ესმით ხოლმე (Pape, Griechische Eigennamen; ВДИ, გვ. 176, 241; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 137 და სხვ.).

ნიკოლოზ დამასკელი ამ ტომს ასე ახასიათებს: „კერკეტები მათ, ვისაც რაიმე უსამართლობა აქვთ ჩადენილი, მოჰკვეთენ ხოლმე სალოცავთაგან, თუ ვინმე ხომალდის მართვისას შეცდება, ჯერიჯერით ჩაუვლიან ყველანი მას გვერდით და აფურთხებენ“ (fig. 125). ამ რიგის ცნობა თითქოს სხვა ავტორებთან არ ჩანს და ამის შესახებ მ. როსტოვცევი წერს, რომ აქაც ეფოროსის გამაიდუალებელ ტენდენციებთან უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც მეკობრე-კერკეტებს (пиратские жеркеты) საგანგებო მიჯიოსუსის მივაწერთ²⁴. მე ვფიქრობ, ამ ცნობაში რალაცა აღსანიშნავი, ტენდენციურად მიდგომილი და კარგი დამოკიდებულება ამ ტომის მიმართ (ან თუნდაც

²³ М. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 92.

²⁴ М. Ростовцев, ... გვ. 93.

მოსინიკების მიმართ) ავტორისა არ ჩანს, ხოლო თუ კერკეტები უსამართლოდ მოქმედს სჯილდენ (ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, უსამართლო საქციელად რა ითვლებოდა) და თუ ზომალდის ცუდად მმართველს აფურთხებდნენ, არც ეს არის ისეთი ღონისძიება, რომ მისი აღმნიშვნელი მაინცაღამაინც ტენდენციურად კარგად განწყობილად მივიჩნიოთ.

ნიკოლოზ დამასკელი ასე ახასიათებს სავრომატებს: „სარმატები სამ დღეში ერთხელ სჭამენ გაძლომამდის, ისინი ქალებს ყველაფერს უჯერებენ, როგორც ქალბატონებს. ქალწულს ისინი იმაზე უწინ არ ათხოვებენ, ვიდრე ის მტერ მამაკაცს არ მოჰკლავს“ (frg. 103).

სავრომატები (რომელთა სახელსაც უკავშირებენ სარმატებისას) არის სახელი ტომისა, თუ ტომთა გაერთიანებისა, რომელიც ცხოვრობდა კავკასიის ჩრდილოეთით, სკვითების მეზობლად.

მ. როსტოვეცევის შენიშვნის მიხედვით ამ ცნობაში (რაც ეფოროსისგან მოდის) სავრომატები დედაკაცთა მონობაში არიან (γυθαυχοιχαταισμενοι), რაც სკვითებში არაა შემჩნეული²⁵. დედაკაცთა მფლობელობაში მყოფ სავრომატებზე (γυθαυχοιχαταισμενον). რომლებიც ტანისთან ცხოვრობენ წერს სკილაქსიც (Ιερίπλησς, Ἀστχ, § 70).

ნიკოლოზ დამასკელის სავრომატთა დახასიათების პირველი § გამეორებულია მის თითქმის თანამედროვე მწერალთან, ისიგონოსთან (Ἀστχ, I) და პლინიუსთან (Historia naturalis, VII, 12) ისიგონოსის დამოწმებით.

სხვა ავტორები სავრომატების კვების ასეთი მანერის შესახებ არაფერს სწერენ. ნიკოლოზ დამასკელის ამ ცნობის II ნაწილის მსგავსი ცნობები აქვთ სხვა ავტორებსაც. მაგ. ისიგონოსი წერს: „სავრომატთა ქალები არ თხოვდებიან, ვიდრე მტერ მამაკაცს არ მოჰკლავენ“ (Ἀστχ, XXIX). ყველაზე ადრინდელი ავტორი, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით ამასვე ამბობს, არის ჰეროდოტე (IV, 117). ჰიპოკრატე სავრომატი ქალების შესახებ წერს, რომ ისინი ჯირითობენ, შუბს ისვრიან, მტერს ებრძვიან. ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ, ვიდრე ქალწულები არიან. ხოლო ქალწულობას არ ჰპარგავენ მანამ, ვიდრე სამ მტერს არ მოჰკლავენ. ხოლო არ თხოვდებიან მანამ, ვიდრე მათი კანონების მიხედვით გათვალისწი-

²⁵ М. Ростовцев, гл. 91.

ნებულ მსხვერპლშეწირვას არ მოახდენენ. გათხოვების მერე ქალები მხოლოდ მაშინ იღებენ მონაწილეობას ბრძოლაში, როდესაც საყოველთაო სავალდებულო ლაშქრობა ცხადდება (Περ: ἀξίαι, ἡμέται, τόπαι, § 17). ამასვე ეხმაურება პლუტარქოსის გამოთქმა ამადონებზე: „ამადონთაგან არც ერთი არ თხოვდება, თუ მტერს არ მოკლავს“ (Περ: τῶν παρ' Ἀλεξανδρῆσι παροικῶν, 10).

სკვითების (და არა სავრომატების, ან ამადონების) ერთ ჩვეულებაზე წერს არისტოტელე, რაც იგივე არაა, მაგრამ რაღაცა საერთო მოტივი ზემო ცნობასთან მაინც აქვს. რომელიღაც ერთ-ერთ დღეობაზე სკვითებში არ შეიძლება ჩამოტარებული სასმისიდან დალიოს მან, ვისაც არცერთი მტერი არ მოუკლავს (Πολιτ: καδ, (Lib. VII, c. II, § 6).

ყველაზე ვრცელ დახასიათებას (ცხადია, მოღწეული ფრაგმენტების ფარგლებში) ნიკოლოზ დამასკელი იძლევა გალაქტოფაგებისას.

გალაქტოფაგების (სიტყვასიტყვით ნიშნავს „რძის მკამელებს“) ხსენება ჯერ კიდევ პომპროსის დროიდან იწყება და შემდეგი დროის მწერლები, როდესაც მათ ახსენებენ, მიუთითებენ ხოლმე კიდევაც პომპროსის „ილიადის“ შესაბამის ადგილზე (13,5), სადაც ამ ტომის და ზოგი მისი მეზობლის დიდი ქება სწერია (შდრ. ნიკოლოზ დამასკელი, frg. 204, სტრაბონი, VII, 3, 6-7 და სხვ.).

ნიკოლოზ დამასკელი გალაქტოფაგებთან ერთად წერს აბიებზე და ამადონებზე. ფრაგმენტებში ვკითხულობთ: „გალაქტოფაგები სკვითური ტომია, რომელსაც სახლები არ გააჩნია ისევე, როგორც სკვითთა უმრავლესობას. საკვებად აქვს მხოლოდ ცხენის რძე, რომლისაგანაც აკეთებენ ყველს, მას ჭამენ და სვამენ. ამის გამო მათთან ბრძოლა ძალიან ძნელია, რადგან მათ ყველგან თანა აქვთ საჭმელი. მათ დარიოსიც კი უკუაქციეს. აპასთანავე ისინი სამართლიანები არიან. საერთო აქვთ ქონებაცა და ქალებიც, ისე რომ თავისზე უფროსები მამებად მიაჩნდათ, უმცროსები—შვილებად, ხოლო ტოლები—ძმებად.

მათგანი იყო ანაქარსისი, მიჩნეული ერთ შვიდ ბრძენთაგანად; ის მოვიდა ელადაში, რათა გამოეკვლია სხვათა წეს-ჩვეულებები. ამათ იხსენიებს პომპროსი, რომელიც შემდეგ ლექსებში ლაპარაკობს მათზე: „ხელჩართულ მებრძოლ მიზიელთა, საოცარ ჰიპემოლგთა, გალაქტოფაგთა და აბიებისა, ადამიანთა შორის ყველაზე სამართლიანთა“. იგი მათ უწოდებს აბიებს ან იმიტომ, რომ ისინი მიწას არ ამუშავებენ, ან იმიტომ, რომ მათ სახლები არა აქვთ, ან

იმიტომ, რომ მხოლოდ ისინი ხმარობენ მშვილდებს. ხოლო მშვილდს ის ჰქვავს უწოდებს. როგორც ამბობენ, მათ შორის არაა არცერთი, არც მოშურნე, არც მოძულე, არც მოშიშარი, რაკილა მათ საერთო ცხოვრება აქეთ და მათში სამართლიანობა სუფევს. მათი ქალები არანაკლებ მეომრები არიან, ვიდრე კაცები და როდესაც საჭიროა, მათთან ერთად იბრძვიან. ამადონებიც იმიტომ არიან ძალიან მამაცები (მათ ხომ ოდესღაც ათენამდის და კილიკიამდის მიაღწიეს), რომ გალაქტოფაგების გვერდით ცხოვრობდნენ მეოტისის ტბის მახლობლად“ (frg. 104).

ამ ცნობაში გარდა იმისა, რომ რამდენიმე ტომზეა (გალაქტოფაგები, აბიები, ამადონები) ლაპარაკი, თვით გალაქტოფაგების შესახებაც რამდენიმე რიგის ცნობაა: ჯერ სახელი ამ ტომისა უცნობია, გალაქტოფაგები (რძის მჭამელები) ეწოდებათ მათ იმის გამო, რომ მათი ძირითადი საზრდო რძე და რძის ნაწარმია. ვადმოცემულია მათი სოციალური ყოფა, რომელიც საკმაოდ არქაულ ფორმას გვიჩვენებს, აღწერილია მათი ყოფა-ცხოვრება, რაც მომთაბარე ტომისთვის არის დამახასიათებელი და განსხვავებულია ანაქარსისი, რომელსაც არა ერთი ავტორი ახსენებდა ნიკოლოზ დამასკელამდეც და შემდეგაც (ჰეროდოტე, პლატონი, ეფროსი, აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი, სტრაბონი, ლუკიანე, კლავდიუს ელიანუსი და სხვ.).

ამადონთა შესახებ მრავალი ცნობა არსებობს ანტიკურ მწერლობაში და ლიტერატურაც საკმაოა მათ შესახებ. ვადმოცემათა მიხედვით ისინი ცხოვრობდნენ თემისკირაში, თერმოდონტის დაბლობზე და შემდეგ ალბანიის ჩრდილოეთით მთებში (სტრაბონი). ნიკოლოზ დამასკელის ცნობის მიხედვით დაზუსტებულია ამადონების საცხოვრებელი—მეოტისის ტბის მახლობლად (თუ ცნება—მეოტისის ტბის მახლობლად—მაინცდამაინც აზოვის ზღვის ნაპირად უნდა გავიგოთ და არა ზოგადად შავი ზღვისა და კავკასიონის ჩრდილოეთით).

ასეთია ნიკოლოზ დამასკელის ცნობები ქართველთა წინაპარი ტომებისა და მათი მეზობლების შესახებ.

11. მეზობელი ქვეყნების აღწერა და ისტორია ამ ავტორთან ასეთია: ერთი ჯგუფი ცნობებისა ეხება მითრიდატე ევპატორს. წყაროდ ამ ცნობისათვის პოსეიდონიოსია აღიარებული. „მითრიდატემ, პონტოელთა მეფემ, მოაწყო შეჯიბრი ბევრ ჭამასა და ბევრ სმაზე, ჯილდო იყო ვერცხლის ტალანტი და ორთავეში გაიმარჯვა, ხოლო ჯილდო დაუთმო თავის შემდეგ გამარჯვებულს, შეჯიბრში მონა-

წილე კალამოდრისს, კიზიკელ ათლეტს“ (ისტორია, 103, 73. მითრიდატეს ისტორიის ბევრ აღმწერელთა შორის მხოლოდ კლავდიუს ელიანუსს აქვს მსგავსი ცნობა). „ფრიგიის აპამეასთან გამოჩნდნენ ტბები, რომლებიც უწინ არ ყოფილან, მდინარეები და სხვა წყაროები, რომლებიც მოძრაობის შემდეგ გამოჩნდნენ და ბევრი კიდევაც გაუჩინარდა... მიწაში მყოფ წყალთაგან დიდძალმა მწარე და ლურჯმა წყალმა ამოხეთქა და უმეტესად რამდენადმე მოშორებით ზღვის ადგილებიდან, ისე, რომ ლოკოკინებით იყო სავსე ყოველი მახლობელი ადგილი და სხვა თევზებით, რაც კი ხარობს ზღვაში“ (ისტორია, 104, 74).

ამ ფრაგმენტს საკუთრივ ისტორიისათვის ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, იგი ბუნებისმეტყველების სფეროს განეკუთვნება.

„ლუკულუსი ზეიმით შევიდა რომში, მოახსენა მითრიდატეს წინააღმდეგ ომის შესახებ და გადაეშვა დიდ ფუფუნებაში ძველი გონივრული ზომიერებიდან, რაკილა მოიხვეჭა ორი მეფის, მითრიდატესა და ტივრანეს სიმდიდრე და პირველი წარჩინებული გახდა ყველა რომაელთა შორის“ (ისტ., 110, 77).

მითრიდატეს მესამე ომის დროს რომაელთა ჯარს თავდაპირველად ლუკულუსი მხედარმთავრობდა (71—68 წ.); მითრიდატეს ომების ისტორიაში მის შესახებ ცნობები ბევრგან გვხვდება, მაგრამ ყველაზე დაწვრილებით, როგორც მოსალოდნელიც იყო პლუტარქოსს აქვს მოთხრობილი „ლუკულუსში“. „ლუკულუსიდან“ ამ ადგილს ეხმაურება ც. 37. „ქიოსელები დაიმორჩილა მითრიდატე კაპადოკიელმა და შეკრულები გადასცა თავის საკუთარ მონებს, რათა კოლხთა ქვეყანაში დაესახლებინათ. მართლაც ასე განურისხდა მათ ღვთაება, რადგან მათ პირველებმა გამოიყენეს ნაყიდი მონები მაშინ, როდესაც ბევრნი თავისი ხელით აკეთებდნენ ყოველივეს ღვთისმსახურებისათვის“ (ისტ. 103, 95), ეს ფრაგმენტი ზემოთაც გვქონდა მოყვანილი კოლხებთან დაკავშირებით და მის შესახებ კომენტარებიც იქ იყო. აქ დამატებით შეიძლება შევნიშნოთ ერთი: ავტორს ქიოსელების მარცხის მიზეზად ღვთაების მრისხანება მიაჩნია, ხოლო ღვთაება იმიტომაა მათზე განრისხებული, რომ მათ პირველებმა გამოიყენეს ნაყიდი მონები. აქ ერთგვარად ჩანს ნიკოლოზ დამასკელის დამოკიდებულება ნაყიდი მონების შრომის მიმართ.

არმენიის ხსენება არის ერთ ფრაგმენტში, სადაც ბიბლიაზედაც არის მითითება: „მინიადის ზემოთ არმენიაში არის დიდი მთა. რომელსაც ეწოდება ბარისი, სადაც, არსებობს გადმოცემა, რომ

თავი გადაირჩინეს წარღვნის დროს ბევრმა გამოქცეულებმა. კილო-
ბანი, რომელიც ტიეტეებდა ამ წარღვნისას, ამ მთის მწვერვალს
მისდგომია და ფიცრების ნაშთები ამ ადგილას დიდხანს შერჩენილა.
ეს ასე მოხდა, რაც აგვიწერა მოსემაც, იუდეველთა რჯულმდებელ-
მა“ (ისტორია, 96, 72).

ნიკოლოზ დამასკელის „ისტორიის“ ეს ადგილი გამოიყენა მოსე
ჯანაშვილმა, რომელიც წერს: „ნოეს კილობანი შეჩერდა გორდის
მთაზე, რომელსაც დამასკინის სიტყვით ერქვა ბარისი... თვით მთის
მწვერვალის სახელები ბარისი და ლუბარი—ორივე აღნიშნავენ ბა-
რიანს, სწორ ადგილს. ბარისი=სვ. ლუ-ბარ (შეადარე: რუსისა=
სვან. ლუ-რუს)“²⁶.

ამ ფრაგმენტთან გაცნობისას პირველი, რაც გვაგონდება (და
რახედაც მიუთითებს ავტორიც) არის „ბიბლია“, ხოლო მინიადე-
ბის ხსენებასთან დაკავშირებით გამომცემლები (Müller, Jacoby)
იგონებენ ალექსანდრიული ხანის ისტორიკოსებს, სტრაბონს და
სხვათ, ვინც არგონავტების მითთან დაკავშირებით არმენია-არმე-
ნოსი და მინიადები დაასახელეს.

ბო ს ფ ო რ ი ანტიკურმა მწერლობამ ორი იცის—ერთი კიმე-
რიული და მეორე თრაკიული. თრაკიის ბოსფორს ახსენებს ნიკო-
ლოზ დამასკელი, უფრო სწორად, მის ერთ ძველ ნავსადგურს—
ქრისოპოლისს, რომელიც მდებარეობს ბიზანტიონის პირდაპირ,
ბითინიაში (frg. 89).

ამ ქალაქის, resp. ნავსადგურის ხსენება სხვა ავტორებთანაც
არის (ქსენოფონტი, ეფოროსი, სტრაბონი და სხვ.). სახელწოდება
მომდინარეობს (ძველებისავე განმარტებით) აგამემნონისა და ქრი-
ზეიდას შვილის, ქრიზოსის სახელისაგან (ე. ი. ეხმაურება ტროის
ომს).

ლი დ ი ე ლ ე ბ ი ს ურთიერთობა პონტოსთან ასახულია ისტო-
რიის VI წიგნის ფრაგმენტებში (46—47). იგივე ამბები ჰეროდოტეს-
თან (I, 7) ცოტა სხვაგვარად არის გადმოცემული, მაგრამ ის ვერსია,
რაც ნიკოლოზ დამასკელს აქვს, უეჭველად საინტერესოა. „როდე-
საც მეფობდა მირსოსი“²⁷, დასკილოსი, სალიატეს მიერ მოკლული

²⁶ „საქართველოს ისტორია“, ტფილისი. 1906. გვ. 19. მე არ გამოვუძღვებო
აქ ამ ანალიზის შეფასებას. მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს ისტორიის
საკითხების კვლევისას ნიკოლოზ დამასკელის ცნობაც არის გამოყენებული.

²⁷ ჰეროდოტესთან არის: *Καθηδύλης τῶν οἰ* *Ἐξλητῆς Μυρσίου* *θροναῖου*
და *Καθηδύλης ὁ Μύρσος*.

დასკილოსის ძე, რადგან ეწინოდა, ჰერაკლიდებს მის მიმართ რაიმე ბოროტი ზრახვები არ აღძვროდათ, გაიქცა ფრიგიიდან და წავიდა სირიელებში, რომლებიც ცხოვრობდნენ პონტოში, სინოპეს ზემოთ. იქ დარჩა ის და შეერთო ადგილობრივ მცხოვრებთაგან სირიელი ქალი, რომლისგანაც ეყოლა მას გიგესი“ (ისტ., VI, 46).

„ადიატე“²⁸ ლიდიელთა უკანასკნელი მეფე ამგვარად აღესრულა: სარდენი იყო ერთი დასკილოსის ბიძა, იმ დასკილოსისა, რომელიც პონტოში წავიდა, სახელად არდისი, გიგესის ძე, იგი დამწუხრებელი იყო თავისი უშვილობის გამო და მიმართა ადიატე მეფეს, რომ ნება მიეცა და დასკილოსი პონტოდან მოეყვანათ, რათა ის შვილად გაეხადა, რომ არ გაუდაბურებულიყო მათი სახლი, რადგან თვითონ უშვილო იყო, ხოლო ისინი კიდევ წასულები. ხოლო დასკილიებთან მშვიდობიან ურთიერთობაში ყოფნა შესაფერისი იყო.

მან თქვა, რომ მეფის წინაპრებმა მოუწოდეს მათ ლიდიაში გაძევებიდან. მეფემ დართო ამისი ნება ამის მთხოვნელ არდის. მან დასკილოსისათვის გაგზავნა კაცები და ის ლიდიაში გამოიძახა, ხოლო დასკილოსს უყვარდა ის ქვეყანა, სადაც ცხოვრობდა და არ გაუგონა. სამაგიეროდ გაუგზავნა თავისი შვილი, გიგესი, რომელიც დაახლოებით 18 წლისა იყო. ეს რომ მოვიდა, მიიღო არდისმა და შვილად გამოაცხადა“ (ისტ., VI, 47).

როგორც ვხედავთ, აქ გადმოცემულია ძვ. წ. VII ს-ის ისტორია, ლიდიის მეფეების ბიოგრაფია, მათი ახლო ნათესაური კავშირი პონტოელებთან (გიგესი შვილია პონტოელი ქალის). ცნობილია სხვა წყაროების მიხედვითაც, რომ ლიდიაში ჯერ ჰერაკლიდები მეფობდნენ, ხოლო 687 წლიდან გიგესმა დაამკვიდრა ნაციონალური, ლიდიური დინასტია მერმნადებისა (გიგესის ძე იყო არდისი, ამისე ჩამომავლები—სადიატე, ალიატე, ხოლო ალიატეს ძე—ცნობილი კროფსოსი, ძვ. წ. VI ს-ში).

ნიკოლოზ დამასკელის „ისტორიის“ ფრაგმენტებში (44—47) მოთხრობილია ჰერაკლიდთა დინასტიის ამბები და ამ დინასტიის მეორეთი შეცვლა.

Jacoby-ს აზრით, ქსანთოსის მიხედვითაა ლიდიელთა ისტორია მოთხრობილი²⁹.

²⁸ ზოგ გამოცემულს აქვს „სადიატე“.

²⁹ Jacoby, II, C. Berlin, 1926, გვ. 244.

ერთი ჯგუფი ნიკოლოზ დამასკელის ცნობებისა ეხება არგონ-ნავეტების ლაშქრობას. არგონავეტების მიზმი, როგორც ცნობილია, არის მთელი ნაწილები, რომლებიც ეხება კოლხიდას. ეს საგანგებოდ საინტერესოა საქართველოს ისტორიისათვის, მაგრამ ამას გარდაც, მითის სხვა თემებიც მხედველობაშია მისაღები ბერძნულ-ქართული ურთიერთობების გასათვალისწინებლად. ნიკოლოზ დამასკელი არგონავეტთა ლაშქრობის გადმოცემისას ჯერ მისდევს აპოლონიოს როდოსელის ცნობებს (ისტორია, III, § 11)³⁰, შემდეგ აქვს იგივე, რაც არის Bibl. I, 143 და შმდ. და დიონისიოს სკიტობრაქიონთან: 32 F 14 c³¹, ხოლო პელეადების ისტორიის გადმოცემისას მას აქვს ისეთი ამბები, რაც ევრიპიდესთან არ არის— მას აქვს პელეადების ისტორიის გაგრძელება.

ნიკოლოზ დამასკელის ფრაგმენტებში შემდეგს ვკითხულობთ არგონავეტების შესახებ: „არგონავეტები რომ მიცურავდნენ კოლხებისაკენ, როდესაც მოზედნენ ლემნოსზე, მაშინ ქალთა მიერ დასახლებულზე, რომელზედაც მეფობდა ჰიფსიპილე... ჰიფსიპილე ელაპარაკა იასონს. ჰიფსიპილემ საჩუქრები მიართვა მას და დაარწმუნა, რომ მასთან დაწოლილიყო, თანაც სხვა მამაკაცები დაეთანხმებინა დანარჩენ ქალებთან დაწოლაზე, რათა გაეჩინათ შვილები მათგან. იასონი დაეთანხმა და არგონავეტები დაუახლოვდნენ ლემნოსელ ქალებს. ჰიფსიპილეს ეყოლა შვილი ევნეოსი. არგონავეტები დარჩნენ მცირე ხანს და კვლავ გაემგზავრნენ“ (ისტ., III, 11).

„მას შემდეგ არგონავეტებმა საწმისი რომ წამოიღეს, იასონმა განიზრახა პელიასი მოეკლა ძალაუფლების გულისათვის და პირდაპირ მივიდა მასთან. ხოლო მედეამ მოუხერხა მას ისე, რომ უშრომელად გაეკეთებინა ეს. მან სასწრაფოდ ურთიერთობა დაამყარა პელიასის ასულებთან და დაარწმუნა ისინი, რომ მათ მამა მოხუცებული ჰყავთ და გაუახლოვდნენ მათ წამლების საშუალებით, თუ კი მას აკუწავენ და მდულარე ქებაში ჩაჰყრიან. როგორც ამბობენ, თავისი სიტყვის დამაჯერებლობისათვის [მედეამ] აკუწა რომელიღაცა ცხვრები და ხნიერთაგან ბატკნებად აქცია. ამის შემდეგ ასულები საგანგებოდ დარწმუნდნენ და მამა მოჰკლეს. და რადგანაც ისე არ მოხდა, როგორც თვითონ მოელოდნენ, დიდ მწუხარებაში ჩაცვივდნენ. იოლკოსელებმა ამ საქმის გამო შეიძულეს

³⁰ Jacoby, ... II, C. გვ. 238.

³¹ Jacoby, ... II, C. გვ. 247.

მედეაც და იასონიც და ისინი გაძევებით დასაჯეს. ისინი კორინთოში წავიდნენ, ხოლო მოტყუებულ ასულებს შეუნდევს მათი გამოუცდლობის გამო... პელიასის საფლავზე დიდი შეჯიბრი მოეწყო, ხოლო წარჩინებულებმა მისი ასულები მოიყვანეს აქ, როგორც ამ მკვლევლობაში უდანაშაულოები... ხოლო აკასტოსი, პელიასის ძე, იოლკოსში მეფობდა მამის სიკვდილის შემდეგ, როდესაც იასონი გაიქცა კორინთოში მედეასთან ერთად“ (ისტ., VI, 54).

„აკასტოსის ცოლმა, რომელსაც პელეესი უყვარდა, შესთავაზა პელეესს (ე. წ. აქილევსის მამას—თ. ყ.) დაახლოებულიყვნენ. მან უარი უთხრა. ქალს შეეშინდა, რომ მას არ ეთქვა მისი ქმრისათვის, დაასწრო მას და ცილი შესწამა თავის ქმართან, თითქოს პელეესმა მასთან დაწოლა მოინდომა. ქმარმა რაზმი გაგზავნა და ბოროტი განიზრახა პელეესის წინააღმდეგ. ხოლო პელეესმა რომ შეიტყო, ომი გაუმართა მას, დაუძახა მშველელებად ტინდარიდებსა და იასონს. ეს უკანასკნელი მტერი იყო აკასტოსისა, ხოლო მისი მეგობარი იყო არგოზე ერთად ცურვის შედეგად. პელეესმა იოლკოსიც აიღო და აკასტოსის ცოლიც მოჰკლა“ (ისტ., VI, 55).

ამ ცნობებში საინტერესოა შემდეგი: 1) არგონავტების კავშირი კუნძულ ლემნოსთან. 2) პელეესი და იასონი არა მარტო კოლხი-დამი ლაშქრობდნენ ერთად, არამედ მერე იოლკოსის წინააღმდეგაც. იოლკოსი პელეესმა (აქილევსის მამამ) დაანგრია. 3) აკასტოსის ცოლის ეპიზოდი მაინცდამაინც პოპულარული არ არის (დაახლ. იგივეა გამეორებული პინდარეს V ნემეურ ოდაში); იგივე ამბავი, რაც აქვს ნიკოლოზ დამასკელს, გადმოცემული აქვს სვიდას (ქალის სახელი არის „ატალანტე“), ხოლო სხვა ავტორები, რომლებიც მოგვიზიარებენ აკასტოსის შესახებ, აკასტოსის ცოლს უწოდებენ ასტიდამიას (აპოლოდორე, პესიხიოსი). ან პიპოლიტეს (პინდარე).

ნიკოლოზ დამასკელს აქვს სხვა საინტერესო ცნობებიც, მაგრამ ისინი საქართველოს წარსულთან ნაკლებად არიან დაკავშირებული.

ლიტერატურა

ნიკოლოზ დამასკელის ცნობათა შორის საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა ქარაველურ და (მეზობელ) ტომთა დასახელება, რომელიც ჯერჯერობით ჯეროვნად გამოყენებული არ არის.

ამ ავტორის შესახებ უცხოური ლიტერატურა თუმცა ძალიან მდიდარი არ არის, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია. ამ შრომათა შორის უეჭველად აღსანიშნავია: Laqueur-ის წერილი Pauly's RE-ში, Reimann-ისა და Witte-ს გამოკვლევები წყაროთა შესახებ და ის ვრცელი კომენტარები, რომლებიც ახლავს Müller-ისა და Jacoby-ს გამოცემებს.

მასალა, ლიტერატურის ისტორიებიდან ზოგადი და მიმოხილვითი ხასიათისაა. ლათინურ ტექსტი (SC-ში და აქედან მომდინარე ВДН-ს დამატებაში) გაცილებით უფრო მცირე მოცულობისაა, ვიდრე შე მაქვს და მისი კომენტარების მაქსიმუმი Müller-ის გამოცემების შენიშვნებს არ სცილდება.

ΝΙΚΟΛΑΟΣ Ο ΔΑΜΑΣΚΗΝΟΣ

Ἱστοριῶν

Ἐπιτὴν συναγωγῇ

Βίος Καίσαρος

ბერძნული ტექსტი ძირითადად ეყრდნობა F. Jacoby-ს გამოცემას: F. Jacoby, Die Fragmente der griechischen Historiker, II Teil, A. Berlin, 1926, გვ. 324—430.

II Teil, C. Kommentar, Berlin, 1926, გვ. 229—291.

ტექსტი შედარებულია შემდეგ გამოცემებთან:

1. C. Müllerus, FHG, III, Parisiis, 1883, გვ. 343—464.

2. Historici graeci minores, edidit Ludovicus Dindorfius. vol. I, Lipsiae, 1870, გვ. 1—153.

Βίος Καίσαρος დამატებით შედარებულია C. M. Hall-ის გამოცემასთან Nicolaus of Damascus, Life of Augustus, Northampton 1923.

ἹΣΤΟΡΙΩΝ

ისტორია

III

(მესამე წიგნიდან)

11 (18) Exc. De virt. I p. 337,4: ὅτι οἱ Ἀργοναυταὶ πλέοντες ἐπὶ Κόλχους ἐπεὶ ἐγένοντο ἐν Αἴγυπῳ·¹ ὑπὸ γυναικῶν τότε οἰκουμένης, ἧς Ἰψιπύλη ἐβασίλευεν († οἱ δὲ ἀνδρες ἦδη κατέλιπον τὰς γυναικῶν ὑπὸ ζῆ-

11 (18). არგონავტები რომ მიცურავდნენ კოლხებისაკენ, როდესაც მოხვდნენ მაშინ ქალთა მიერ დასახლებულ ლემნოსზე, რომელზედაც მეფობდა ჰიფსიპილე (მამაკაცებმა ხომ მიატოვეს [ეს ქალები [მათი] ეკვიანო-

¹ ἐν Αἴγυπῳ ἢ ἐν Ἑλλάδι E.

λοτυπίας, ὅτι ταῖς Θρήναις
 ἐμίγνυτο κατεμιμνήοντες τὰ-
 τας¹ ἔρχεται εἰς λόγους Ἰάσονι.²
 Ἐψιπύλη καὶ δῆρα δούσα ἔπει-
 σεν αὐτη³ συγκοιμηθῆναι καὶ
 τοὺς ἄλλους πείσαι ταῖς λοιπῶν
 συνευασιῶν, ὡς ἂν ἐγγεννήσειαν
 παιδῶν ἐξ αὐτῶν. ὁ δὲ ἐπέσιθη,
 καὶ συγγίγνεται ταῖς Ἀθηναίαις⁴
 οἱ Ἀργοναῦται· καὶ ἡ Ἐψιπύλη
 παῖδ᾽ ἔσχεν Ἐὐνηον⁵. καὶ με-
 ναντες ἔλιγον χρόνον πάλιν
 ὤρχοντο⁶.

ბის გამო თრაკიელ ქალებს რომ
 შეეუღლებნენ და დასტოვეს ესენი),
 ჰიფსიპილზე ელაპარაკა იასონს.
 [ჰიფსიპილემ] საჩუქრები მიართვა
 მას და დაარწმუნა, რომ მასთან
 დაწოლილიყო, [თანაც] სხვა [მა-
 მაკაცები] დაეთანხმებინა დანარ-
 ჩენ [ქალებთან] დაწოლაზე, რათა
 გაეჩინათ შვილები მათგან. [იასონ-
 ნი] დაეთანხმა და არგონავტები
 დაუახლოვდნენ ლემნოსელ ქა-
 ლებს. ჰიფსიპილეს ეყოლა შვილი-
 ევნოსი. [არგონავტები] დარჩნენ
 მცირე ხანს [და] კვლავ გაემგ-
 ზავრნენ.

Ē

43 (46) [Steph. Byz.] s. Με-
 σημῆρις· πόλις Ποντικῆ. Νικό-
 λαος ε. ἐκλήθη ἀπὸ Μέλσου.
 βριαν⁷ γὰρ τὴν πόλιν φασὶ Θρα-

(V წიგნიდან)

43 (45). მესემბრია პონტოს
 ქალაქი. ნიკოლოზი—მეხუთე [წიგ-
 ნი]. [ასე] ეწოდება მელსოსის მი-
 ხედვით. თრაკიელები „ბრიას“

¹ მთელი ამ ფრაზის ნაცვლად: τοὺς δὲ ἄνδρας ἡδὴ κατέκτειναν αἱ γυναῖκες?
 Cor., unklarheit infolge starker verkürzung der vorgeschichte. Müll.;
 αἱ δὲ ἄνδρες... ταύτας] Verba hiulca et corrupta sunt. Corayns: «Ὁὐ συν-
 δεῖ τὰ λεγόμενα τοῖς παρὰ τῆρ Ἄπολλοδώρ (Α', Ὠ) μαιευτολογημένοις περὶ
 τῶν Ἀθηναίων γυναικῶν. Ἐνδέχεται τοῖσιν ἐξ ἑτέρων μυθολογῶν αὐτὰ παρ-
 λαβεῖν τὸν Νικόλαον... ἐνδέχεται δὲ καὶ τὴν γραφήν ἡμαρτηθῆναι τοῖς ὑστε-
 ρον, ὡδὲ πως ἔχουσιν τῶς. Τοὺς δὲ ἄνδρας ἡδὴ κατέκτειναν (ἡ κατέλυσαν)
 αἱ γυναῖκες ὑπὸ ζηλοτυπίας».

² Ἰάσονι edd. ἰασον E.

³ αὐτῆ, Va αὐτῶ E; Müll.: αὐτῆ] Val.; αὐτῶ cod.

⁴ Ἀθηναίαις Va λιγναίαις E.

⁵ εὐναιον E Eὐνεον Va; Müll.: Eὐνεον] Val., εὐναιον codex. V. II. η' 468,
 et plura apud Müller. Min. 301. სხვა გამოცემებში არის Eὐνεον.

⁶ ამ მოხავეთის მიმართ F. Jacoby აკეთებს ასეთ შენიშვნას: (11) Robert
 Heldensage 850 f. N scheint die fassung des Apollonios zu haben (II. C.
 33. 23e).

⁷ βριαν R βρία VP.

კეს. ὡς οὖν Σηλυμβρία ἢ τοῦ
Σήλσος¹ πόλις, Πολτυμβρία² ἢ
Πόλτυος³, οὕτω Μεσημβρία⁴ ἢ
Μέλσος⁵ πόλις, καὶ διὰ τὸ εὐφω-
νότερον λέγεται Μεσημβρία...
ἔστι καὶ Θράκικης Μεσημβρίας πρὸς
τῷ τέλει τῆς χειρρονήσου ὡς
Ἡρόδοτος § (108).

F

46 (49) [Exc. De insid.]
p. 13.34: βασιλεύοντος δὲ⁶ Μύρ-
σου⁷ Λάκχυλος ὁ Δασχύλου τοῦ
σφαγέντος ὑπὸ Σαδυσάττεω⁸, μὴ
τὴν ἐπιβουλήν εἰς ἐξυτὲν ἐπισπά-
σεται ὑπὸ τῶν Ἡρακλειδῶν φο-
βηθεῖς, ἐκ Φρυγίας φερέγων ἄγχε-

უწოდებენ ქალაქს. როგორც მაგ.
სელიმბრია — სელისის ქალაქი,
პოლტიმბრია — პოლტისის [ქალა-
ქი], ასევე მელსემბრია — მელსო-
სის ქალაქი, ხოლო კეთილხმო-
ვანებისათვის ამბობენ მესემბ-
რიას... ხოლო თრაკიის მესემბ-
რია [მღებარეობს] ნახევარკუნძუ-
ლის ბოლოზე. როგორც [ამბობს]
ჰეროდოტე მე-7 [წიგნში].

(VI წიგნიდან)

46 (49). როდესაც მეფობდა
მირსოსი, დასკილოსი, სალიატეს
მიერ მოკლული დასკილოსის ძე,
რადგან ეშინოდა, ჰერაკლიდებს
მის მიმართ რაიმე ბოროტი
ზრახვები არ აღძვროდათ, გაიქცა
ფრიგიიდან და წავიდა სირიე-

¹ λυσημβρία ἢ τοῦ λύσιος R.

² πολτυμβρία R — τυμβρία V πολτυβρία P.

³ πόλιος R.

⁴ μεσηβρία R.

⁵ μελσοῦ RV.

⁶ Müll.: βασιλεύοντος δὲ κτλ.] Apertum est iterum complura ab Excerptore omissa esse.

⁷ Müll. — Μύρσος] Hunc regem Eusebius non recenset. Nomen ejus legitur apud Herodotum (I, 7), ubi: Καυδάυλης δὲ ὁ Μύρσου υἱατος (sc. τῶν Ἡρακλειδῶν).

⁸ Σαδυσάττεω: 1. Ἰδυσάττεω (F 44 p. 343.22)? Müll.; Σαδυσάττης უნებუნა F. Jacoby-ს წიგნში: Μύρσος: Herod. I, 7 Καυδάυλης, τὸν οἱ Ἕλληνας Μυρσίλον ὀνομάζουσι und Καυδάυλης ὁ Μύρσου. der Sohn heisst sonst stets Kandaules (s. Swoboda RE I A 1693, 1); bei den chronographen, wo er 17 jahre regiert gegen 3 bei N (F 47 § 8; leider fehlt bei ihm die zahl für Myrsos), scheint er mit Myrsos zusammengefallen zu sein. merkwürdig ist, dass die folge Ardys—Sadyattes (F 44 § 11—12) bei Herodot als die der beiden ersten nachfolger der Gyges wiederkehrt (33. 246).

το εις Σύρους τοὺς ἐν τῷ: Πόντῳ ὑπὲρ Σινώπης οἰκούντας· ἐκεῖ δὲ καταμεινῶν γυναικῶν τῶν ἐγγυαρίων ἐγγυε Σύρων, ἐξ ἧς αὐτῶν γίνεται Γύγη.

47(49) Exc. De insid. p. 14,4: ὅτι Ἀδύαττης¹ ὁ ἔσχατος βῆσι-
λεὺς Λυδῶν κατελῆθη τρώπῳ.
τοιούτῳ. ἦν τις ἐν Σάρδεσι Δασ-
κίλου φείας τοῦ εἰς Πόντον ἀπο-
χωρήσαντος Ἄρδου ὄνομα, Γύ-
γεω παῖς· οὗτος Ἀδύαττη² τῷ
βῆσιλει ἐνέτυχεν ἀχθόμενος ἀτε-
κνίαι δοῦναί· οἱ μεταπειψαμένων.
Δάσκυλον ἐκ τοῦ Πόντου φέσθαι
παῖδα, ὡς μὴ ἔρημος αὐτοῖς ὁ
οἶκος γένοιτο, αὐτοῦ μὲν ὄντος
ἀπειθοῦς, ἐκείνων δὲ οἰχομένων.
ἐπεικῆς δὲ ἦδη εἶναι σπένδασθαι
τοῖς Δασκυλίοις³. καὶ γὰρ τοὺς
τοῦ βῆσιλέως προπάτορας⁴ ἔφη
κλεῖν αὐτοὺς εἰς Λυδίαν ἀπὸ
τῆς φυγῆς. (2) ταῦτα· θεομένων·
τῶν Ἄρδου διδῶσιν ὁ βῆσιλέως·

¹ Ἀδύαττης: p. 349,29; 350,4; 31 Σαδύαττης p. 350,4: 12; 13; 31; 351,14; vgl zu p. 349,14.

Müll. ძირითად ტექსტში: Σαδύαττης. ასევე Dindorf-ის გამოცემაშიც. Müll-თან არის შენიშვა: Σαδύαττης] Ἀδύαττης codex ex hoc loco et infra de nouo.

² Müll. და Dindorf-ის ტექსტებში არის: Σαδύαττη. აქ არის Müll. შენიშვნა: ἐνέτυχεν δοῦναί· οἱ] De hac constructione v. Steph. Thes. v. ἐνιγχνάνω p. 1187, A, ubi laudatur Plutarch. Pomp. c. 55: μεταπειψάμενος τοὺς δικασ-
τάς ἐνέτυχε βοηθεῖν.

³ Δασκυλείδαις, Herwerden.

⁴ Müll.—προπάτορας] intellige Melem avum, qui Dascylum invitaverat, ut in Lydium e Ponto rediret.

Jacoby-ს შენიშვნა: § 1 προπάτορας] F 45.

ლებში, რომლებიც ცხოვრობდნენ პონტოში, სინოპეს ზემოთ. იქ დარჩა ის და შეირთო ადგილობრივ მცხოვრებთაგან სირიელი ქალი, რომლისაგანაც ეყოლა მას გიგესი.

47(49). აღიატე, ლიდიელთა უკანასკნელი მეფე ამგვარად აღესრულა: სარდში იყო ერთი დასკილოსის ბიძა, იმ [დასკილოსისა], რომელიც პონტოში წავიდა, სახელად არდისი, გიგესის ძე. იგი დამწუხრებული იყო [თავისი] უშვილობის გამო და მიმართა აღიატე მეფეს, რომ ნება მიეცა და დასკილოსი პონტოდან მოეყვანა, რათა ის შვილად გაეხდა, რომ არ გაუღადბურებულოყო მათი სახლი, რადგან თვითონ უშვილო იყო, ხოლო ისინი [კიდევ] წასულები. ხოლო დასკილიებთან მშვიდობიან ურთიერთობაში ყოფნა შესაფერისი იყო. მან თქვა, რომ თვით მეფის წინაპრები უძახიან მას, გაძევებულს [უკან] ლი-

και δε ἐπὶ Δάσκυλον πέμψας εἰς
Λυδίαν αὐτὸν ἐκάλει. ὁ δὲ φιλο-
χωρῶν οὐχ ὑπήκουσεν, τὸν μὲν-
τοι παῖδα Γύγην ἔπεμψε περὶ ἡ-
ἔτη γυγονότα. τοῦτον ἔλθοντα
δέχεται ὁ Ἄρδης καὶ παῖδα ἀπέ-
δεξε.

მოუგზავნა [თავისი] შვილი, გიგესი,
ოყო. ეს რომ მოვიდა, მიიღო არღისმა და შვილად გამოაცხადა.

54 (55)¹ Εξε. de insid.
p. 19,22: ὅτι μετὰ τὸ ἀγαγεῖν
τὸ νάκος τοὺς Ἄργοναύτας τῶν
Περίαι· Ἰάσων εὐθύς ἐλθῶν Πε-
ρίαι φόνον ἐβούλευε τῆς ἀρχῆς
πέρι, Μήδεια δ' αὐτῶν ὑπέστη
ἀνιδρωτὶ τοῦτο πράξειν. ταχὺ δὲ
ταῖς ἐκείνου θυγατράσιν ἐν ἑμι-
λίαι· γενομένη ἔπειθεν, ὅτι αὐταῖς
τὸν πατέρα γηραιὸν ὄντα ἀνηψῆ-
σαι ποιήσῃε διὰ φαρμάκων, εἰ-
μὲν κατακόψασα· εἰς λέξητα
ζέοντα ἐμβάλοιεν· εἰς δὲ πίστιν
τοῦ λόγου, ὡς φασιν, ἀλλὰ ἄττα²
κατακόψασα πρόβατα νέα ἐκ πα-
λαιῶν ἐποίησε. αἱ δὲ διὰ τοῦτο
μάλιστα πειθίσαι· τὸν πατέρα
ἔκτειναν· καὶ ὡς οὐδὲν ἐγένετο
ὧν προσεδόκων, ἐν πένθει μεγά-
λῳ ἦσαν. οἱ δὲ Ἰώλκιοι³ ἐπὶ
τῷ ἔργῳ· ἡγήθησαν Μήδειαν τε
καὶ Ἰάσωνα, καὶ τοὺς μὲν φυγῆ-
ἔζημῖωσαν (οἱ δ' εἰς Κόρινθον

ლიაში. მეფემ დართო ამისი ნება
ამის მთხოვნელ არღის. მან დას-
ცილოსისათვის გაგზავნა [კაცები]
და ის ლიდილაში გამოიძახა. ხო-
ლო [დასცილოსს] უყვარდა ის
ქვეყანა, [სადაც ცხოვრობდა] და
არ გაუგონა, [სამაგიეროდ] გა-
რომელეც დაახლოებით 18 წლისა
და შვილად გამოაცხადა.

54 (55). მას შემდეგ არგონავ-
ტებმა საწმისი რომ წამოიღეს,
იასონმა განიზრახა პელიასი მო-
ეკლა ძალაუფლების გულისთვის
და პირდაპირ მივიდა მასთან.
ხოლო მედეამ მოუხერხა ისე, რომ
მას უშრომელად გაეკეთებინა ეს.
მან სასწრაფოდ ურთიერთობა
დაამყარა [პელიასის] ასულებთან
და დაარწმუნა ისინი, რომ მოხუ-
ცებულ მამას გაუახლგაზრდებს
მათ წამლების საშუალებით, თუ
კი მას აკუწწავენ და მღუღარე
ქებაში ჩაყრიან. როგორც ამბო-
ბენ, თავისი სიტყვის დამაჯერებ-
ლობისათვის აკუწწა [მედეამ] რო-
მელილაც ცხვრები და ხნიერთა-
გან ბატკნებად აქცია. ამის შემ-
დეგ [ასულები] საგანგებოდ დარ-
წმუნდნენ და მამა მოჰკლეს. და
რადგანაც ისე არ მოხდა, რო-
გორც თვითონ მოელოდნენ, დიდ
მწუხარებაში ჩაცვივდნენ. იოლ-

¹ Müll., შვბ.: Cod. Escor. fol. 83,29 r.—83,15 verso. De re cf. Apollodor. l. 9,27 ibique interpretas.

² Müll., ძირითად ტექსტში სწერია: παλαι' ἄττα. შენიშვნებში: Jacoby: παλαι' ἄττα Dü. Müll.: φασι, παλαι' ἄττα] φασιν, ἀλλὰ ἄττα codex.

³ Ἰώλκιοι Di.

ἀπεχώρησαν), ταῖς δὲ παῖσι συνέγνωσαν, ὑπὸ ἀκακίας ἐξέπατηθῆσαι: θανάτου γὰρ βύβριεναι τὸν πατέρα ἐκ γήρωος ἀκουσαι ἀπέκτειναν. ἐπὶ δὲ τῷ Πελίου τάφῳ ἀμφὶ ἐτέθη μέγιστα, καὶ τὰς θυγατέρας αὐτῶν ἡγάγοντο, ὡς ἂν κατηράξῃ φόνου, οἱ ἄριστοι. ἐκ Πελοπίας¹ δὲ Κύκνος ἐγένετο, ὃν Ἡρακλῆς ἐμαχέσαστο ἐν Ἰτῶναι τῆς Ἀχαιῆς: Ἀκαστος δ' ὁ Πελίου ἐν Ἰωλκῶ: ἐβασίλευεν τὸν πατέρα τελευτήσαντος, Ἰάσωνος φερόμενος εἰς Κόρινθον σὺν Μηδείᾳ.

საც შეებრძოლა ჰერაკლე აქაიის ლიასის ძე, იოლკოსში მეფობდა რაც იასონი გაიქცა კორინთოში

55 (56)². Exc. De virtut. I p. 340,23: ὅτι ἡ Ἀκάστου γυνή³ Πηλέως ἐρασθεῖσα λήγους

¹ Müll. ძარითად ტექსტში სწერია: *Πελοπείας*. შენიშვნაში: *Πελοπίας* cod. *Πελοπείας* აქვს დიხლორფსაც.

Jacoby-ს კომენტარი: (54) die geschichte der Peliaden ist, wie einerseits die übereinstimmung mit Bibl. I 143 f., andererseits die abweichungen des Dion. Skytobr. 32 F 14 c. 50—53 (s. anm. dort) zeigen, aus einer fortlaufenden darstellung der sagengeschichte entnommen. der unter Euripides' einfluss stehende roman hat Akastos gestrichen, der hier und F 55 nachfolger des Pelias ist. erst Peleus (F 55) zerstört das reich von Jolkos. *εἰς Κόρινθον* s. F. 36. *ἐν Ἰτῶναι* Bibl. II 155 *παριστὰ δὲ Ἰτῶνον εἰς μονομαχίαν προεκαλέσατο αὐτὸν Κύκνος Ἀρεος καὶ Πελοπίας*; Diod. IV 37,4; Adler RE XI 2435. Dion. Skyt. n. o. 53,3 heisst keine der Peliaden Pelopoia (33. 247).

² Suid. s. Ἀταλάνη.

³ Ἀταλάνη ἡ Ἀ. γ. ἦτις Suid. Müll.; Cod. Tur. fol. 154.4—12 usc. Eadem Suidas: Ἀταλάνη. Ἀκάστου γυνή, ἦτις Πηλέως ἐρασθεῖσα κτλ. Cf. idem v. Ἀκαστος. Reliqui auctores uxorem Acasti non Atalanten dicunt sed Astydamiā (Apollodor. III, 13.3; schol. Arist. Nub. 1059 etc.) vel Hypolyten (Pindar. Nem. IV, 2. V, 46).

კოსელებმა ამ საქმის გამო შეიძულეს მედეაცა და იასონიც და გაძევებით დასაჯეს. (ისინი კორინთოში წავიდნენ), ხოლო მოტყუებულ ასულებს შეუნდვეს მათი გამოუტყდელობის გამო. რადგან მათ მამის დაცვა უნდოდათ მოხუცებულობისა და სიკვდილისაგან და უნებლიედ მოჰკლეს. პელიასის საფლავზე დიდი შეჯიბრი მოეწყო, ხოლო წარჩინებულებმა მისი ასულები მოიყვანეს [აქ], როგორც ამ მკვლელობაში უდანაშაულოები. პელოპიასაგან კაცნოსი გაჩნდა, რომელიც იტონოსში. ხოლო აკასტოსი, პემის სიკვდილის შემდეგ მას მერე. მედეასთან ერთად.

55 (56). აკასტოსის ცოლმა, რომელსაც პელეესი უყვარდა, შესთავაზა [პელეესს] დაახლოვე-

ὑπὲρ μίξιας εἰσφέρει: ἀναυνομέ-
 νου¹ ἢ δέσποσα, μὴ μιν κατεί-
 πα² κρὸς τὸν ἄνδρα, ὑποφθα-
 σασα αὐτὸν προδιὰβάλλει³ κρὸς
 τὸν ἄνδρα, ὡς εὐνηθηγαί⁴ οἱ φέ-
 λοντα. ὁ δὲ λῶχον ὑφείσαζ⁵ ἐπε-
 βούλευσε Πηλεῖ. καὶ δὲ αἰσθημέ-
 νος εἰς⁶ πόλεμον κατέστη⁷ κρὸς
 αὐτόν, ἐπικαλεσάμενος βοηθίους
 τοὺς τε Τυνδαρίδας καὶ Ἰάσονα,
 ἔχθρον ὄντα κἀκείνῳ⁸, φίλος

ბულიყვენ. მან უარი უთხრა,
 ხოლო [ქალს] შეეშინდა, რომ მას
 არ ეთქვა მისი ქმრისათვის, და-
 ასწრო და ცილი შესწამა [თავის]
 ქმართან, თითქოს [პელევსმა]
 მასთან დაწოლა მოინდომა. [ქმარ-
 მა] რაზმი გაგზავნა და ბოროტი
 განიზიარა პელევსის წინააღმდეგ.
 ხოლო [პელევსმა] რომ შეიტყო,
 ომი გამართა მის წინააღმდეგ,
 დაუძახა მშველელებად ტინდარი-

¹ ἀναυνομένου E

² κατείποι E Suid A κατείπη Cor. Müll.: κατείποι sic codex et Suidas in optimis codd. Ante Orellium in edit. legebatur κατείπει.

³ προδιὰβάλλει Kuester, Orelli ^o προδιὰβαλλει τὸν ἄνδρα Suid A πρὸς διὰβάλλει πρὸς τ. ἄ. E. [πρὸς τ. ἄ.]? Müll. προδιὰβάλλει προσδιὰβάλλει cod. et vulgata ap. Suidam, ubi codex A προδιὰβάλλει exhibere videtur. In seq. praepositionem πρὸς om. Suidas.

⁴ εὐνηθηγαί Va. Müll.—εὐνηθηγαί sic codex et Suidas. Vallesius e conj. dedit συνηθηγαί.

⁵ ὑφείζ Kuester.

⁶ εἰς Suid. s. ὑφέντες.

⁷ ὁ δὲ Ἄκαστος—κατέστη Suid. s. Ἄκαστος, s. ὑφέντες.

⁸ ἐκείνῳ Suid. Müll. და Dind.-ის ტექსტებში სწერია: ἐκείνῳ. Müll.-თან შენიშვნა: ἐκείνῳ] Suidas. ἔχθρον ὄντα, κἀκείνῳ φίλος a. ὡς codex. De Pelco Argonauta v. Apollou. Rh. I, 91; Apollodor. I, 9,16; Hygin. fab. 14; Orpheus Arg. 1:0. Sec. Apollodorum III, 13,7 Pelous non statim post detectas insidias, sed post Thetidis nuptias natumque Achillem Jolcum expugnat. Cum Nicolai narratione cf. schol. Apoll. Rh. I, 224; Pindar. Nem. III, 59. De interiore harum fabb. ratione v. Müller. Min. p. 256. Ceterum quum Jasonis historiam, catenus certe quatenus ad Argonautarum expeditionem pertinet, Nicolaus libro tertio jam exposuerit, nostro loco de antiquissimis his Thessaliae regibus denuo egisse putandus est, ut viam sibi muniret ad eorum regum historiam, qui post Heraclidarum reditum in Thessalia regnarunt.

Jacoby-ს კომენტარი: „Atalante habe ich nicht in den text gesetzt weil der name auf einem versehen vielleicht erst der Suidas beruht Sie heisst sonst Hippolyte oder (so sicher in N. s vorlage; Bibl. III 173 u. a.) Astydameia. Τυνδαρίδας και Ἰάσονα] Pherekyd. 3 F 62. aber es ist wohl die vulgata (Bibl. III 173).

αὐτὸς ὢν διὰ τὸ σύμπλους ἐν
τῆι Ἀργοῖ γεγενῆσθαι καὶ τῆι
τε Ἰωλκὸν αἰρεῖ καὶ τῆν Ἀκάσ-
του γυναῖκα σφάττει.

დებსა და იასონს. [ეს უკანასკნე-
ლი] მტერი იყო [აკასტოსისა],
ხოლო [პელეგისი] მეგობარი იყო
არგოზე ერთად ცურვის შემდეგ.
[პელეგისმა] იოლკოსიც აიღო და
აკასტოსის ცოლიც მოჰკლა.

ῬῚ

(96-ე წიგნიდან)

72 (76). Joseph. AJ I 93
(Euseb. PE IX 11 p. 414 B):
Καὶ Νικῆλος δὲ ὁ Δαμασκητὸς
ἐν τῆι ἐνεγηκαστῆι καὶ ἕκτῆι βίβ-
λωι ἱστορεῖ περὶ αὐτῶν λέγων
οὕτως: „ἔστιν ὑπὲρ τῆν Μινυάδων¹
μέγιστος ὄρος κατὰ τῆν Ἀρμενίαν
Βάρις² λεγόμενον, εἰς δὲ πολλοὺς
συμφυρόντας ἐπὶ τοῦ κατακλινα-
μοῦ λόγους ἔχει περισημῆσαι: καὶ
τινας ἐπὶ λεγόμενος ὀχούμενον ἐπὶ
τῆν ἀκρόρειον ἐκείλαι, καὶ τὰ
λείψαντα τῶν ξύλων ἐπὶ πολλὴν σω-

72 (76). ნიკოლოზ დამასკელი
96-ე წიგნში მოგვითხრობს მათ
შესახებ და ამბობს ასე: „მინია-
ლის ზემოთ არმენიაში, არის ღი-
ლი მთა, რომელსაც ეწოდება ბა-
რისი, სადაც, არსებობს გადმო-
ცემა, რომ თავი გადაიჩინეს
წარღვნის დროს ბევრმა გამოქ-
ცეულებმა. კიდობანი, რომელიც
ტოვტივებდა [ამ წარღვნისას], [ამ
მთის] მწვერვალს მისდგომია და
ფიცრების ნაშთები [ამ ადგი-
ლას] დიდნაწილად შერჩენილა. ეს

¹ μυριάδα ROL Μιριάδα Js. Vossius Dindorf-ის გამოცემაში ტექსტში
არის Μιριάδα.

² Müll. და Dind.-ის გამოცემებს ტექსტში სწერია: Βάρις. Jacoby-ს უწი-
ვებანია: βίρις R beris Hieronymus.

Jacoby-ს აქვს ასეთი კომენტარი: „für Mireda vorwieß Bochart auf
Jerem. 51,27 die königreiche von Ararat, Minni und Askenas. C Mueller
auf die Mynyer der Argo. die ableitung Armeniens von begleitern des
Jason findet sich schon bei zeitgenössischen Alexanderhistorikern (129
F 1). wird aber noch älter sein: und in diesem zusammenhange steht
bei Strab. XI, 14,14, dass Ainianen ἐπὶ τὸν Ἄβρον καὶ τὸν Νίβαρον (Co-
rais nach XIV, 14,3; Ἰμβαρον hss. Ἰμαρον E) wohnen -- μέρη δ' ἐστὶ τοῦ
Ταύρου ταῦτα, ὧν ὁ Ἄβρος ἐγγύς ἐστι τῆς ὁδοῦ τῆς εἰς Ἐκβατανα φεροῦσης
παρὰ τὸν τῆς Βάριδος (ἀβάριδος C) νεών. s. Baumgartner RE III 17,3:
Tuompeh ebd. 18,8. sehr möglich, dass N darauf in der Parthergeschichte
zu sprechen kam, in der Justin. XI,II 2 die Armeniæ origo und die
sagenhafte verbindung des laudes mit Thessalien gab“ (გვ. 254).

მწიგნი. γίνονται δ' ἄν οὕτως, ὄντι-
να καὶ Μωυσῆς ἀνέγραψεν ὁ
Ἰουδαίων νομοθέτης.

ΠΓ

73 (77). Athen. X 9 p. 415 F:
Νικόλαος δ' ὁ Περιπατητικὸς ἐν
τῆι τρίτῃ πρὸς ταῖς ἑκαστὸν τῶν
Ἱστοριῶν Μιθριδάτην φησὶ τὸν
Ποντικὸν βασιλέα προθίνα ἀγῶνα
πολυφαγίας καὶ πολυποσίας (ἦν
δὲ τὸ ἀθλον τέλειον ἀργυρίου)
ἀμφοτέρω νικήσαι, τοῦ μὲντοι
ἄθλου ἕκαστηναι τῶι μετ' αὐτὸν
κρίθῆντι Καλαμόδωρῳ· τῶι Κυζι-
κηνῶι ἀθλητῆι¹.

ΠΔ

74 (80). Athen. VIII 6 p.
332 F: Νικόλαος δ' ὁ Δαμασκη-
νὸς ἐν τῆι τετάρτῃ πρὸς ταῖς
ἑκαστὸν τῶν Ἱστοριῶν περὶ Ἀπά-
μειαν φησὶ «τῆν Φρυγικῆν κα-
τὰ τὰ Μιθριδάτικὰ σεσημῶν γε-
νομένων ἀνεφάνησαν περὶ τῆν
χώρων αὐτῶν λίμναι τε [α!]² πρὸ-
τέρων οὐκ οὐσα· καὶ ποταμοὶ
καὶ ἄλλαι πηγαὶ ὑπὸ τῆς κινή-
σεως ἀνοίχθεισαν, πολλὰ δὲ καὶ

ასე მოხდა, რაც აგვიწერა მო-
სემაც, იუდეველთა რჯულმღე-
ბელმა.

(ასმესამე წიგნიდან)

73 (77). ნიკოლოზ პერიპა-
ტეტიკოსი „ისტორიის“ ასმესამე
თავში ამბობს: მითრიდატემ, პონ-
ტოელთა მეფემ, მოაწყო შეჯიბ-
რი ბევრ ჭამასა და სმასი (ჯილ-
დო იყო ვერცხლის ტალანტი)
და ორთავეში გაიმარჯვა, ხოლო
ჯილდო დაუთმო თავის შემდეგ
[გამარჯვებულს], შეჯიბრში მო-
ნაწილე კალამოდორისს, კიზიკელ
ათლეტს.

(ასმეთხე წიგნიდან)

74 (80). ნიკოლოზ დამასკელი
ისტორიის ასმეთხე თავში ამ-
ბობს: „ფრიგიის აპამედასთან მი-
თრიდატეს ომების დროს რომ
მიწისძვრები იყო, ამ მხარის
ირგვლივ გაჩნდნენ ტბები, რომ-
ლებიც უწინ არ ყოფილან, მდი-
ნარეები და სხვა წყაროები,
[რომლებმაც] მოძრაობის შედე-
გად ამოხეთქეს, ხოლო ბევრი
კიდევაც გაუჩინარდა. მიწაში

¹ Müll.: Hoc fragmentum fugit priores Nicolai editores. Cf. Aelian. V. H. I, 27, qui inter ἀδθηραγους recenset Μιθριδάτην τὸν Ποντικὸν καὶ Καλαμόδωρον.

Jacoby-ს კომენტარი: „Aelian. VH. I 27“ (გვ. 254).

² [α!] Kaibel.

Jacoby-ს კომენტარი: „(74) von C Mueller auf Poseidonios zurückgeführt, der F 95 mit N zusammen zitiert wird“ (გვ. 254).

ήφρασιθησαν· τισούτων τε ἄλλο
ἀνέβλυσεν ἀπτῶν ἐν τῇ γῆ· πικ-
ρόν τε καὶ γλαυκὸν ὕδωρ πλεῖσ-
τον ἕσον ἀπεχούσης τῶν τόπων
τῆς θιγάσσης, ὥστε ἐστρέψαν
πληθύνθη· τὸν πλησίον τόπον
ἀπαιτῶν καὶ ἰχθύων τῶν τε
ἄλλων, ὅσα τρέφει ἡ θιγάσσα.

ΠΙ

77 (83). a) Athen. XII 61
p. 543 A: Νικόλαος δ' ὁ Περ-
πιπαιτικὸς ἐν τῇ δεκάτῃ· καὶ
ἐκατοστῆ.¹ τῶν Ἱστοριῶν Λεύ-
κολλόν φησιν ἀφικόμενον εἰς Ῥώ-
μην καὶ θρησιμύεσσαντα λόγον τε
ἀποδόντα τοῦ πρὸς Μιθριδάτην
πολέμου ἐξοκειλῆαι εἰς πολυτελεῖ
δῶναιτῶν ἐκ τῆς πικλαίας σωφρο-
σύνης τρυφῆς τε πρῶτον εἰς
ἄπαν² Ῥωμαίοις ἡγεμόνα γενέσ-
θαι, κερπασάμενον θυεῖν βασι-
λέων, πλοῦτον Μιθριδάτου καὶ
Τιγράνου.

b)—VI 109 p. 274 E: τῆς
δὲ πολυτελείας τῆς νῦν ἀκμα-
ζούσης πρῶτος ἡγεμὸν ἐγένετο
Λεύκολλος ὁ κατ'ἐναυμαχίσης
Μιθριδάτης, ὡς Νικόλαος ὁ Περ-
πιπαιτικὸς ἱστορεῖ. ἀφικόμενος
γὰρ εἰς τὴν Ῥώμην μετὰ τὴν

[მყოფ წყალთაგან] იმოდენა მწა-
რე და ლურჯმა წყალმა ამოხეთქა
და უმეტესად რამდენადმე მოშო-
რებით ზღვის ადგილებიდან, რომ
მთელი მახლობელი მიდამო ლო-
კოკინებით იყო სავსე და სხვა
თევზებით, რაც კი ხარობს
ზღვაში“.

(ახმეთე წიგნიდან)

77 (83). ნიკოლოზ პერიპატე-
ტიკოსი „ისტორიის“ ასმეთე
[წიგნში] ამბობს, რომ ლუკულუსი
ზეიმით შევიდა რომში, მოახსენა
მითრიდატეს წინააღმდეგ ომის
შესახებ და ძველი გონიერული
ზომიერებიდან დიდ ფუფუნებაში
გადაეშვა, [რაკილა] მოიხვეჭა ორი
მეფის, მითრიდატესა და ტიგრა-
ნის სიმდიდრე და პირველი წარ-
ჩინებული გახდა ყველა რომაელ-
თა შორის.

b) მას მერე, რაც მითრიდატე
საზღვაო ბრძოლაში დაამარცხა,
პირველი წარჩინებული გახდა
ლუკულუსი და ახლა ფუფუნე-
ბაში იფურჩქნებოდა, როგორც
ნიკოლოზ პერიპატეტიკოსი მო-
გვითხრობს. მოვიდა ის რომში

¹ ἐκατοστῆ Valesius εἰκοστῆ Ath.

² ἅπαντα? Kibel.

Müll.: Cf. Plutarchus in Lucull. c. 37.

Jacoby-ს კომენტარო: „(77) Plut. Lucull. 35 ff.; Drumann- Groebe GR. IV 176 ff.; 182 ff.“

ἦσαν τὴν Μιθριδάτου ἔτι τε
 τὴν Τιγράνου τοῦ Ἀρμενίου καὶ
 Φραγμαξέσσης λόγον τε ἀποδοῦς τῶν
 τοῦ πολέμου πράξεων ἄκλειον¹
 σωφροσύνης καὶ πρῶτος τρυφῆς
 εἰσηγητῆς Ῥωμαίοις ἐγένετο,
 ἀκρωσάμενος πλοῦτον.

•

FRAGMENTE OHNE BUCHZAHL

89 (46). Sokrat. HE VII 25:
 Χρυσόπολις ἐπίγειον ἀρχαῖον ἔσ-
 τιν, ὃ καίτια μὲν ἐν ἀρχῇ τοῦ
 Βοσπόρου, μέμνηται δὲ αὐτοῦ
 πολλοὶ τῶν παλαιῶν συγγραφέων,
 καὶ Στράβων (XII, 4, 2) τε καὶ
 ὁ Δαμασκηνὸς Νικόλαος καὶ...
 Ξενοφῶν (An. VI, 3, 16)².

95 (79) Athen. VI 91 p. 266 E:
 Νικόλαος δ' ὁ Περιπατητικὸς καὶ
 Ποσειδώνιος ὁ Στωϊκὸς (87 F 38)
 ἐν ταῖς Ἱστορίαις ἐκότερος τοὺς
 Χίους φασὶν ἐξανδραποδισθέντας
 ὑπὸ Μιθριδάτου τοῦ Καππάδοκος
 παραδούνηται τοῖς Ἰνδοῖς θούλοις

მითრიდატესა და ტიგრანე არმე-
 ნიელის დამარცხების შემდეგ დი-
 დი ზეიმით და მოახსენა ომის
 ამბების შესახებ. და [უწინ რომ]
 გონივრულ სიმდიდრეში ცხოვ-
 რობდა, [ახლა] რომაელთა პირ-
 ველი მოთათბირე გახდა, რაკილა
 [ასეთი] სიმდიდრე მოიხვეჭა.

89 (46). ქრისტოპოლისი ძველი
 ნავსადგურია, რომელიც მდებარეობს
 ბოსფორის სახელმწიფოში. იხსენიებენ
 ამას ბევრნი ძველ მწერალთაგან და [მათ შო-
 რის] სტრაბონი (XII, 4, 2), ნი-
 კოლოზ დამასკელი და... ქსენო-
 ფონტი (ანაბ. VI, 3, 16).

95 (79). ნიკოლოზ პერიპატე-
 ტიკოსი და პოსედონიოს სტოი-
 კოსი სათითაოდ ამბობენ [თავის]
 „ისტორიებში“, რომ ქიოსელები
 დაიძორჩილა მითრიდატე კაპა-
 დოკიელმა და შეკრულები გადა-
 სცა თავის საკუთარ მონებს, რა-

¹ ἄκλειον ὁ ἄκλει μὲν A. იქმი თარგმანის მიხედვით არის: ἄκλει μὲν.

ეს ტექსტი, სახელდობრ მისი ბოლო ნაწილი გასარკვევია: რატომღა ტρυფῆς
 უნაῖ (πρῶτος-სა და εἰσηγητῆς-ს შორის?). ხომ არ უნდა იყოს πρῶτης ტρυფῆς
 εἰσηγητῆς—(რაც ნიშნავს—„პირველი სიმდიდრის მიზეზი—დამნაშავე“).

² Müll.: Cf. Xenophon Exp. VI, 3, 16; Strabo XII, p. 563; Plinius V, 32. Marcellin. XXII, 12. Ephorus, Theopompus et Dionysius Byzantius ap. Steph. Byz. v. Χρυσόπολις, ubi secundum plurimos urbs nominata esse dicitur a Chrysi filia Chryseide.

Jacoby-ს კომენტარი: „(89) stellung wohl nicht nach Ephoros 70 F 83, sondern nach οἱ δὲ πλείους ὑπὸ Χρῦσου παιδὸς Χρυσήϊδος καὶ Ἀγαμέμνο-
 νος (Dionys. Byz. Steph. Byz. S. Χρυσόπολις; Rosch. Lex. I 902).“

θεδεμένους, ἔν' εἰς τὴν Κόλχων
 γῆν κατοικισθῶσιν. οὕτως αὐτοῖς
 ἀληθῶς τὸ θαμύριον ἐμήγισσε
 πρῶτοις χρησζυμένοις ἄνητοις
 ἀνδραπέδοις, τῶν πολλῶν¹ ἀβουρ-
 γῶν ὄντων κατὰ τὰς θιακο-
 νίας.

თა კოლხთა მიწაწყალზე დაესაბ-
 ლებინათ. მართლაც ასე განუ-
 რისხდა მათ ღვაება, [რადგან]
 მათ პირველებმა გამოიყენეს ნა-
 ყიდი მონები, მაშინ როდესაც
 ბევრნი თავისი ხელით აკეთებ-
 დნენ [ყოველივეს] ღვთისმსახუ-
 რებისათვის.

ῬΕΘΩΝ ΣΥΝΑΓΩΓΗ

ჩვევათა კრებული

103 (103 ff) Joann. Stob.
 Anth. IV 2 [Περὶ νόμων καὶ
 ἐθῶν], 25: ἐκ τῶν Νικολάου Περὶ
 ἐθῶν. f) (122)² Σαυρομάται. ὁ δὲ
 τριῶν ἡμερῶν σιτοῦνται. εἰς πλη-
 ρωσιν. (2) ταῖς δὲ γυναιξὶ πάντα
 πεῖθονται ὡς θεσποίναις. (3) παρ-
 θένον δὲ οὐ πρότερον συναγί-
 ζουσι πρὸς γάμον³, πρὶν ἂν πα-
 λέμιον ἀνδρα⁴ κτείνῃ⁵.

გ) (125)* Κέρκεται. τοῖς ἀδι-
 κήσαντας ὄντων τῶν ἰερῶν⁶

103(103). [კანონთა და ჩვე-
 ვათა შესახებ]. ნიკოლოზის [კრე-
 ბულიდან] „ჩვევათა შესახებ“:
 (122)სავრომატები სამღვინეირთ-
 ხელ სჷამენ გაძლომამდის. ისინი
 ქალებს ყველაფერს უკერებენ,
 როგორც ქალბატონებს. ქალ-
 წულს ისინი იმაზე უწინ არ
 ათხოვებენ, ვიდრე ის მტერ მა-
 მაკაცს არ მოჷკლავს.

(125) კერკეტები, მათ ვისაც
 რაიმე უსამართლობა აქვთ ჩადენი-

¹ τῶν πολλῶν: τ. προγράσιον Kaijbel.

Müll.: Acciderunt haec an. 88 a. C., postquam Archelaus, dux Mithri-
 datis, ad Chaeroneam cladem acceperat. Plura v. Ῥap. Appian. Mithr. c. 47,
 p. 231 ed Didot. Ipse Nicolaus sua ex Posidonio hauserit.

² Jac. Vat. 50 Σαυρομάται—πεῖθονται, καὶ αὐτοὶ δὲ φοροῦσι γυναικείαν
 ἐσθήτα. ἔαν δὲ τις τῶν πολεμίων καταφύγῃ πρὸς τῶν ἐπὶ τῆς εἰσίας πύρι
 καὶ τοῖς ἀνδραξὶ τὸ πρόσσωπον μολύνῃ, οὐκ ἐρί αὐτόν, ὡς οἰκέτην, ἀδικούσιν.
 παρθένον—κτείνῃ.

³ εἰς γάμον L.

⁴ εἰς ἀνδρα Vat.

⁵ πολέμιον κτείνῃ Vat. Müll.; Cf. Herodot. IV. 117.

⁶ PDI-ს შებიშვბა: „О керкетах—северокавказском племени, отожде-
 ствляемом с позднейшими черкесами, см. [Scyl.]. 75 и прим. к этому мес-
 ту“ (გვ. 235). Scyl-თან იქვე, გვ. 241 არის ასეთი შებიშვბა: „Керкеты—горное
 племя, упоминаемое многими древними авторами. Фонетически и по их
 локализации отождествляются с позднейшими черкесами“.

⁶ ἰερῶν SML.

ἀπειργασίην. (2) ἐὰν δὲ τις ἄ-
βερῶν σαχάρως διαχάρτη, πρὸς-
ιόντες ἐφεξῆς ἐπιστοι ἐπισύσσει
αὐτῷ.

h) (126) * Μόσσοι τὸν ἔστυον
βασίλειά τρέφουσιν ἐν πύργῳ κα-
τάκλειστον· ἐὰν δὲ τις δόξη κα-
κῶς ποτὲ βεβούλησθαι, τῷ λι-
μῷ αὐτὸν ἀποκτείνουσι.¹ (2) τὸν
δὲ τρέφμενον² σῆτον ἐξ Ἰσου
διαροῦσι μέρος, κοινῆ ἐξελόντες
(τῷ βασίλει. (3) ἐχθιστοὶ δ' εἰσι)³
τοῖς ἀφικνουμένοις ξένοις³.

ლი, მოჰყვეთენ ხოლმე სალოცავ-
თაგან. თუ ვინმე ხომალდის მართ-
ვისას შეცდება, ჯერიჯერიოთ ჩა-
უვლიან ყველანი მას გვერდით
და აღუერთებენ.

(126) მოსინები თავიანთ მეფეს
კოშკში დამწყვდეულს ინახავენ.
თუ ვინმემ იფიქრა, რომ [მეფემ]
ოღესმე ცუდად გადასწყვიტა [საქ-
მე, მაშინ] მას შიმშილით ჰკლა-
ვენ. იმ პურს, რომელსაც ისინი
სჭამენ, თანაბრად ჰყოფენ და ნა-
წილს საერთოდ განუკუთვნებენ
მეფეს. ისინი მტრულად არიან
განწყობილი მოსული უცხოელე-
ბის მიმართ.

* Jacoby-ს კომენტარი: „Höfer Rh. Mus. LX 1904, 512 ff.“ (გვ. 258).

ВДИ-ს შენიშვნა: „О мосинах или мосиниках—западнокавказском пле-
мени см. подробно Хел., Anab., V, 4, § 1—3; 8 и прим. к этим эксцерп-
там. Этнографические сведения об этом кавказском племени, сообщаемые
Николаем, восходят в конечном счете к Ксенофону и Нимфодору.

Об обращении мосиников со своими царями и вообще о ритуальных
убийствах царей см. Дж. Фрезер, Золотая ветвь, II, стр. 117 сл.“.

¹ ἀποκτείνουσι Tr (incavelliani)—ένοσοι SMA—ένωσι L.

² (τῷ—είσι) Hoefler Rh MLIX 517.

³ Müll. და Dindorf-ს ძირითად ტექსტში აკვთ: τὸν δὲ τρέφμενον σῆτον
ἐξ Ἰσου διαροῦσι, μέρος κοινῆ ἐξελόντες τοῖς ἀφικνουμένοις ξένοις. ამასთან
დაკავშირებით Müll-ს აქვს შენიშვნა: τὸν δὲ τρέφμενον κτλ., რასაც იმეორებს
ВДИ-ც. ВДИ ამ აღკილს ასე თარგმნის: „употребляемый в пищу хлеб делят
поровну, сообщая выделенную часть приезжающим иностранцам“ და იქვეა შენი-
შვნა (Müll-ის მიხედვით): Повидимому, эти слова, помещенные не на месте,
относятся к фрагменту (128) о фригийцах, так как они совершенно не
подходят к нравам мосинов, народа из всех, которые заселяли мосиний-
ские горы, самого дикого и самого враждебного иноземцам, так как они,
как сообщает Страбон (XII, p. 519), ἐπέθεντο καὶ τοὺς ὑδοποροῦσι, κατα-
πηθήσαντες ἀπὸ τῶν ἐκρίων (Coraу и Orellius, цитирует Müller), გვ. 235.
როგორც ვხედავთ, Jacoby-ს შესწორებული ტექსტი მოჰყავს.

104(123)¹ Joann. Stob. Anth. III 1 [II. ἀρετής], 200: Ἐκ τῆς Νικολάου Ἐπιθῶν Συναγωγῆς. Γαλακτοφάγοι: Σκυθικὸν ἔθνος ἀνοικοῖ τε εἰσὶν², ὥσπερ καὶ οἱ πλείστοι Σκυθῶν, τροφήν δ' ἔχουσι γάλα μόνον ἰππειον, ἐξ οὗ τυροποιούσιν τε εἰσὶν³ καὶ πίνουσιν· καὶ εἰσι δὲ τούτοις ἡσυχάζονται σὺν αὐτοῖς πάντῃ· τὴν τροφήν ἔχοντες. (2) οὗτοι καὶ Δαρειὸν ἐτρέψαντο. (3) εἰσι δὲ καὶ διακρίονται κοινὰ ἔχοντες τὰ τε³ κτήματα καὶ τὰς γυναῖκας ὥστε τοὺς μὲν πρεσβυτέρους αὐτῶν πατέρους νομίζειν⁴, τοὺς δὲ νεωτέρους⁵ παῖδας, τοὺς δ' ἡλικίας ἀδελφοὺς (4) ὧν ἦν καὶ Ἀνάρχαρσις, εἰς τῶν ἐπὶ σοφῶν νομισθεῖς, ὅς ἦλθεν εἰς τὴν Ἑλλάδα, ἵνα ἱστορήσῃ τὰ τῶν ἄλλων⁶

104(123). ნიკოლოზის „ჩვევათა კრებულიდან“. გალაქტოფაგები [რძის მკამელები] სკვითური ტომია, რომელსაც სახლები არ გააჩნია, ისევე, როგორც სკვითთა უმრავლესობას, საკვებად აქვთ მხოლოდ ცხენის რძე, რომლისაგანაც აკეთებენ ყველს, [მას] სკამენ და სვამენ. ამის გამო მათთან ბრძოლა ძალიან ძნელია, რადგან მათ ყველგან თანა აქვთ საკმელი. მათ დარიოსიც კი უკუაქციეს. ამასთანავე ისინი სამართლიანები არიან. საზოგადო აქვთ ქონებაც და ქალებიც, ისე რომ თავისზე უფროსები მამებად მიიჩნიათ, უმცროსები — შვილებად, ხოლო ტოლები — ძმებად. მათგანი იყო ანაქარსისი, მიჩნეული ერთი შვიდ ბრძენთაგანად; ის მოვიდა ელადაში, რათა გამო-

¹ Müll.—Cf. Hippocrat. tom. I, p. 84 ed. Coray.. Herodot. IV, 59—76, Strabo VII, p. 296 ibique interpr.—. Verba ἀθλους δ' αὐτοῦς.. τὸ τόξον in margine habet codex Parisinus, omisit Trinc.; scholion redolent Guisfordio. Cf. Steph. Byz. v. Ἄθλοι¹ Westermann. Jacoby-ს კომენტარი: „(104) nach Ephor. 70 F 42. § 8] zur ausdehnung der Amazonenzüge v. Gutschmid Kl. Schr. V 132. vgl. F 103 f 2—3“. (გვ. 259).

მთელი ეს სტატია Jacoby-ს შენიშვნის მიხედვით: MaTr.

² εἰσι (καὶ νομάδες)? Hensu τ' ἔχουσι Meineke.

³ τὰ τε Tr A³ τὰ MA.

⁴ ὀνομάζειν Tr.

⁵ νέους Tr. აქ ВДИ-ს შენიშვნა: „Историческая традиция о скифах-галактофагах (млекоедах) и абиях восходит к весьма древнему источнику, в какой-то форме известному уже в эпоху создания гомеровских поэм. При всей идеализации скифского быта, свойственной уже Гомеру, нельзя не отметить строк о счете родства по поколениям, отражающем весьма архаические социальные соотношения“ (გვ. 234).

⁶ ἄλλων: Ἑλλήνων A³, Müll. და Dindorf. ძირითად ტექსტში არის Ἑλλήνων.

νόμιμα. (5) τούτων καὶ Ὀμηρος μέμνηται ἐν οἷς φησι (Il. 13,5) Ἑμυστῶν τ' ἀγγεμάχων καὶ ἀγαστῶν Ἱππημολγῶν, Γαλακτοφάγων ἀβίαν τε, δικαιοσάτων ἀνθρώπων, ἀβίους δ' αὐτοὺς λέγει ἢ διὰ τὸ γῆν μὴ γεωργεῖν ἢ διὰ τὸ ἀοίκους εἶναι ἢ διὰ τὸ χρῆσθαι τούτους μόνους τόξοις· βίον γὰρ λέγει τὸ τόξον¹. (6) παρὰ τούτοις οὐδὲ εἰς οὔτε φθονῶν, ὡς φασιν, οὔτε μισῶν οὔτε φοβούμενος ἱστορήθη διὰ τὴν τοῦ βίου κοινότητα καὶ δικαιοσύνην. (7) μάχιοι δ' αὐτῶν οὐχ ἤττον αἰ γυναικες ἢ οἱ ἄνδρες, καὶ συμπολεμοῦσιν αὐτοῖς ἔταν δέτη. (8) διὰ τοῦτο καὶ² Ἄμαζόννας γενναιοτάτας³ εἶναι, ὥστε ποτὲ ἐλάσαι μέχρι Ἀθηνηνῶν καὶ Κιλικίας, ὅτι⁴ τούτων⁵ παρῶ·κουν ἐγγὺς τῆς Μαιώτιδος λίμνης⁶.

ეველია სხვათა კანონები. ამათ იხსენებს ჰომეროსი, რომელიც შემდეგ [ლექსებში] ამბობს მათზე: ხელჩართულ მებრძოლ მიზეილთა, საოცარ ჰიპემოლგთა [ცხენების მწველავთა], გალაქტოფაგთა [რძის მჭამელთა] და აბიებისა, აღამიანთა შორის ყველაზე სამართლიანთა. იგი მათ უწოდებს აბიებს ან იმიტომ, რომ ისინი მიწას არ ამუშავებენ, ან იმიტომ, რომ მათ სახლები არა აქვთ, ან იმიტომ, რომ მხოლოდ ისინი ხმარობენ მშვილდებს. ხოლო მშვილდს ის βίος-ს უწოდებს: როგორც ამბობენ, მათ შორის არაა არცერთი არც მოშურნე, არც მოძულე, არც მოშიშარი, რაკილა მათ საერთო ცხოვრება აქვთ და მათში სამართლიანობა [სუფივეს]. მათი ქალები არაა აქვთ მემომრები არიან, ვიდრე კაცები და როდესაც საჭიროა მათთან ერთად იბრძვიან⁷. ამამონე-

¹ [τούτων—τόξον] Meineke; s. F 103 a a. ἀβίους—τόξον om Tr. ВДИ-ს შენიშვნა: „Об аβιαх см. Eust., ad II, XIII, 55 сл. и прим. к этому месту“ (33. 234).

² διὰ τοῦτο καὶ MA καὶ διὰ τοῦτο Tr edd. Müll. Dind., ახე.

³ γενναιοτάτους M γενναιοτάτας (φασίν) Buecheler μέχρις A.

⁴ ὅτι: ὅτε Jacobs.

⁵ τούτων MA τούτων Tr τότε Gesner τούτοις Meineke.

⁶ მთელი ამ მონაკვეთის მიმართ Jacoby-ს შენიშვნა: M: Tr (იხ. ზემოთ). ВДИ-ს შენიშვნა: „Об амазонках и об их походах в Грецию см. пересказ легенд, содержащихся в Isocr., Paneg., 68—79 и прим. к нему“.

⁷ ВДИ-ს შენიშვნა: „О савроматских женщинах ср. Her. IV, 117 и Hipp., de aëg., aqu., locis, 24 и прим. к этим текстам“ (33. 234).

ჰიპოკრატეს უფრო დაწვრილებით სავრომატების შესახებ აქვს დასახელებული შრომის § 17-ზე.

ბიკ. იმიტომ არიან ძალიან მამაცები (მათ ხომ ოდესღაც ათენამდის და კილიკიამდეც მიიღწიეს), რომ [გალაქტოფაგების] გვერდით ცხოვრობდნენ მეოტისის ტბის მახლობლად.

119 (120)¹ Joann. Stob. Anthol. IV 55,13 [II. ταραχῆς] Ἰαση-
ροι Σκυθικὸν ἔθνος τοῖς βασι-
λεῦσι τοῖς εὐνουστάτους τῶν φι-
λων συγκαταθήπτουσιν. (2) ὁ δὲ
βασιλεὺς ἀποθανόντος φίλου ἢ
μέρους ἢ τὸ ἕλκον ἀποτέμναι ἄτιον
πρὸς² τῆν ἀξίαν τοῦ τελευτή-
σαντος³.

120 (121)...IV 55,14: Ἰοῦ
ἀβτοῦ. Σινθὸι τοσοῦτους ἔχουσιν⁴
ἐπὶ τοῖς τάφοις ἐπιβάλλουσιν,
ὄθους⁵ πολεμίου ὁ φραπτόμενος
ἀπεκτενῶς ἦ⁶.

119 (120). [დამარხვის შესა-
ხებ] სკვითური ტომი, ტავრე-
ბი მეფეებთან ერთად მარხავენ
უერთგულესებს მათ მეგობართა
შორის. ხოლო მეფე, როდესაც
კვდება მეგობარი, ან ნაწილს ან
მთელ ყურს სკრის [მას] გარდა-
ცვლილის ღირსების მიხედვით.

120 (121). იქვე: სინდები იმ-
დენ თევზს აგდებენ საფლავზე,
რამდენი მტერიც ჰყავს მოკლული
მას, ვისაც მარხავენ.

¹ Jacoby: მთელი ამ მონაკვეთის მიმართ: vgl. P. r. Vat. 65.

² სიტყვა: κατὰ γνώμ. Frob.

Jacoby-ს კომენტარი: „(119) § 1] von den Skythen überhaupt ähnliches bei Herod. IV 71. § 2] fälschlich mit λίγεις zusammengezogen Paradi; Vat. 65 ὁ δὲ βασιλεὺς ἀποθανόντος φίλου μικρόν τι τοῦ ἄτιου ἀποτέμνει, ἀναγκαιοτέρου δὲ τελευτήσαντος πλείον ἀφαιρεῖ. ὅταν δὲ ὁ πάντων εὐνοῦσταν-
τος ἀποθάνῃ (τὸ ἕλκον)“ (გვ. 261).

ВДИ-ს შენიშვნა: „О таврах и тавро-скифах Крымского полуострова см. Нер., IV, 99 и Scyl., 68, а также примечания к этим текстам“ (გვ. 235).

³ ВДИ-ს შენიშვნა: „Ср. Isig., 65,2“ (გვ. 235). ხოლო ისიგონოსთან სწერია, ის, რაც ზემოთ Jacoby-ს მოჰყავს (ი. ი. „მეფე, როდესაც კვდება მეგობარი, ყურის რაღაცა პატარა ნაწილს აკრის, ხოლო როდესაც უფრო მახლობელი კვდება, უფრო მეტს აკრის, ხოლო როდესაც ყველაზე მახლობელი, [მაშინ მთელს]“).

⁴ ἔχουσιν M λίθους Clavier. Müll.: Pro ἔχουσιν Clavier., probante Co-
rαιο, improbante Orellio, legi voluit λίθους. Sindi, gens Scythica.

⁵ ὄθους (ὄν) Di.

⁶ ἦ: ἦν Tr. ВДИ-ს შენიშვნის მიხედვით — „Синды — племя, подвластное боспорскому царю, жившее между нижним течением реки Кубани (Гипанис) и Черным морем“ (გვ. 155).

121 (124)...IV 55,15: Τοῦ αὐτοῦ. Κολχοί τοὺς τελευτήσαντας οὐ θάπτουσιν, ἀλλὰ κρημνῶσιν¹ ἀπὸ δένδρων².

121 (124). იქვე: კოლხებმ მიცვალებულებს კი არ მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხეებზე³.

ΒΙΟΣ ΚΑΙΣΑΡΟΣ

კეისრის ცხოვრება

127 (99) VI Καίσαρος δὲ ἦδη νεχειρωμένου μὲν τοὺς ἐν τῇ Εὐρώπῃ πολεμίους³, νεικηχότος δὲ καὶ περὶ Μακεδονίαν Πομπήιον, ἡρηχότος δ' Αἴγυπτου, ἐπαναπερώντος⁴ δ' ἐκ τῆς Συρίας καὶ τοῦ Εὐξείνου Πόντου, μέλλοντος δ' ἐπὶ Αἰθῆρας χαιρεῖν, ὡς τὰ λειπόμενα τοῦ ἐκεί μεταστά-
τος⁵ πολέμου καθέλοι, βουλόμενος συστρατεύειν αὐτῶι ὁ νέος Καίσαρ, ὡς καὶ πολεμι(ζ)ῶν⁶

127 (99). [14] როგორც კი კეისარმა დაიმორჩილა ევროპაში მტრები და გაიმარჯვა მაკედონიასთან პომპეუსზე, დაიჭირა ეგვიპტე და გამოვიდა სირიიდან და ეექსინის პონტოდან, დააპირა ლიბიაში შესვლა, იმისათვის, რომ ის რაც იქ გადარჩა, ომიოთ აეღო. მას უნდოდა, მასთან ერთად ელაშქრა ახალგაზრდა კეისარს, რომ საომარ საქმეებში გამოცდილება მიეღო, მაგრამ როდესაც

¹ κρημνῶσιν Meineke κρημῶσιν SAM κρημῶσιν Tr.

² Müll.: Cf. Aelian. V. H. IV, 1: Apollou. Rhod. III, 802 ibiq. schol. Jacoby-ს კომენტარი: „(121) Aelian, VH. IV 1 Κόλχοι δὲ τοὺς νεκροὺς ἐν βύρσσις θάπτουσι καὶ κατασφάραγτες ἐκ τῶν δένδρων ἐξαρτῶσι. Sil. Ital. XIII 486 at gente in Scythica saffixa cadavera truncis lenta dies sepe lit putri liquentia t. h. v. genauer Nymphodoros Schol. Apoll. Rh. III 202: οὗτοι τὰ μὲν ἄρσενά σώματα οὐ θέμεις Κόλχοις οὕτε καίειν οὕτε θάπτειν, βύρσσις δὲ νεαρῶις ἐλλοῦντες ἐκρήμων τῶν ἀρσένων τὰ σώματα, τὰ δὲ θήλεα τῇ γῆι ἐδίδοσαν.“

³ Müll.: ძირითად ტექსტში არის *πολέμους*. Jac. შენიშვნა: *πολεμίους Bremi—μους* E. Müll.: *πολέμους*] fuisse videtur *πολεμίους*, monente Co-
rayo et Bremio.

⁴ ἐπαναστρέφοντος Di Hall-ს აქვს *ἐπαναστρέφοντος*.

⁵ καταστάντος Orelli. Müll.: *μεταστάντος*] sic codex, non *καταστάντος* ut editt.]. H. H-ს აქვს *καταστάντες*.

⁶ *πολεμικῶν* (p. 392,12) Va *πολεμίων* E. Müll.: *πολεμικῶν*] editt., *πολε-
μίων* codex. Hall-ს აქვს *πολεμίων*.

⁷ B. H. H-ს შენიშვნა: „O Kolkax см. Her. II, 103 и сл. и Xen. Anab. IV, 8, § 6—9 и прим. к этим текстам“. კოლხთა ხეულებებზე საერთოდ (და მითუმე-
ტეს დამარჯვის წესების შესახებ) ჰეროდოტესა და ქსენოფონტის თხზულებების
აღნიშნულ ადგილებზე არაფერია.

ἔργων ἔμπειρος εἶη, ἐπεὶ ᾔρισθετο
ἐναντιουμένην Ἀτίαν¹ τὴν μη-
τέρα, οὐδὲν ἀντιπῶν ἡρέμα εἶχε.
ἄλλος δ' ἦν καὶ ὁ πρεσβύτερος²
Καῖσαρ ἵπ' εὐνοίας οὐδέπω βου-
λόμενος αὐτὸν στρατεύεσθαι, ὡς
μη τὴν [τε]³ διαίταν ἐν ἀσθενεῖ
σώματι: μεταβῆλόν καὶ (τῆν)⁴
ἄλλην ἕξιν φασίως διατεθείη. οὐδ'
μὲν οἷα ταῦτα τῆς στρατείας⁵
παρελῆστο.

შეიტყო, რომ მისი დედა, ატია
ამისი წინააღმდეგი იყო, გაჩუმდა
და არაფერი სთქვა. ცხადი იყო,
რომ უფროსმა (15) კეისარმა
თავისი კეთილი განწყობილების
გამო აღარ მოინდომა მასთან
ერთად ლაშქრობა, რათა [მისი]
სუსტი სხეულისათვის ცხოვრება
არ გამოეცვალა და ამითი მისი
[ფიზიკური] მდგომარეობა არ
გაეუარესებინა. ამიტომ იყო, რომ
გაათავისუფლა ის [ამ] ლაშქრო-
ბისაგან.

¹ ἀτίαν E (p. 392.4).

² πρεσβύτερος Bromi—τατος E.

³ [τε] Pic. Hall. არაა.

⁴ καὶ (τῆν) Jac. τῆν Pic.

⁵ στρατείας Cor στρατείας E Müll.: στρατείας] Comay., στρατιᾶς codex.

კლავდიუს ელიანუსი

საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის კლავდიუს ელიანუსის სახელი მაინცა და მაინც ცნობილი არ არის. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში თუ გვხვდება მისი ხსენება, ისიც მხოლოდ კოლხთა გვამების დაკრძალვის წესთან დაკავშირებით, სხვა მის ცნობებზე საქართველოს შესახებ, ჩვეულებრივ არას ამბობენ ხოლმე.

რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში, ლატიშევის ცნობილი კრებულის გარდა ელიანუსის საქართველოს შესახები მასალა არსად სპეციალურად გამოყოფილი და გაშუქებული არ არის, მაგრამ ამ ავტორის შესახებ გამოკვლევები და სტატიები ხშირად გვხვდება უცხოურ ჟურნალებში.

ბიოგრაფია

ბიოგრაფიული ცნობები ამ მწერლის, კლავდიუს ელიანუსის (Αἰλιανός) შესახებ ძალიან ცოტა გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ორი ბიოგრაფია არსებობს: ერთი არის სვიდას ლექსიკონში და მეორე, მისი თანამედროვე მოღვაწის, ფლავიუს ფილოსტრატოსის ნაწარმოებში: Βίη: σιφ:σταν (II, 31).

იგი ცხოვრობდა დაახლოებით 170—234 წწ. მისი ცხოვრების წლების დადგენა ხდება ამგვარად: პავსანიას ემოწაფებოდა დაახლოებით 190—197 წწ., მაშასადამე, ის დაბადებულია დაახლოებით 170—180 წწ., მან იცოცხლა 60 წელზე მეტი და მოესწრო ელაგაზალის სიკვდილს (რაც 222 წ. მოხდა).

ელიანუსი დაიბადა რომის მახლობლად, პრენესტეში და ამიტომ თავის თავს რომაელს უწოდებდა (V. H. XII, 25; XIV, 45). ჯერ მხოლოდ მისი სახელის (Claudius) მიხედვით შეიძლება დაისკვნას, რომ ის თავისუფალთა წოდებიდან იყო. პრენესტეში მას არქიერევსის (მღვდელთმთავრის) თანამდებობა ეკავა.

კლავდიუს ელიანუსი სოფისტის, პავსანია კესარიელის მოწაფე იყო და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მან ბერძნული ისე იცოდა, რომ ათენელისაგან არ გამოიჩინებოდა თავისი მეტყველებით (ფილოსტრატოსი)¹. ამიტომ იყო, რომ სვიდას ცნობით მას მისი თანამედროვენი ὁ μάλιστα γλωσσῶν ἢ μάλιστα φησίουσιν-ს უწოდებდნენ.

მისი საკუთარი გამოთქმის თანახმადვე მას იტალიის საზღვრებს გარეთ არ გადაუბიჯებია, ე. ი. არ უმოგზაურია და სხვა ქვეყნები არ უნახავს².

ბერძნული მწერლობის ისტორიაში ელიანუსი შესულია როგორც სოფისტი, ხოლო თუ მისი თანამედროვე მოღვაწენი რიტორიკით იყვნენ გატაცებული, იგი თავისი ბუნებრივი მონაცემების გამო არ მისდევს ორატორულ ხელოვნებას და კმაყოფილდება მწერლობით.

ესაა და ეს, რაც ვიცით ამ მწერლის ბიოგრაფიის შესახებ³.

შემოქმედება

კლავდიუს ელიანუსის სახელით რამდენიმე ნაწარმოები არის ცნობილი: 1. „Περὶ ζῳῶν ἰσθῆρας“—„ცხოველთა ბუნების შესახებ“, 2. „Ποικίλη ἱστορία“—„სხვადასხვა ამბები“, 3. „ἀγροικαὶ αἰεὶ ἐπιστολαί“—„წერილები სოფლის შესახებ“. 4. „Περὶ παροισῆς“—„განგების შესახებ“ და 5. „Περὶ φῆνας ἕναρχείων“—„ღვთაებრივი თვალსაჩინოების შესახებ“.

ნაწარმოები „ცხოველთა ბუნების შესახებ“ მთლიანად არის ჩვენამდე მოღწეული. ამას უნდა დავუმატოთ ინტერპოლაციები, რომლებსაც ზოგიერთი მკვლევარი მასში ავლენს. იგი შედგება 17 წიგნისაგან, შესავლისა და ბოლოსიტყვაობისაგან.

როგორც სახელწოდება გვაუწყებს, ნაწარმოები ძირითადად საბუნებისმეტყველო ხასიათისაა, მაგრამ ბევრია მასში პარადოქსოგრაფიულიც—ავტორი დიდი ხალხით გაღმოგვეცემს სხვადასხვა

¹ ამასთან დაკავშირებით ვ. კ რ ის ტი შენიშნავს: „მის ნაწერებში ბერძნული ენის სიწმინდის თვალსაზრისით ბევრი შეცდომა გვხვდება“: *Geschichte der griechischen Litteratur*, V Auflage, Zweite Teil, გვ. 621, München, 1913.

² თუ მის ნაწერებში სადმე არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მან რომელიღაცა ქვეყანაში რაღაცა თვითონ ნახა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას თავისი წყარო აქვს სიტყვა-სიტყვით გამოვრებული (მაგ., *Ἰσθῆ ζῳῶν*, XI, 40 და სხვ.).

³ შტრ. RE, I, 1. Stuttgart, 1893, გვ. 486—468. Claudius Aelianus, M. Wellmann-ის სტატია, W. Christs, *Geschichte der griechischen Litteratur*. II, 2. გვ. 621—625.

პიკანტური შინაარსის ანეკდოტებს, რომელთა მიმართაც არ იჩენს კრიტიკულ დამოკიდებულებას. ამას გარდა აშკარაა ავტორის განწყობილება—მას სურს ადამიანის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ცული მხარეების მიმართ ცხოველთა სამყაროს მაგალითების მიხედვით გაამახვილოს ყურადღება.

ნაშრომი „სხვადასხვა ამბები“ შედგება 14 წიგნისაგან, მაგრამ იგი მთლიანად არაა დაცული, ნაკლებია. ეს თხზულება ისტორიული ხასიათისაა, მაგრამ მის მიმართაც შეიძლება შეინიშნოს იგივე, რაც ითქვა „ცხოველთა ბუნების“ შესახებ: აქაც ჭეშმარიტი ამბების გვერდით ბევრი საოცარი ამბავია გადმოცემული, ისე რომ არ ჩანს ავტორის დამოკიდებულება მათ მიმართ. „წერილები სოფლის შესახებ“—ოცია. ამ წერილებში ბევრია ეროტიკული მომენტი და ჩანს, რომ მათ შემთხვეულს უსარგებლია ძვ. წ. IV საუკუნის ატიკური. ლიტერატურით.

რაც შეეხება ორ ნაწარმოებს, „განგების შესახებ“ და „ღვთაებრივი თვალსაჩინოების შესახებ“, რომლებიც შინაარსობლივად ერთმანეთთან ახლოს იყვნენ, ისინი დაკარგულან და ახლა მათი მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული, ისიც სვიდას წყალობით, რომელიც, ჩანს, მათი ენობრივი და სტილისტური თავისებურებებით დაინტერესდა და მრავალი ადგილი ამოიწერა მათგან თავისი მასალის საილუსტრაციოდ.

არის ცნობა რამდენიმე ნაწარმოების შესახებ, რომელიც ელიანუსს დაუწერია, მაგრამ მათი მხოლოდ სახელწოდებები ვიცით. ესაა, მაგ., ელაგაბალის სიკვდილის გამო დაწერილი სიტყვა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ელიანუსი არ ეკუთვნის უმაღლესი რანგის მწერალთა რიცხვს, მას კითხულობდნენ მისი თანამედროვეებიც და შემდეგი დროის საზოგადოებაც. მაგ., სტობეოსის „ანთოლოგიაში“ დაცულია ნაწყვეტები მისი „Ποικίλη ιστορία“-სი და „Περὶ ζῳων“-ისა; ევტეკნიოსი უშუალოდ იყენებდა მის შრომას „ცხოველთა ბუნების შესახებ“. თეოფილაქტე სიმოკატა თვითონვე ასახელებს მას თავის წყაროთა შორის. კონსტანტინე პორფიროგენეტმა მისი ცხოველთა შესახები შრომით უხვად ისარგებლა, როდესაც „στολιχὴ τῆς περὶ ζῳων ιστορίας“-ს აკეთებინებდა.

ცნობილ ლექსიკოგრაფს, სვიდას ძალიან ხშირად მოჰყავს მისი შრომებიდან ციტატები. XIV ს-ში მანუელ ფილესმა გალექსა მისი „Περὶ ζῳων“-ი⁴.

⁴ W. Christs, Geschichte...⁵ გვ. 622—623. RE, I, I. გვ. 487.

კლავდიუს ელიანუსის თხზულებათა შემცველი მრავალი ხელნაწერი არის ცნობილი. ჯერ მხოლოდ „*Иер! წრფა*“-ისათვის სტეფანიმ ხელნაწერთა რიცხვი 7-ზე დაიყვანა. უძველესი, არაინტერპოლირებული ხელნაწერი არის XIII ს-სა (*Paris. suppl. gr. 352*; უწინ იყო *Vatic. gr. 997*). „*Иер! წრფა*“-სა და „*Ποικίλη ἱστορίαι*“-ს შეიცავენ ხელნაწერები: პარიზისა, XIV ს-ს (*Bibl. imper. n. 1693*), ჰაიდელბერგისა, XIV ს-ისა (*№ 155*, გადმოწერილი ვატიკანის ხელნაწერიდან). „*Ποικίλη ἱστορίαι*“-სათვის ხელნაწერის მნიშვნელობა ენიჭება სტობეოსის „*ანთოლოგიას*“ და სხვ.⁵ „წერილების“ შემცველი საუკეთესო ხელნაწერია: მილანის, X ს-ისა (*Cod. Ambros. B 4*) და მადრიდისა 1460—1465 წწ. გადაწერილი (*Bibl. Nacional, 4693*)⁶.

გამოცემები

კლავდიუს ელიანუსის ტექსტების ბევრი გამოცემა არსებობს.

პირველი გამოცემა, სადაც არის ყველა ზემოთ მოყვანილი ნაწარმოები (და დამატებათ სხვა ელიანუსის „ტაქტიკა“)⁷ ეკუთვნის *Conr. Gesner*-ს, 1556 წ. ცეჰრიხში. მხოლოდ „ცხოველთა ბუნების შესახებ“ გამოსცა 1784 წ. შნაიდერმა (*J. G. Schneider*), ლაფფციგში. გამოცემა მაღალხარისხვნად იყო მიჩნეული. იგივე ძეგლი 1832 წ. იმავე ლაფფციგში გამოსცა იაკობსმა (*Fr. Jacobs*). უკანასკნელი ცალკე გამოცემა მხოლოდ ამ ნაწარმოებისა არის 1958—1960 წწ. ცნობილ *Loeb*-ის სერიაში: *Aelian, On the characteristics of animals, with an english translation by A. F. Scholfield*, 3 ტომად.

ამ გამოცემამდე ყველაზე უკეთეს და ნამდვილად კრიტიკულ გამოცემად მიჩნეული იყო *R. Hercher*-ისა. ამ მკვლევარმა ელიანუსის ყველა ნაწარმოები გამოაქვეყნა, როგორც მთლიანად მოღწეული, ასევე მცირეოდენი ნაწყვეტების სახით დაცულიც. *R. Hercher*-მა პირველად გამოსცა პარიზში, 1858 წ. (*Didot*-ს სერიაში), ხოლო შემდეგ იგივე გამოცემა გაიმეორა *Bibliotheca Teubneriana*-მ,

⁵ *Hercher, Praefacio, Didot*-ს გამოცემაში. *Stefani*.

⁶ იქვე. დამატებით *Loeb*-ის სერიის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 346.

⁷ ელიანუს სოფისტი და ელიანუსი „ტაქტიკის“ ავტორი, ზოგს ერთ და იმავე პიროვნებად მიაჩნდა, მაგრამ მეტი წილი კომპეტენტური მკვლევარებისა მათ ორ სხვადასხვა მწერლად აღიარებს (*კ რ ის ტ ი, R.E. მ ა რ უ ზ ო, etc.*).

1564 წ. (რამდენიმე სტერეოტიპული გამოცემა არსებობს ამისი მომდევნო ხანში).

„სხვადასხვა ამბები“ გარდა Gesner-ისა და Hercher-ის საერთო გამოცემებისა, რამდენჯერმე ცალკეც არის გამოქვეყნებული. I გამოცემა C. Paruscus-ისაა, 1545 წ. რომში (ეს გამოცემა კილევაც წინ უსწრებს Gesner-ისეულს). თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა J. Perizonius-ის ორტომიან გამოცემას, 1701 წ.

ელიანუსის „წერილები“ პირველად Marcus Musurus-მა გამოაქვეყნა 1499 წ., ვენეციაში. საერთო გამოცემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იგივე წერილები ამ ბოლო ხანს ისევ Loeb-ის სერიამ დაბეჭდა 1949 წ. The Letters of Alciphron, Aelian and Philostratus, with an english translation, by Allen Rogers Benner and Francis H. Fobes (ე. ი. Benner-ისა და Fobes-ის რედაქციითა და თარგმანითურთ).

თარგმანები

ელიანუსის ნაწარმოებების სხვადასხვა ენაზე თარგმანებიც არსებობს. ასეთია ლათინური თარგმანები გესნერისა და ჰერხერის გამოცემებში (ყველა ტექსტისათვის).

„Ποικίλη ιστορία“ დამატებით ლათინურად არის კიდევ პერიძონიუსის მიერ თარგმნილი 1701 წ. მისი ფრანგული თარგმანებია: Histoires diverses, traduit par Dacier, Paris, 1772 და Diversités historiques, M., Formey-ს თარგმანი, 1764. გერმანული თარგმანია: Vermischte Erzählungen, übersetzt von J. H. F. Meineke, Quedlinburg, 1775.

„Περί ζώων“ გერმანულად ითარგმნა Fr. Jacobs-ის მიერ 1839—1841 წლებში (Thiergeschichte), ხოლო ინგლისურად—Scholfield-ის მიერ (ზემოხსენებულ Loeb-ის სერიაში, რაც გამოიცა 1958—60 წწ.).

„წერილები“ გარდა გესნერისა და ჰერხერის გამოცემებში არსებული საერთო თარგმანებისა ფრანგულად ითარგმა P. Quillard-ის მიერ (Paris, 1895 წ.), ხოლო ინგლისურად—1949 წ. Benner-ისა და Fobes-ის მიერ (Loeb-ის სერიაში).

კლავდიუს ელიანუსის თხზულებების სრული რუსული თარგმანი დიდხანს არ მოგვეპოვებოდა. 1963 წ. გამოვიდა С. И. Полякова-ს Элиан, Пестрые рассказы, М.—Л., სადაც არის სრული ტექსტი,

გამოკვლევა და შენიშვნები ინდექსითურთ. მისი ცნობები სკეითისა და კავკასიის შესახებ გამოჰკრიფა ვ. ლატიშევმა და რუსული თარგმანითურთ გამოაქვეყნა თავის კრებულში „Сведения греческих и римских писателей о Скифии и Кавказе“, მისი მხოლოდ რუსული ნაწილი გადაიბეჭდა ВДИ-ს დამატებაში, 1947 წ. ნომერში.

წინამდებარე ნაშრომში გათვალისწინებულია ყველა გამოცემა და თარგმანი, გარდა „Перл. წყაყ“-ის უკანასკნელი Scholfield-ის გამოცემისა, რაც აქამდე არ მოიპოვება ჩვენს ბიბლიოთეკებში. მის შესახებ არსებულ სხვა ანოტაციებზე რომ არაფერი ვთქვა, უნდა შეინიშნოს Eichholz-ის სტატია, სადაც დაწვრილებით არის დახასიათებული Scholfield-ის გამოცემა⁸. ყველა გამოცემა და ყველა თარგმანი ერთი ღირსებისა არ არის. და თუ რაიმე საგანგებოდ საყურადღებოა ამ მხრივ, ტექსტთან არის შენიშნული. ვ. ლატიშევის კრებულისაგან განსხვავებით წარმოდგენილ ნაშრომში გაცილებით მეტი მასალაა თავმოყრილი.

წყაროები

კლავდიუს ელიანუსის წყაროების საკითხი სპეციალურადაც იყო გამოკვლეული და ამის შესახებ აზრი გამოუთქვამთ ზოგადი ხასიათის ნაშრომების ავტორებსაც.

ერთი საერთო აზრი, რაც არსებობს კლავდიუს ელიანუსის შესახებ, ისაა, რომ ამ ავტორს თავისი მასალა უძველეს დოკუმენტებში არ უძებნია, რომ მისი უშუალო წყაროები მას ქრონოლოგიურად დიდად არ უსწრებენ. ამრიგად, კლავდიუს ელიანუსის ცნობათა გამოყენებისას დგება საკითხი მისი წყაროების წყარობისა და ა. შ.

1884 წ. გამოქვეყნდა ნაშრომი Felix Rudolph-ისა: „De fontibus quibus Aelianus in Varia historia componenda usus sit“ (Leipziger Studien zur classischen Philologie, VII Band. გვ. 1—138). ამ ნაშრომის მიხედვით ვითარება ასეთია: ფავორინუსის „παραθέσει ιστοριῶν“ არის ძირითადი წყარო დიოგენე ლაერტისათვის, ელიანუსის „Перл. წყაყ“-ისათვის (ამას აქვს კიდევ x-წყარო და ოპიანუსის „ἔξλι:μα:χῆ“, თავისთავად დამოკიდებული ფავო-

⁸ The Classical review, 1959, დეკემბერი. Oxford. გვ. 247—249.

რინუსზე). ათენაფოსისათვის და ელიანუსის „Ποικίλη ἱστορία“-ისათვის. ამისი წყაროებია კიდევ: იგივე ათენაფოსი, ფავორინუსის „ἄπομνημονεύματα“, პამფილესის „ἱστορικὴ ἱστορία“ და სხვ.⁹

კრისტისა¹⁰ და ველმანის¹¹ აზრით „Περὶ ζῴων“-ისათვის ძირითადი წყარო იყო ალექსანდრე მინდოსელი¹² და მრავალი ავტორი, რომელსაც ელიანუსი ახსენებს და არ ახსენებს (პეროდოტე, არისტოტელე, არისტოფანე ბიზანტიონელი, იუბა, ნიკანდროსი, აპოლოდოროსი, სოსტრატოსი) ალექსანდრე მინდოსელის მეშვეობით იყო მისთვის ცნობილი. მხოლოდ რომაელ პარადოქსოგრაფს, დემოსტრატოსს იყენებდა იგი უშუალოდ. კ. კროლი¹³ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არისტოტელეს Zoika ს ამ უანრის შემდეგი დროის ლიტერატურისთვის (თუმცა ალექსანდრე მინდოსელის, როგორც კომპილატორის როლსაც სცნობს).

„სხვადასხვა ამბების“ წყაროთა საკითხი კრისტისა და ველმანს უარესად გამორკვეულად მიაჩნიათ (მიუხედავად რუდოლფის შრომის არსებობისა). კრისტი იმეორებს პერიძონიუსის მოსაზრებას, რასაც არ იზიარებს ველმანი. პერიძონიუსის მოსაზრება კი იმაში მდგომარეობს, რომ ელიანუსის ამ ნაწარმოების ათენაფოსთან და პლუტარქოსთან მსგავსების მიზეზი არის ერთი და იგივე წყაროს გამოყენება.

დაკარგული ნაწარმოებების, „Περὶ πρῶτης“ და „Περὶ φασίας“¹⁴-ის, წყაროდ კრისტს პოსედონიოსი მიაჩნია.

„წერილების“ წყაროდ მკვლევარები ატიკელ ორატორებსა და კომიკოსებს თვლიან (არისტოფანე, მენანდრე¹⁴). ერთ-ერთი (XX) წერილის ნაწილი ალკმანის ფრაგმენტთან არის გაიგივებული¹⁵.

⁹ ფავორინუსი — ახ. წ. 85—176 (დაახლ.) წლებში ცხოვრობდა რომში, იყო ფილოსოფოსი და სოფისტი. მისი მრავალი ნაწარმოებია ცნობილი.

¹⁰ Geschichte der griechischen Litteratur³, II, 2, გვ. 622, 623,

¹¹ RE. I, 1, გვ. 487.

¹² ალექსანდრე მინდოსელი იყო ახ. წ. I ს-ის I ნახევრის მოღვაწე, ავტორი, შრომებისა: Περὶ ζῴων, *θηριακάς*. *θαιμασιῶν συναγωγή*, *Περὶ πλους τῆς ἐξυμ-δνῆς μάλασσης* და სხვ. ნაწერებისა.

¹³ Zur Geschichte der aristotelischen Zoologie, von Wilhelm Kroll 1940. Wien und Leipzig.

¹⁴ მენანდრეს შესახებ წერს Wilamowitz-Möllendorff-ი: *Lese-früchte*, Hermes, Berlin, 1905: 40, Band, გვ. 170—171.

¹⁵ The Letters of Alciphron, Aelian and Philostratus... გვ. 343—345, ამას გარდა—კრისტო... გვ. 625, ველმანი, ... გვ. 486.

ჩვენს პირობებში ბერძენი ავტორების ტექსტების კვლევა გაძნელებულია, რადგან ხელნაწერები სრულიად მიუწვდომელია და გვიხდება დაკმაყოფილდეთ გამოცემებით.

რაც შეეხება საეციალისტთა მიერ ძირითად წყაროდ გამოცხადებულ ალექსანდრე მინდოსელს, მისი მალაზარისხოვანი, მაგრამ მაინც კომპილაციური ნაწარმოებები არაა ჩვენამდე შემონახული, აქა-იქ მოკლე ფრაგმენტებია დატული შემდეგი დროის ავტორებთან, ამდენად დამოუკიდებლად კვლევა ამ ხაზით არ მოხეობდა. ის სამუშაო, რომელიც ჩავატარე კლავდიუს ელიანუსის წყაროების დადგენის ხაზით, ჯერჯერობით იმას მიგვივითებს, რომ ელიანუსს ბევრი ისეთი მასალა აქვს, რაც აქვს მაგ., ჰეროდოტეს, არისტოტელეს, პლუტარქოსს, პლინიუსს და ბერძნულ-რომაული სამყაროს სხვა მნიშვნელოვან წარმომადგენლებს.

სხვადასხვა ავტორების დამოწმებას იგი არ ერიდება. მაგ., მართო არისტოტელე „Ile: წყახ“-ში 64-ჯერ ჰყავს ნახსენები, ამდენად გამიძიებდებოდა მეთქვა, იგი არისტოტელეს მაგ., უშუალოდ იცნოს, თუ მაინცადამაინც ალექსანდრე მინდოსელის კომპენდიუმის მეშვეობით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ელიანუსის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან უეჭველად აღსანიშნავია შემდეგი: ზოგადი ხასიათის შრომაა Pauly-Wissowa-ს RE-ში M. Wellmann-ისა, სადაც მოკლედ, მაგრამ ზუსტად და საქმიანად არის მიმოხილული ყველა საკითხი, რაც კი ამ ავტორთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას¹⁶.

ამავე ხასიათისაა ვ. კრისტის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ გარკვეული თავები, მიძღვნილი საკუთრივ კლავდიუს ელიანუსის შემოქმედებისადმი, თუ საერთოდ ე. წ. რომაული ხანის ნეოსოფისტიკისა და აღწერილობითი ბუნებისმეტყველებისადმი¹⁷. ვ. კრისტის „ისტორიაში“ ამ ავტორისათვის დამახასიათებელი სიღრმითა და საბუთიანობით არის განხილული ელიანუსის ცხოვრება, შემოქმედება და სხვ. ამასთან დაკავშირებული საკითხები.

¹⁶ RE, I, 1, Stuttgart, 1893, გვ. 456—458.

¹⁷ W. Christs, Geschichte der griechischen Litteratur², II, München, 1913, გვ. 621—625, 657; 1920, გვ. 288, 401, 449.

ასევე ზოგადი მიმოხილვაა ელიანუსის შემოქმედებისა, თუ მისი ხელნაწერებისა სხვადასხვა გამოცემებში; მაგ. Perizonius-თან, Hercher-თან (Didot-სეულ გამოცემაში), Scholfield-თან, Benner-Fobes-თან და სხვ.¹⁸

ცალკეული საკითხები დამუშავებულია შემდეგ ნაშრომებში: ზემოთაც ეახსენე (და ახლაც ვიმეორებ) Felix Rudolph-ის გამოკვლევა, რომელიც ეხება კლავდიუს ელიანუსის „სხვადასხვა ამბების“ წყაროებს (ძირითადად), მაგრამ ამასთან ერთად სხვა, ამისი მონათესავე ბევრი საკითხიც არის აქ წამოჭრილი. შესაძლებელია Rudolph-ის ყველა დებულება მკვლევართა მიერ უყოყმანოდ არ არის გაზიარებული, მაგრამ ჯერჯერობით უფრო სრული კვლევა წყაროებისა სხვას არაავის მოუცია. ამ ნაშრომს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა¹⁹.

U. von Wilamowitz-Möllendorff-ი თავის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც Lesefrüchte-ს სერიიდანაა, აკეთებს შენიშვნას ელიანუსის „სოფლის შესახებ წერილებზე“; მე-13—16 წერილები (მათ შორის მე-14, რომელიც ჩვენს მასალაშია შესული), მას მენანდრეს Ἀσπασιάδος-ის გამოძახილად მიაჩნია და ზოგიერთი ადგილის წაკითხვასთან დაკავშირებით ფილოლოგიურ-პალეოგრაფიულ მოსაზრებებს აყენებს²⁰.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ წერილთა შორის ყურადღებას იპყრობს: M. Markovič-ის „On the sources of Theophrastus Simocatta's *Questiones physicae*“, სადაც სხვა ავტორთა შორის გარჩეულია ელიანუსის საკითხიც²¹; B. G. Whitfield-ის „Virgil and the bees“—რომელშიც ნათქვამია, რომ ის საკითხები, რაც არის ვერგილიუსის გეორგიკების IV წიგნში, აღძრული აქვთ არისტოტელეს, პლინიუსს, ელიანუსსა და სხვებს²².

L. Massa Positano წერილში *Frustula* აკეთებს შენიშვნებს ელიანუსის „სოფლის წერილების“ შესახებ (განსხვავებით Benner-ისა და Fobes-ის გამოცემისაგან)²³.

¹⁸ ამ გამოცემათა შესახებ იხ. აქვე, ზემოთ.

¹⁹ De fontibus quibus Aelianus in *Varia historia componenda* usus sit: *Leipziger Studien zur classischer Philologie*, VII Band. Leipzig, 1884, გვ. 1—138.

²⁰ *Hermes*, Berlin, 1905, 40. Band, გვ. 161—176.

²¹ *Ziva Antika*..., 1954, გვ. 120—135.

²² *Greece and Rome*, Oxford, 2, Ser. III, 1956, გვ. 99—117.

²³ *Giornale Italiano di Filologia*, Napoli, V, 1952, გვ. 198—211.

Ηο:χιλη [τοοριζ-ს ერთი ადგილის (II, 20) გამო 2 სტატიაა დაწერილი L. Früchtel-ისა „Was bedeutet die ξυδιξις θισαιξ dcs Antigonos Gonatos?“²⁴ და H. Volkmann-ისა: „Eυθιδιξις θισαιξ als ehrenvolle Knechtsdienst gegenüber dem Gesetz“²⁵.

ელიანუსის შესახები ლიტერატურა ამითი არ ამოიწურება, მაგრამ ძირითადი მაინც ეს არის.

ცნობები საქართველოს შესახებ

კლავდიუს ელიანუსის თხზულებებში მრავალნაირი მასალაა, თვით იმ ნაწარმოებშიც, რომელიც „ცხოველთა შესახებ“ არის დაწერილი, სხვადასხვა სახეობის ცხოველთა აღწერა-დახასიათების გვერდით ბევრი ანეკდოტი თუ თქმულება არის ხოლმე მოყვანილი, ზოგჯერ თვით ამ ცხოველთან დაკავშირებით, ზოგჯერ კი სრულიად სხვა სფეროდან. მაგ., ერთი შხამიანი გველის (β:ψαξξ) აღწერისას მოყვანილია მასთან დაკავშირებული საინტერესო ლეგენდა (VI, 51), ანდა—სპილოების ზნე-ჩვეულებათა აღწერისას მწერალი გადმოგვცემს ერთ გაგონილ ამბავს—პატარა ეროტიკულ ნოველას (VII, 15).

მასალა, რომელიც ასე თუ ისე ეხება საქართველოს (ან მისი უშუალო მეზობლების) წარსულს, შეიძლება რამდენიმედ დავაჯვეუფოთ. ყველაზე საინტერესო არის:

I. ცნობები კოლხების შესახებ. „სხვადასხვა ამბების“ IV წიგნში (§ 1) სწერია: „დერბიკები 70 წელს გადაცილებულებს ხოცავენ, [მათგან] მამაკაცებს მსხვერპლად სწირავენ, ხოლო ქალებს ასრჩობენ. კოლხები გვამებს ტყავებში მარხავენ, გამოახვევენ მათში და ხეებზე ჰკიდებენ“.

ამ ნაწარმოების გერმანულად მთარგმნელი, მაჟნეკე წერს, რომ კოლხთა დამარხვის შესახებ ეს ცნობა ელიანუსმა ნიკოლოზ დამასკელისაგან გადმოიღო²⁶, ხოლო B.IH-ს კომენტატორი შენიშნავს, რომ ნიმფოდორე სირაკუსელი იქნებოდა წყარო ელიანუსისაც, ისევე როგორც აპოლონიოს როდოსელისა²⁷.

²⁴ Gymnasium, LIX, 1957. Heidelberg. გვ. 350—351.

²⁵ Philologus, 1956, 52—61.

²⁶ 1775 წლის გამოცემა, შენიშვნა ამ ადგალთან.

²⁷ ВДИ, 1947.

კოლხთა დამარხვის ასეთი წესის შესახებ ეს ცნობა სხვა ბერძენ ავტორებსაც მოეპოვებათ. ყველაზე ადრე და ვრცლად ამის შესახებ წერს აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ (ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარი): „კოლხიდაში კირკეს დაბლობზეა მოსული იასონი და აქ ხეების წვერებზე ხედავს თოკებით ჩამოკიდებულ გვამებს. აქამდე მძიმე ცოდვად ითვლება კოლხებში ცეცხლით დასწვად დახოცილი მამაკაცები. მათ ახვევენ გამოუქნელ ხარის ტყავებში და ჰკიდებენ ხეებზე ქალაქიდან მოშორებით. მაგრამ მიწაც ღებულობს ჰაერთან თანაბრად თავის კუთვნილს, რადგან ქალების გვამებს მიწაში მარხავენ. ასეთი წესი აქვთ მათ“ (III, 196—209).

აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი შენიშნავს, რომ აპოლონაოსი კოლხების დამარხვის საკითხში ნიმფოდოროსის მიმდევარიაო (ნიმფოდოროს სირაკუზელი კი ცხოვრობდა ძვ. წ. III-ის პირველ ნახევარში, დაახლ.). ნიმფოდოროსზე ადრინდელი წყარო ამ ცნობისა ცნობილი არ არის. ამის ბერე კოლხების დამარხვის წესზე ლაპარაკობს ნიკოლოზ დამასკელი (ავგუსტუსის თანამედროვე ისტორიკოსი; frg. 121) „...კოლხები მიცვალებულებს კი არ მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხეებზე“. და ბოლოს ამასვე წერს კლავდიუს ელიანუსიც (II—III სს-ში).

ბერძნულ წყაროებში მეტი ცნობა ამის შესახებ არ არის.

წერილობით წყაროებში სხვაგანაც გვაქვს მსგავსი ცნობები, მაგ., ვახუშტის „გეოგრაფიაში“, ევლია ჩელებისთან და არქანჯელო ლამბერტისთან.

ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ზემოთ, ნიკოლოზ დამასკელის შესახებ გამოკვლევაში (გვ. 85—87).

ყველა არსებული მასალის გათვალისწინებით უდავოა, რომ კოლხებში დაკრძალვის ასეთი წესიც არსებულა და ამის შესახებ სხვა ავტორებთან ერთად გვაუწყებს კლავდიუს ელიანუსიც. იმას ვერ ვიტყვით, რომ მან თვითნახული ამბავი გადმოგვცა. მან, ჩანს, გაიმეორა ლიტერატურაში არსებული ცნობა, რომელიც არგონავტიკის ლაშქრობას კი უკავშირდებოდა, მაგრამ დაწერილი ძვ. წ. III ს-ზე ადრინდელი არ არის.

კლავდიუს ელიანუსთან კოლხთა ხსენება მეორეგანაც არის („*Περὶ τῆς ἀστροφῆς*“, ნაწყვეტი 71): სახელად დიონისიოსი, საქმიანობით ვაჭარი, ბევრსა და ხანგრძლივად მოგზაურობდა ზღვაზე. მოგების [სურვილით] წაქეზებული, იგი მეოტიდაზე უფრო შორს ავიდა, იყიდა კოლხი ასული, რომელიც მოეტაცათ მახლიებს, იქაურ

ბარბაროსთა ტომს...“ როგორც ზემოთაც ვთქვი, ამ ნაწარმოების წყაროდ პოსეიდონიოსია (ძვ. წ. II—I სს.) ჩათვლილი, ხოლო ეს ავტორი და მისი „ისტორია“ ხშირად არის ხოლმე საქართველოს შესახები ცნობების წყარო (მაგ., სტრაბონის „გეოგრაფიაში“ იბერიის აღწერილობისათვის).

ელიანუსის ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ჩანს კოლხთა და მეზობელ ტომთა ურთიერთობა—მეზობელი ბარბაროსი ტომი იტაცებს კოლხს და ჰყიდის (ასე წერს ელიანუსი—მახლიები ბარბაროსთა ტომია, ხოლო ამ კონტექსტის მიხედვით არ ჩანს, კოლხი მას რად მიაჩნია).

მყიდველი ბერძენი ვაჭარი დიონისიოსია (ამავე ნაწყვეტში. უფრო ქვემოთ ლაპარაკია იმაზე, რომ ეს დიონისიოსი მიდის ბიზანტიონში, ქიოსზე etc.).

ВДН-ს კომენტატორის აზრით, ელიანუსს აქ შეეცდომა აქვს და „მახლიები“ უწერია ანონიმურ „პერიპლუსში“ ხსენებული „მახლიონების“ მაგივრად, ხოლო მახლიები კი ლიბიური ტომია²⁸. ტრიტონიდის ტბასთან მცხოვრები მახლიები, როგორც ლიბიური ტომი არის პეროდოტესთან (IV, 178—180), პლინიუსთან (VII, 2, 15), ნიკოლოზ დამასკელთან (II ს., 133), სხვა ავტორებთან სხვა ვითარებაა. მაგ., ახ. წ. II ს-ის ავტორი, ლუკიანე სამოსატელი თავის დიალოგში „ტოქსარისი ანუ მეგობრობა“ მთელ დიდ ამბავს გადმოგვცემს, რომელშიაც მოქმედი პირი არის Ἄδερμαχος ὁ Μαχλσηνῆς ἄρχων—ადირმახოსი, მახლიენეს არქონტი (მმართველი) და მთელი მოთხრობის მანძილზე ხშირია ხსენება ტომისა—μαχλσης, ამ ტომის წარმომადგენლისა—μαχλσης, მათი ქვეყნისა—Μαχλσηνῆ და ა. შ. ე. ი. აქ შეეცდომა არ შეიძლება იყოს, დაახლოებით 10—15-ჯერ მაინც არის ეს სიტყვა ხმარებული და ყველგან ასეთი ფორმით. თანაც ეს ტომი ცხოვრობს მეოტიდაში, მათი არქონტი ძალიან შეძლებული კაცია და ბოსფორის მეფის ასულის ხელის პრეტენდენტია. ლუკიანეს ამ დიალოგში მახლიები, ალანებისა არ იყოს, უპირისპირდებიან სკვითებს, რომლებთანაც ბრძოლა აქვთ და დამარცხებისას მათ (სკვითებს) მძევლებს სთავაზობენ („Toxaris“, § 45—55). სვიდა ერთი სიტყვის განმარტებისას სწორედ ელიანუსის ამ ადგილს იმოწმებს და Μαχλσης-ს არ ასწორებს.

პაპე თავის ლექსიკონში სვიდას ცატატიით მახლიებს კოლხურ ტომად მარტავს, ხოლო ლუკიანეს მაგალითის მიხედვით—

²⁸ ВДН, 1917, გვ. 227.

სკვიტურ ტომად. „სკვიტური“ აქ ჩვეულებრივი ზოგადი ცნებაა და რაკილა „მახლიები“ მეოტიდაში ცხოვრობენ მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოების მიხედვით ისინი უპირისპირდებიან სკვიტებს, მაინც სკვიტებად არიან ჩათვლილი, უთუოდ ეთნიკური ნიშნით. ამგვარად, ლუკიანეს და ელიანუსის მახლიები ცხოვრობენ მეოტიდასთან ახლოს.

ის გარემოება, რომ „მახლიები“ ეწოდებათ 1. ლიბიის ტომს და 2. მეოტიდის ხალხს, სრულიადაც არ არის დაბრკოლება. მსგავსი მაგალითი ძველმა ისტორიამ ბევრი იცის, მაგალითისთვის შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ „იბერები“ (საქართველოს იბერები და ესპანეთის იბერები), ანდა „აქეელები“ (ბერძენი ტომი და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომი).

რაც შეეხება „მახელონებს“, მათ იცნობს მხოლოდ არიანე (II ს.) და მის საფუძველზე ანონიმი (ახ. წ. V ს-ის „პერიპლუსის“ ავტორი).

არიანესთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ. რომ მისი ტექსტის გამომცემელი, Hercher-ი „მახელონების“ მაგივრად სწერდა „მაკრონებს“ და ასე იყო შესული ლათინშევთან და ყველა სხვასთან, ვისაც ამ პერიპლუსთან ჰქონდა საქმე. ხელნაწერების წაკითხვის გათვალისწინებით როოსმა დაადგინა, რომ არიანეც „მახელონებს“ ახსენებს იქ, სადაც ანონიმს აქვს ამ ტომის ხსენება.

სანების მეზობლები არიან მახელონები და ჰენიონები, მათ მეორე მხრივ მეზობლად ჰყავთ ზიდრიტები (არიანე, § 15; ანონიმი, § 51). ანონიმი აზუსტებს: მდინარე არხაბისიდან მდინარე ოფიუნტამდე უწინ ცხოვრობდნენ ეკხეირები, ახლა კი მახელონები და ჰენიონები (§ 42). მდინარე არხაბისი დღესაც ასე იწოდება და იგი უფრო სამხრეთითაა, ვიდრე ჰოროხის შესართავი.

ანონიმს კიდევ ერთი ცნობა აქვს: ძველი აქეიდან ძველ ლაზიკამდე და მდინარე აქეუნტამდე (ეს კი არის სოჰიდან დაახლ. 30 კმ-ით დაშორებული.—თ. ყ.) უწინ ცხოვრობდნენ ტომები: ჰენიონები, კორაქსები, კოლიკები, მელანზლენები, მახელონები, კოლხები და ლაზები, ახლა კი ცხოვრობენ ზიხები (§ 59). ამ უკანასკნელ შემთხვევაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლეობად ჩანან მახელონები (კოლხები და ლაზები ჩვეულებრივ უფრო სამხრეთით იგულისხმებოდნენ ხოლმე), მაგრამ აქ ყველა ტომი ერთად არის ხსენებული ამ ნაკვეთზე (ისინიც, ვინც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ), ისე რომ აქ საგანგებო ვითარებაა.

ამგვარად, მახლიები მეოტიდის ტბასთან ცხოვრობენ, ხოლო მახელონები—კოლხების სამხრეთით.

